

ლევან გრიგალაშვილი

**საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის
სისტემური ანალიზი**

**გამომცემლობა “გეორგიკა ”
თბილისი – 2015**

UDC (უაკ) 657.14+657.6 ბ-82

ლევან გრიგალაშვილი: “საბუღალტრო აღრიცხვისა და
აუდიტის სისტემური ანალიზი”. თბ., 2015წ. 120 გვ.

რეცენზენტი: იური პაპასქეა -
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი.

ISBN 978-9941-0-7565-0

შინაარსი

შესავალი	4
თავი I. საბუდალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სისტემების მოგადი ანალიზი	5
თავი II. საქართველოს საბუდალტრო აღრიცხვა- ანგარიშების თანამედროვე მდგომარეობა და მისი სრულყოფის გზები	17
თავი III. საქართველოს სახელმწიფო ფინანსური კონფრონტის სისტემა	71
თავი IV. სახელმწიფო ფინანსური კონფრონტის ორგანოები და მათი ფუნქციონირების სამართლებრივი ბაზა	75
თავი V. აუდიტორული საქმიანობის თანამედროვე ორგანიზაცია და მისი სრულყოფის გზები.....	90
გამოყენებული ლიტერატურა	116

შესავალი

წინამდებარე სამეცნიერო ნაშრომი წარმოადგენს ავტორისეულ გამოკვლევას, რომელიც ეძღვნება საქართველოში საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგებისა და სახელმწიფო ფინანსური კონფრონტაციის (აუდიტის) პროცესებს.

ეკანასკნელი პერიოდში საქართველოში აქტიურად მიმდინარეობს საერთაშორისო სფანდარტებთან მისადაგებული აღრიცხვისა და კონფრონტაციის სისტემის დამკვიდრების მცდელობა. მიუხედავად ამისა ქვეყნის ეროვნულ მეურნეობაში, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში მოქმედი საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზა და პრაქტიკა საგრძნობლად განსხვავდება განვითარებული ქვეყნებისაგან.

აქედან გამომდინარე ჩვენი კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა საქართველოში საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგებასა და ფინანსურ კონფრონტაციას (აუდიტობას) დაკავშირებული პროცესების შესწავლა, როგორც თეორიულ-მეთოდოლოგიურ, ასევე პრაქტიკულ დონეზე და შესაბამისი კონცეპტუალური მიმართულებების განსაზღვრა.

ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოში და უცხო-ეთში არსებული სააღრიცხვო და ფინანსური კონფრონტაციის სისტემები, ქართველი და უცხოელი მეცნიერ-მკვლევარების ნაშრომები, რეფორმის განხორციელების საკითხებში გარდა-მავალი ეკონომიკის ქმრნე ქვეყნების გამოცდილება და ამის საფუძველზე შემუშავებულია გასატარებელ ღონისძიებათა ერთობლიობა.

მიგვაჩნია, რომ ნაშრომი გარკვეულ დახმარებას გაუწევს სტუდენტ ახალგაბრდობას და ბოგადად აღრიცხვა-ანგარიშ-გებისა და ფინანსური კონფრონტაციის (აუდიტის) საკითხების შესწავლით დაინტერესებულ პირებს.

ლევან გრიგალაშვილი – ეკონომიკის

მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს

ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

თავი I.

საბუღალტრო აღრიცხვის

საერთაშორისო სისტემების გოგილი ანალიზი

მსოფლიოში დამკვიდრებული აღრიცხვის სისტემების შეწავლისაკენ მრავალი მეცნიერის შრომა და ძალისხმევა იქნა მიმართული. უკანასკნელ პერიოდში კონომიკის გლობალიზაციისა და სახელმწიფოთა შორის ეკონომიკური ინტეგრაციის პირობებში სააღრიცხვო სისტემების დაახლოების მიმართულებით გამოიკვეთა ორი ტენდენცია – აღრიცხვის სისტემების „ჰარმონიზაცია“ და „სტანდარტიზაცია“. ეს პროცესები განსაკუთრებით გააქტიურდა გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში და დღესაც არ კარგავს თავის აქტუალობას ეკონომიკურ ლიტერატურასა თუ სამეცნიერო წრეებში.

სააღრიცხვო სისტემებში არსებული განსხვავებები გავლენას ახდენენ სხვადასხვა ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. ამის თაობაზე საერთაშორისო ექსპერტები ხმირად აღნიშნავენ, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციები შეშფოთებული არიან აღრიცხვა-ანგარიშგების სისტემებში განსხვავებათა გამო, რამაც შეიძლება სერიოზული წინააღმდეგობანი გამოიწვიოს საერთაშორისო ინვესტიციური პოლიტიკის განხორციელებაში, რამეთუ ეს განსხვავებანი აფერხებს თავისუფალი კაპიტალის მიმოქცევას და სხვადასხვა პირობებში აყენებს ინვესტორებს.

საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების სისტემების კვლევას თავიანთი შრომები მიუძღვნეს უცხოელმა და მეცნიერმკვლევარებმა (ა.სიმონძი, ლ.შნეიდმანი, ა.ენდჰოვენი, ე.მესონი, ე.ხოპკუდი, რ.დრური, დ.ბლეიკი, ო.ამაცი, ვ.კოვალივი, ვ.ტკაჩი და სხვ.), რომლებმაც გააკეთეს სხვადასხვა ქვეყნების აღრიცხვის სისტემების ანალიზი. მაგალითად, ინგლისელმა ეკონომისტმა ა.სიმონძსმა გაიანგარიშა თანაბარ პირობებში ერთ აქციაზე გაცემული დივიდენდების სიდიდეებს შორის სხვაობა, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ნიდერლანდებისა და ბელგიის

სააღრიცხვო სისტემების მიხედვით. მარტო გუდვილის გაანგარიშებაში არსებული სხვადასხვა მიღებულის გამო (კერძოდ დიდ ბრიტანეთში მას მთლიანად ჩამოწერენ რეზერვების ხარჯე, ხოლო საფრანგეთში 20, ნიდერლანდებში 10 და ბელგიაში 5 წლის განმავლობაში), აბსოლუტურად განსხვავებული ფინანსური შედეგი იქნა მიღებული¹.

ბემოაღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით საინტერესოა პროფ. ლ. შენიდმანის მიერ გაკეთებული შედარება რუსეთის ერთ-ერთი მსხვილი ენერგოკომპანიის მაჩვენებლებს შორის, რომელიც გაანგარიშებული იქნა საერთაშორისო სტანდარტების და რუსეთის სტანდარტების შესაბამისად. „ძირითადი საშუალებებისა და მოგების სიღრიძეთა შორის სხვაობამ შეადგინა შესაბამისად 1 ტრლნ. მანეთი და 100 მლნ. მანეთი“².

აშშ მთავრობამ მიიჩნია რა სერიოზულ პრობლემად აღრიცხვის სისტემებს შორის განსხვავებანი, დააფინანსა პროექტი, რომელშიც აღწერილი უნდა ყოფილიყო განსხვავებანი აშშ და საერთაშორისო სტანდარტებს შორის. გამოიცა ნაშრომი, რომელშიც 255 განსხვავება იყო აღწერილი. მეცნიერ-მკვლევარები სხვადასხვანაირად აფასებენ და სხვადასხვა მნიშვნელობას ანიჭებენ სახელმწიფოთა შორის აღრიცხვის სისტემებში არსებულ განსხვავებებს. მაგალითად ჯ. კერი აღნიშნავს, „სანამ ინვესტორები არ მიიღებენ სარწმუნო ინფორმაციას თუ რა ელის მათ ფულებს, კერძო კაპიტალს არ შეუძლია თავისუფლად გადაკვეთოს სახელმწიფოთა საზღვრები“. ჯ. სამუელსი გამოთქვამს საწინააღმდეგო მოსამართებას, „კერძო კაპიტალი უკვე თავისუფლად შევიდა სხვა ქვეყნებში, ინვესტორები დაინტერესებული არიან რათა მათი რისკი და შემოსავლები დაბალანსებული იყოს, თუ მოსალოდნელი შემოსავალი დიდია,

1. „ ”,
1997, .14.

2.
. 1998. № 1, . 1.

ინვესტორები ყოველთვის გამოჩნდებიან^{“1”}, ამ უკანასკნელი მსჯელობის ნათელი დადასტურებაა AES-თელასის შემოსვლა საქართველოს ენერგო ბაზარზე, იმ დროს როდესაც საქართველოში საბუღალტო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები აღიარებული არ იყო და წასვლა, როცა სტანდარტები აღიარებულია.

აღრიცხვის სისტემებს შორის განსხვავებებმა შესაძლებელია გარკვეულწილად მაინც შეაფეროს კაპიტალის მოძრაობა, მაგრამ ეს არც ისე დიდ პრობლემებს ქმნის ინვესტირებისათვის. აღრიცხვის სისტემების „პარმონიზაციის“ ერთ-ერთ დადგებით მომენტად შეიძლება ჩაითვალოს ეროვნულ ბაზრებზე სხვადასხვა ქვეყნების სპეციალისტთა გამოყენების შესაძლებლობანი. აღრიცხვის სისტემების მკვლევარები მიუთითებენ, რომ ამ საკითხში დომინირებენ ამერიკის შეერთებული შტატები. მაგალითად, ზემოაღნიშვნულ ნაშრომში მოცემულია კ. მექსონის მოსამარება, რომ სპეციალისტებს მიაჩნიათ, შესაძლებელია კიდევ ეშინიათ იმისა, რომ თუ საერთაშორისო სტანდარტები არ იქნება შემუშავებული, ამერიკის ბუღალტერიის ბოგადი პრინციპები შეავსებს ამ ვაკუუმს, რომლებიც გამოყენებული იქნებიან საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვის ენად. ანალოგიურ აზრს გამოთქვამს ე. ხოპული, „თუ სტანდარტები არ იქნება პარმონიული, ერთ-ერთი ქვეყნის ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა აუცილებლად დაიწყებს დომინირებას და ეს ქვეყანა იქნება ამერიკის შეერთებული შტატები“².

გემოაღნიშვნული მოსაზრებები შეიძლება არ იქნეს გაზიარებული. მაგალითად, დათ ქვეყნებში ამერიკის შეერთებული შტატები პირიქით დიდ პროპაგანდას უწევს საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას და არა ამერიკულისას. ეს იმ დროს,

1.
1997, .14.

2. “ ”, 1997, . 19.

როცა ამერიკული სტანდარტები გაცილებით დახვეწილი და კონკრეტულია საერთაშორისო სტანდარტებთან შედარებით.

აღრიცხვის სისტემების ჰარმონიზაციისა და სტანდარტიზაციის მიღწევის შესაძლებლობათა შესახებ ზოგიერთი მეცნიერი აშკარა უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავს. მაგალითად, ლ. ბერსგაინი აღრიცხვის ჰარმონიზაციის შესახებ წერს, რომ „ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო პრაქტიკის ჰარმონიზაცია არის ძნელი და ილუბიური ამოცანა“¹. აღრიცხვის სისტემებს შორის განსხვავებები სხვადასხვა ფაქტორებით შეიძლება იყოს გამოწვეული, მაგალითად, როგორიცაა სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებები, საერთო პოლიტიკური ურთიერთობები, საკანონმდებლო სისტემებში არსებული განსხვავებები, განათლების საერთო დონე ქვეყანაში და ა.შ. სოციალურ-ეკონომიკურ თავისებურებებს თავის მხრივ განსაზღვრავენ ისეთი ფაქტორები, როგორიცაა წარმოების წესი, ეკონომიკის მართვის ცენტრალიზაციის დონე, კაპიტალის ბაზრის განვითარების დონე და ხასიათი, ინფლაციის დონე, საწარმოთა სიდიდე, სტრუქტურა და ა.შ. ეს ფაქტორები შეიძლება შემდეგნაირად დავახსაძითოთ:

მარეგულირებელი ორგანოს როლის გავლენა. აღრიცხის სისტემა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ არის ამ სისტემით მიღებული ინფორმაციის ძირითადი მომხმარებელი. გეგმიანი ეკონომიკის პირობებში აღრიცხვის სისტემა აგებული იყო სახელმწიფოს ინტერესებზე, რადგან იყი გეგმის შესრულებისათვის კონტროლის მთავარ იარაღად გამოიყენებოდა. აღრიცხვის სისტემას სახელმწიფო ორგანოები არეგულირებდნენ, რომელთა ძირითადი ინტერესი სახელმწიფო რესურსებზე კონტროლის განხორციელებასა და გადასახადების აკრეფაში გამოიხატებოდა. ყოველივე ეს კი განაპირობებდა

1. . „ ”, 2006, c.232.

o . . “

სახელმწიფო აპარატის, როგორც მარეგულირებელი ორგანოს გავლენას აღრიცხვა-ანგარიშგების სისტემაზე. ამის დასადასტურებლად ნათელი მაგალითია საქართველოში აღრიცხვა-ანგარიშგების რეგულირების დღევანდელი მდგომარეობა. კერძოდ თვითრეგულირებაზე გადასვლის შემდეგ აშკარად იკლო მარეგულირებელი ნორმაციული აქტების რაოდენობამ.

საგადასახადო პოლიტიკის გავლენა. ხშირად აღრიცხვის სისტემაზე, გავლენას ახდენს საგადასახადო პოლიტიკა. ბოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა მოითხოვს, რომ ბუღალტრული ანგარიშგება შედგეს საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად (მაგალითად გერმანია). ბოგიერთ ქვეყანაში კი მეწარმეს უფლება აქვს აირჩიოს სხვადასხვა სისტემებიდან ერთ-ერთი, ამავე დროს საგადასახადო შედავათების მიღება დამოკიდებულია არჩეულ მეთოდზე.

ქვეყანაში არსებულის საერთო ეკონომიკური მდგომარეობა. ქვეყნის ეკონომიკაზე მოქმედი ცალკეული ფაქტორები ხშირად გავლენას ახდენენ აღრიცხვის სისტემაზე. მაგალითად ლათინური ამერიკის ქვეყნების ეკონომიკისათვის დამახასიათებელმა ინფლაციურმა პროცესებმა, ამ ქვეყნებში ჩამოაყალიბეს ინფლაციური ბუღალტრული სისტემა. დ. ბლეიქსა და ო. ამაგს მოჰყავთ საინტერესო მაგალითი იმისა, რომ ესპანეთის საბუღალტრო აღრიცხვის ნორმებში მითითებულია სპეციალური მინიშნებანი, რომლითაც ქვეყნის ელექტროენერგეტიკულ სექტორს ენიჭება შემოსავლების გადავადების უფლება.. მას შემდეგ როცა დოლართან მიმართებაში ესპანური პესოს კურსი საგრძნობლად დაეცა, მიღებული იქნა გადაწყვეტილება ენერგოკომპანიებს თავიანთი შემოსავლების ანგარიშგებაში არ ეჩვენებინათ ეს ფინანსური დანაკარგები.

აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში პარალელის გავლება შეიძლება საქართველოსთანაც. ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის გათვალისწინებით, მაგალითად, ისეთ მსხვილ ენერგოკომპანიას როგორიცაა „AES-თელასი“ გარკვეულ პერი-

ოდში ნება დაერთო შემოსავლების აღრიცხვაში გამოიყენოს „საკასო“ მეთოდი, ანუ შემოსავლები გაიანგარიშონ ფაქტიურად მიღებული თანხების მიხედვით. ეს ცხადია გავლენას ახდენს აღრიცხვის სისტემაზე.

სხვა სახელმწიფოთა გავლენა სერიოზული მიზეზი შეიძლება გახდეს ამა თუ იმ ქვეყნის სააღრიცხვო სისტემის ჩამოყალიბება განვითარებაში. მაგალითად დიდი ბრიტანეთის თანამეჯობრობაში შემავალი ქვეყნები განიცდიან მის გავლენას. საფრანგეთმა განიცადა გერმანიის გავლენა. პოსტსაბჭოთა ქვეყნები განიცდიან აშშ, გერმანიის, საფრანგეთის, რუსეთის აღრიცხვის სისტემების გავლენას. აღსანიშნავია, რომ თავის დროებ სსრკ აღრიცხვის სისტემა გავლენას ახდენდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების სააღრიცხვო სისტემებზე. გარდა ამისა სერიოზული ფაქტორები შეიძლება გახდეს ქვეყნის ენა, კულტურა, იურიდიული გარემო, ინფორმაციის მომხმარებელთა მიზნები, თვითონ საერთაშორისო სტანდარტებში ხშირი ცვლილებები და სხვ. ცნობილი ფაქტია, რომ ნაკლებადგანვითარებულ ქვეყნებში როგორიცაა ზიმბაბვე, მალაიზია, კვიპროსი, მალავი უშეალოდ მოხდა საერთაშორისო სტანდარტების შეტანა, რადგან მათ არ გააჩნდათ საკუთარი განვითარებული სისტემა. ისეთ ქვეყნებში როგორიცაა კუვეიტი და კენია, სტანდარტები გამოყენებული იქნა ეროვნული სტანდარტების შესამუშავებლად. ისეთ მაღალგანვითარებულ ქვეყნებს როგორიცაა აშშ, კანადა, საფრანგეთი, დანია, დიდი ბრიტანეთი, შვეცია, ნორვეგია და სხვა შემუშავებული აქვთ ეროვნული სტანდარტები, რომლებიც ძირითადად შეესაბამება საერთაშორისოს. ისეთ ქვეყნებში როგორიცაა ესპანეთი, ინდოეთი, ისლანდია, იაპონია ეროვნული სტანდარტები შემუშავებული არ არის, მაგრამ პრაქტიკაშეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია გერმანია, სადაც სტანდარტები შემუშავებულია დამოუკიდებლად მაგრამ ისინი განსხვავდებიან საერთაშორისო სტანდარტებისაგან. ამასთანავე უნდა აღინიშ-

ნოს, რომ ევროსაბჭოს მე-4 დირექტივის გამოცემის შემდეგ მისმა წევრმა ქვეყნებმა ცვლილებები შეიტანეს თავიანთ საკანონმდებლო აქტებში. გერმანიის აღრიცხვა-ანგარიშგების სისტემა მაქსიმალურად მიუახლოვდა საერთაშორისო სფანდარტებს.

მიუხედავად საბუღალტრო აღრიცხვის სისტემების განვითარებაში არსებული ეროვნული თავისებურებებისა შეიძლება მოვახდინოთ ქვეყნების კლასიფიკაცია საბუღალტრო აღრიცხვის მოდელების მიხედვით. ეს მოდელი ყალიბდება იმის მიხედვით, თუ რა კრიტერიუმებს ავიღებთ საფუძვლად. მაგალითად ერთ-ერთი კრიტერიუმი შეიძლება იყოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების დონე. ასე, აშშ და ინგლისში ფასიანი ქაღალდების ბაზარმა მიიღო ფართო გაქანება, რის გამოც ფინანსური სახსრების მოზიდვის ძირითად წყაროს წარმოადგენს მრავალრიცხოვან აქციონერთა სახსრები. ისეთ ქვეყნებში როგორიცაა მაგალითად გერმანია და იაპონია სადაც რამდენიმე მსხვილი ბანკი პრაქტიკულად აკმაყოფილებს კომპანიების მოთხოვნას ფინანსურ რესურსებზე და შეინიშნება კაპიტალის კონცენტრაციის მაღალი დონე, ბუღალტრული ანგარიშგება მიმართულია უპირველეს ყოვლისა ამ კრედიტორთა ინტერესების დასაქმაყოფილებლად. საფრანგეთსა და შვეციაში სადაც ეკონომიკის მართვაში დიდ როლს ასრულებენ სახელმწიფო ორგანოები, ანგარიშგებაც უნიფიცირებულია. თუ აღრიცხვა-ანგარიშგების სისტემების კრიტერიუმად იურიდიულ მხარეს ავიღებთ, აქ შეიძლება გამოვყოთ ქვეყნების ორი ჯგუფი. ისეთ ქვეყნებში მაგალითად როგორიცაა საფრანგეთი და გერმანია, საბუღალტრო აღრიცხვის ძირითადი პრინციპები განსაზღვრულია საკანონმდებლო აქტებით. ეს პრინციპი შეიძლება ასე დავახსიათოთ: „შეიძლება მხოლოდ იმის გაკეთება, რაც ნებადართულია კანონით“. სხვა ქვეყნებში, მაგალითად აშშ, ინგლისში აღრიცხვის სისტემა აგებულია პრინციპებზე, „შეიძლება გავაკეთოთ ყველაფერი, რაც აკრძალული არ არის კანონით“.

საბუღალტრო აღრიცხვის რეგულირების საკითხში შეიძლება გამოვყოთ ქვეყნების ორი ჯგუფი: 1) ეროვნული სა-აღრიცხვო სისტემის მკაცრი რეგულირება და 2) რეგულირების ზომიერი სისტემა.

ბუღალტრული აღრიცხვის ცალკეული სისტემების დახასიათებისას ჩამოყალიბებულია აზრი, რომ სისტემა მორგებულია ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკურ მოდელზე. ამასთან დაკავშირებით გამოყოფილია „მიკროეკონომიკური“ და „მაკროეკონომიკური“ მოდელები.

მიკროეკონომიკური მოდელი ჩამოყალიბდა ინგლისსა და ამერიკას შეერთებულ შტატებში მათ სააღრიცხვო სისტემას ეწოდება ანგლო-ამერიკული მოდელი. ამ მოდელიდან გამოიყოფა ინგლისის გავლენა ისეთი ქვეყნების სააღრიცხვო სისტემებზე, როგორიცაა ავსტრალია, ირლანდია, ნიდერლანდები, ახალი ზელანდია. ამერიკული გავლენა შეინიშნება კანადისა და იაპონიის სისტემებზე.

ანგლო-ამერიკული მოდელისათვის დამახასიათებელია აქციონერთა, კრედიტორთა და ტრანსნაციონალური კორპორაციების საჭიროებებზე ორიენტაცია, ფასიანი ქაღალდების განვითარების მაღალი დონე, მოქნილი სააღრიცხვო სისტემა.

სახელმწიფო ეკონომიკური მოწყობის მაკროეკონომიკური მოდელი ჩამოყალიბდა უპირატესად ევროპის ქვეყნებში, ხოლო ამ ქვეყნების სააღრიცხვო სისტემებმა მიიღეს „კონტრენტაციური მოდელის“ სახელმწოდება. მათვის დამახასიათებელია მჭიდრო კავშირი ბანკებთან, აღრიცხვა-ანგარიშგების დაწვრილებითი იურიდიული რეგლამენტაცია, სახელმწიფო რეგულირებასა და დაბეგვრამებელი თრიენტაცია.

ყოველივე ბემოაღნიშნულის განხილვის შემდეგ იბადება კითხვა, აღრიცხვის რომელი მოდელით მუშაობდა საქართველო და რომელ მოდელზე უნდა ავიღოთ ორიენტაცია? ამ კითხვაზე რომ პასუხი გავცემ ახლო წარსულს უნდა გადავხედოთ და დღევანდელი მდგომარეობაც გავაანალიზოთ. საბუღალტრო

აღრიცხვის მკაცრი სახელმწიფო რეგლამენტაციის პირობებში ჩამოყალიბდა ბუღალტრის, როგორც კანონებსა და ინსტრუქციებში მოცემული ნორმების დამცველის მენტალიტეტი. მაშასადამე ინსტრუქციიდან გადახვევა დაუშვებელი იყო და ბუღალტერიას უნდა ეკეთებინა მხოლოდ ისე რაც განსაზღვრული იყო კანონით და ინსტრუქციით. თუ ამჟამად მოქმედ პრაქტიკას გადახვედავთ საკითხებსადმი ასეთი ტენდენციური მიღომა გრძელდება დღესაც, თუმცა იგი გადასინჯვას საჭიროებს. გარდა ამისა ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოში მაინც დამაინც ვერ განვითარდა. კაპიტალის თავმოყრა ძირითადად მსხვილ ბანკებში ხდება. აქედან გამომდინარე ბანკები გახდებიან ინვესტიციების ძირითადი წყარო. ყოველივე ამის გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს სააღრიცხვო სისტემა ტრადიციულად უფრო ახლოსაა „კონტინენტალურ მოდელთან“ თუმცა საბაზო ეკონომიკის პირობებში საჭირო გახდება მკაცრი რეგლამენტაციიდან ლიბერალურ მიღომებზე გადასვლა, ანუ საქართველოში უნდა ჩამოყალიბდეს აღრიცხვა-ანგარიშგების „ზომიერი სახელმწიფო რეგულირებადი სისტემა“.

აღრიცხვა-ანგარიშგების საერთაშორისო კოორდინაციას საფუძველი ჩაეყარა ჯერ-კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში, როდესაც ქ.სანტ-ლუისმი (1904წ.) ჩატარდა ბუღალტერთა პირველი საერთაშორისო კონგრესი. 1972 წელს ქ. სიდნეის კონგრესშე ჩამოყალიბდა „ბუღალტრული პროფესიის განვითარების საერთაშორისო საკონრდინაციო კომიტეტი“, რომელიც 1977 წელს მიუწევნის საერთაშორისო კონგრესშე გარდაიქმნა „ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციად“. ფედერაციის საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს აუდიტის საერთაშორისო სფანდარტების შემუშავება. ამჟამად იგი აერთიანებს 114 ქვეყნის 156 ბუღალტერთა პროფესიონალურ ორგანიზაციას.

„აღრიცხვა-ანგარიშგების პარმონიბაციის“ მიღწევისათვის დიდალ სამუშაოს ასრულებს 1973 წელს ჩამოყალიბებული

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სფანდარტების კომიტეტი, რომელშიც გაერთიანდა ათი ქვეყანა: ინგლისი, ირლანდია, საფრანგეთი, გერმანია, ნიდერლანდები, აშშ, იაპონია, მექსიკა, კანადა, ავსტრალია. ამჟამად მასში გაერთიანებულია 100-ზე მეტი ქვეყნის პროფესიონალური ორგანიზაციები. ამ ორგანიზაციის ძირითადი მიზანია საერთაშორისო სფანდარტების შემუშავება და პროპაგანდა სხვადასხვა ქვეყნებში დასახურებად აღრიცხვის უნიფიკაციის საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1982 წელს ისეთი კონცეპტუალური დოკუმენტის გამოცემას, როგორიცაა „ფინანსური ანგარიშების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურული საფუძვლები“. დღეისათვის შემუშავებულია 41 სფანდარტი.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო რეგულირების საქმეში აქტიურად მონაწილეობს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რომელმაც გარკვეული გამოკვლევები ჩაატარა აღრიცხვის სისტემების დაახლოების მიმართულებით. მივიღწენ დასკვნამდე, რომ ერთობლივი მუშაობისათვის საჭირო იყო შექმნილიყო ექსერტთა ჯგუფი, რომელიც ჩამოყალიბდა კიდევ 1976 წელს, ხოლო 1979 წლიდან ჩამოყალიბდა სამთავრობათაშორისო ჯგუფი.

განვითარებად ქვეყნებს მიაჩნიათ, რომ გაერო არის ის ორგანიზაცია რომელსაც უნდა ჰქონდეს ფართო დიაპაზონი ბუღალტრული პრაქტიკის აუცილებელ მოთხოვნათა ჩამოყალიბებაში, თუმცა დასავლეთის განვითარებული ქვეყნები არ ეთანხმებიან ამ მოსაბრებას და მიიჩნევენ რომ გაეროს დირექტივებს უნდა ჰქონდეთ მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი.

საბუღალტრო აღრიცხვის სისტემების დაახლოების საქმეში გარკვეულ როლს თამაშობს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია. მისი წევრები მაღალგანვითარებული ქვეყნების მსხვილი კომპანიები არიან. მათი აქტიურობა განსაკუთრებით შესამჩნევია პოსტკომუ-

ნისტურ ქვეყნებში რომელთა ხელშეწყობითაც ჩამოყალიბდა მრავალი ფროფესიული ორგანიზაცია.

ცალკეული ქვეყნების ეკონომიკათა ინტეგრაციული პროცესების შედეგად შეიქმნა მსხვილი გაერთიანებები და თანამე-გობრობები. ერთ-ერთი ასეთი გაერთანება გახდა ევროკავშირი. მან დიდი ზეგავლენა მოახდინა ევროპის სახელმწიფოთა ნორმატიულ აქტებზე, რომლებიც არეგულირებენ სამოქალაქო, სავაჭრო, საბუღალტრო და სხვა კანონმდებლობას. ამ ხელშეკრულებებისა და აქტების მიზანი იყო სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობათა დაახლოება, საბაჟო დაბრკოლებათა ლიკვიდაცია, დისკრიმინაციისა და უთანაბრობის აღმოფხვრის დაბეგვრაში, სოციალურ და სხვა სფეროებში. შემუშავებული იქნა 300-ზე მეტი დირექტივა, რომლებიც წარმოადგენენ იურიდიულ ნორმებს და ავალდებულებებს სახელმწიფოებს თავიანთი კანონმდებლობა მოიყვანონ ამ დირექტივებთან შესაბამისობაში.

გარკვეულ ინტერესს იწვევს საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ევროკავშირის დირექტივების თავსებადობის საკითხი. ამასთან დაკავშირებით საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის ექსპერტი პ. კლარკი აღნიშნავს – „მრავალი ქვეყანა გრძნობს, რომ მათ ბუღალტრული აღრიცხვის საკითხში უნდა გააკეთონ არჩევანი ევროკავშირის დირექტივებსა და საერთაშორისო სტანდარტებს შორის. გამოკვლევები გვიჩვენებენ, რომ შესაძლებელია ორივე სისტემის ერთდროულიად გამოყენება, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ქვეყნებს შეუძლიათ ევროლიტექტივებიდან დაისესხონ ყველაფერი ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე“. მაგალითად, გასათვალისწინებელია ისეთი განსხვავებანი როგორიცაა დირექტივებსა და სტანდარტებს შორის დანახარჯების კაპიტალიზაციის, რეგულვების შექმნის, გუდვილის ამორფიზაციის საკითხი და სხვ. ჩვენ მიგვაჩინა, რომ ქვეყანამ, რომელიც ერთ-ერთ ამ სისტემათაგანს აირჩევს, უნდა მოახდინოს მათი შეჯერება თავის კანონმდებლობაში.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში აღრიცხვის სისტემების სრულყოფის საკითხებზე გარევეულ მუშაობას ეწევა გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება. მისი ხელშეწყობით შემუშავებული იქნა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, გარკვეული სამუშაოები სრულდება აუდიტის სისტემის ტრანსფორმაციის მიმართულებით და სხვ.

ბემოაღნიშნული საკითხების განხილვიდან შეიძლება გამოვიდანოთ შემდეგი დასკვნა:

- სხვადასხვა ქვეყნების საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშების სისტემებში არსებობს მსგავსება და არსებითი განსხვავდებანი. შესაძლებელია ქვეყნების დაჯგუფება აღრიცხვის სისტემების მიხედვით, ამავე დროს ყველა ქვეყნის სისტემა სუვერენულია;

- არსებობს სერიოზული მიზეზები, რომლებიც იწვევენ განსხვავებებს. (ეკონომიკის განვითარების დონე, სხვა ქვეყნების გავლენა, დამკვიდრებული ტრადიციები, ენა, კულტურის დონე, საერთო პოლიტიკური მდგომარეობა და სხვ.). აბსოლუტური იდენტურობის მიღწევა პრაქტიკულად არ ხერხდება;

- არსებობს ობიექტური მოთხოვნილება და მცდელობა აღრიცხვის სისტემების დაახლოებისა მსოფლიო მასშტაბით, რომელიც დიდი ხნის წინათ დაიწყო და დღესაც აქტუალურია;

- არსებითი ეკონომიკური წინააღმდეგობებისა და ობიექტურ ეროვნულ განსხვავებათა გამო, ხანგრძლივი და მრავალგზის შეთანხმებების შედეგად წარმოიქმნა საერთაშორისო სტანდარტები, რომლებიც ახლოსაა ამერიკულ და ევროპულ სტანდარტებთან. ეს სტანდარტები აფარებენ სარეკომენდაციო ხასიათს;

- საქართველომ უნდა შექმნას აღრიცხვა-ანგარიშების ეროვნული სისტემა, რომელსაც საფუძვლად დაედება საერთაშორისო სტანდარტები.

თავი II.

საქართველოს საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების თანამედროვე მდგრადართული და მისი სრულყოფის გზები

საქართველოში თანამედროვე საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების სისტემის ჩამოყალიბება გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო. როგორც ცნობილია, იმ პერიოდი-სათვის საბჭოთა კავშირის დაშლა გახდა გეგმიანი ეკონომიკის მსხვრევისა და საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის დამა-გვირგვინებელი ეფაპი. რა დამახასიათებელი ნიშნები გააჩნდა საბუღალტრო აღრიცხვის სისტემას გაგმიან ეკონომიკაში და როგორია მისი როლი საბაზრო ეკონომიკის პირობებში?

მოქმედი საბუღალტრო აღრიცხვის სისტემა ეფუძნებოდა საზოგადოებრივ საკუთრებას და სახელმწიფო მმართველობის მოთხოვნებს. ბუღალტრული ინფორმაციის მთავარი მომხმა-რებლები იყვნენ სამინისტროები, საგეგმო, სტატისტიკური, საფინანსო და საგადასახადო ორგანოები. მაშინდელ სისტემას არ შეეძლო დაეკმაყოფილებინა ინფორმაციის მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფების მოთხოვნილებით. საბუღალტრო აღ-რიცხვი არ იყო უმომავრულო ფინანსური და სამმართველო აღრიცხვად, ამის შედეგად არ იყო უბრუნველყოფილი საწარმოთა კომერ-ციული საიდუმლოების დაცვა. ფინანსური ანგარიშგების შედ-გენისას არ იყენებდნენ შეფასების საერთაშორისო პრაქტიკაში აღიარებულ მეთოდებს, რაც უარყოფითად მოქმედებდა რეა-ლური ფინანსური შედეგების განსაზღვრაზე და ვერ უბრუნველ-ყოფდა ფინანსური მაჩვენებლების შესადარისობას სხვა ქვეყ-ნების კორპორაციათა მაჩვენებლებთან. ბუღალტრული აღრიცხ-ვის ნორმატიული აქტები საგრძნობლად ზღუდავდნენ საკუთარი სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავების შესაძლებლობებს, ხოლო ბუღალტრის სამუშაო არ აფარებდა ანალიტიკურ ხასიათს.

გეგმიანი ეკონომიკის საბუღალტრო აღრიცხვის სისტემის ერთ-ერთ მთავარ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენდა, მისი დაქვემდებარებულობა საგადასახადო კანონმდებლობაზე და პირიქით, გადასახადების გადახდევინება ხშირად საბუღალტრო აღრიცხვის მეთოდოლოგიაზე იყო დამოკიდებული. ფინანსური ანგარიშგება ორი ფორმით იყო წარმოადგენილი. კერძოდ, ბუღალტრული ბალანსისა და მოგება-ტარალის ანგარიშის სახით. ბალანსი არ ასახავდა საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის სრულყოფილ სურათს, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი გახდებოდა მისი ფინანსური მდგომარეობის შეფასება, ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის ზუსტი განსაზღვრა და ა.შ.

საწარმოო მარაგების შეფასება ხდებოდა მხოლოდ ფაქტიური თვითღირებულებით და არა უმცირესი ღირებულების მეთოდით, როგორც ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო სტანდარტებით. მირითადი საშუალებების გადაფასება ხდებოდა მხოლოდ მთავრობის დადგენილებით, რაც არ იძლეოდა ფინანსურ ანგარიშგებაში მათი რეალური ღირებულებით ასახვის საშუალებას.

ფინანსური შედეგების ანგარიში მოიცავდა ისეთ მაჩვენებლებს, რომლებიც არაა დამახასიათებელი ამ ნგარიშისათვის. მაგალითად, მოგების განაწილება, ბიუჯეტში გადასახადები, დამატებული ღირებულების გადასახადი და სხვ. მთავარი მაჩვენებელი – საბალანსო მოგება, არ გვიჩვენებდა კომპანიის საქმიანობის ეფექტიანობას, მის რეალურ სურათს.

ადრე მოქმედ ანგარიშთა გეგმას არ შეეძლო აქსახა სამეურნეო ოპერაციების არსი, რომლებიც შეესაბამებოდნენ საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს. იგი მოიცავდა ბოგიერთ ტრანზიტულ ანგარიშებს, რომლებიც ბრდიდნენ ბუღალტრული ჩანაწერების რაოდენობას და ამით ართულებდნენ ფინანსური ანგარიშების მომზადებას. ამის გამო, ახალ პირობებში ძველი

წესებით შედგენილ ფინანსურ ანგარიშგებას აღარ შეეძლო უზრუნველეყო მომხმარებლები საჭირო ინფორმაციით.

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლისას წარმოიქმნება სხვადასხვა სახის რისკი და მოულოდნელობები, როგორიცაა მაგალითად პროდუქციის რეალიზაციის სიმძლეები, ფასების მერყეობა, ინფლაცია, არგადახდები და ა.შ. ჩნდება ისეთი ახალი ტიპის ოპერაციები როგორიცაა: ინვესტიციები სხვა საწარმოთა ფასიან ქაღალდებში, აქციების გამოშვება, ანგარიშსწორება უცხოურ ვალუტაში, მიწისა და უძრავი ქონების ბაზრის წარმოშობა, მონაწილეობა სხვა საწარმოებში, ქონების დაზღვევა, დივიდენდების გაცემა, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და სხვ. იცვლება საკუთრების სტრუქტურა და სახელმწიფო საკუთრება ხდება საკუთრების ერთ-ერთი და არა ერთადერთი ფორმა. ჩნდება მრავალი ახალი მესაკუთრე, რომლებიც დაინტერესებული არიან საწარმოს საქმიანობის შედეგებით, რამდენადაც ამ საწარმოში მათ თავიანთი სახსრები დააბანდეს. საწარმო ვალდებულია ეძებოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომელიც უზრუნველყოფს მის გამარჯვებას კონკურენცულ გარემოში და საჭირო რაოდენობით მოგებას. ამ მიზნით ის სწავლობს ბაზრის კონიუნქტურას, გეგმავს თავის საქმიანობას, პოულობს მიმწოდებლებსა და მყიდველებს, თვითონვე განსაზღვრავს ფასებს და ა.შ. ბიუჯეტური დაფინანსება და სახელმწიფო დაკრედიტება აღარ წარმოადგენს საწარმოს ფინანსური რესურსების ძირითად წყაროს, ამიტომ საწარმო ებმება კონკურენცულ ბრძოლაში არა მარგო გასაღების ბაზრებისათვის, არამედ კომერციული ბანკების საკრედიტო რესურსებისა და სხვა პოტენციალური ინვესტორების სახსრებისათვის. იცვლება და ფართოვდება ინფორმაციის მომხმარებელთა წრე. მატულობს მოთხოვნილება ინფორმაციის სანდოობაზე, სისრულესა და გამჭვირვალობაზე. აღნიშნული თავისებურება ერთ-ერთი ძირითადთაგანია, რომელიც სრულიად ახალ როლს

ანიჭებს საბუღალტრო აღრიცხვა ანგარიშგებას საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

ინფორმაციის მომხმარებელთა შორის შეიძლება გამოვყოთ შიგა და გარე მომხმარებელთა ჯგუფი. შიგა მომხმარებლებს მიეკუთვნება საწარმოს სამმართველო პერსონალი. რომელიც დებულობს საწარმო და ფინანსური ხასიათის სხვადასხვა გადაწყვეტილებებს. მათ შორის საბუღალტრო ანგარიშგების საფუძველზე.

ინფორმაციის გარე მომხმარებები შეიძლება იყვნენ: საწარმოს არსებული და პოტენციური მესაკუთრენი, კრედიტორები, მიმწოდებლები და მყიდველები, სახელმწიფო, საწარმოს მუშა-მოსამსახურები, აუდიტორული სამსახურები, ფასიანი ქაღალდების ბირჟები, საკანონმდებლო ორგანოები და სხვ. მათი უმეტესობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ფინანსური რესურსების მიმწოდებლები, რომელთაც სხვადასხვა ეკონომიკური ინტერესები გააჩნიათ საწარმოს მიმართ.

საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრება საბოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემისა და სამოქალაქო-სამართლებრივი სფეროს შეცვლასთან ერთად მოითხოვს საბუღალტრო აღრიცხვის აღეკვატურ ტრანსფორმაციას. სააღრიცხვო სისტემის გარდაქმნამ პრობლემური ხასიათი მიიღო არა მარტო საქართველოში, არამედ გარდამავალი ეკონომიკის მქონე თითქმის ყველა ქვეყანაში. ამასთან ერთად გასათვალიშვილია ის ფაქტორიც, რომ მიუღებელია არსებული სისტემისა და ტრადიციების ძირფესვიანი მოშლა. საჭიროა როგორც საზღვარგარეთის ქვეყნების საბუღალტრო აღრიცხვის მოწინავე პრაქტიკის ათვისება, ასევე ეროვნული ტრადიციების შენარჩუნება. აქედან გამომდინარე, სისტემური ცვლილებები უნდა განხორციელდეს არა ერთბაშად, არამედ თანდათანობითი ტრანსფორმაციით, ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინებით.

საქართველოს საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგებისადმი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი რეგულირება საბაზრო

ეკონომიკის პრინციპებზე გადასვლასთან ერთად დაიწყო. მე-მკვიდრეობით მივიღეთ აღრიცხვა-ანგარიშგების საბჭოური სისტემა და მისი მართვის მცირე გამოცდილება. ქვეყანა აღ-მოჩნდა ორი სერიოზული პრობლემების წინაშე: პირველი, უნდა შეგვექმნა საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების მარეგული-რებელი ქართული საკანონმდებლო ნორმატიული ბაზა და მეორე, მოგვეხდინა სისტემის ტრანსფორმაცია საბაზრო ეკო-ნომიკის მოთხოვნათა შესაბამისად. ამ მიმართულებით ჩატა-რებულ სამუშაოებს შორის შეიძლება შემდეგი მომენტების გამოყოფა:

– მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო „საბუ-ღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების“ მიღება. ეს დოკუმენტი პრინციპულად განსხვავდებოდა წინა-მორბედისაგან, რომელიც გამომდინარებდა ახალი ეკონომი-კური ურთიერთობებიდან. საწარმოებს მიეცათ უფლება დამო-უკიდებლად აერჩიათ ანგარიშწარმოების ფორმები და მეთო-დები, შეემუშავებინათ შიგასამეურნეო აღრიცხვის, ანგარიშგე-ბისა და კონტროლის სისტემა. დებულებით განისაზღვრა უცხო-ურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გადაანგარი-შების მექანიზმი სახელმწიფო ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად. მნიშვნელოვანი უფლებები მიეცათ საწარმოებს სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისებისა და უიმედო ვალების ჩამოწერის საკითხში. სიახლეს წარმოად-გნდა ისიც, რომ არამატერიალური აქტივები აღრიცხვის ობიექტი გახდა.

– გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის შემუშავება და მიღება, რომელშიც აღეკვატურად იქნა წარმოჩენილი ახალი რეალობები. კერძოდ, საერთაშორისო საბუღალტრო აღრიცხვის პრაქტიკაში დამკვიდრებული „და-რიცხვის მეთოდი“. „საეჭვო ვალების რეგისტრის“ შექმნის პრაქ-ტიკა. შემუშავდა ფასიანი ქაღალდების ბუღალტრული აღრიცხ-

ვის წესები, რომლითაც დარეგულირდა აქციების, ობლიგაციების, შემნახველი სერთიფიკატების, თამასუქებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების აღრიცხვა.

– ბუღალტრული აღრიცხვის ნორმატიული რეგულირების საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებას. ამ ნორმატიული აქტით ქვეყნის საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგებაში დამკვიდრდა გარკვეული სიახლეები, კერძოდ, ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაციისათვის პასუხისმგებლობა დაეკისრა საწარმოს ხელმძღვანელს, განისაზღვრა მცირე საწარმოს სტატუსი, სამეცნეო წლის ხანგრძლივობა, ბალანსისა და მოგება-გარალის ანგარიშის სტრუქტურა, ბალანსის მუხლების შეფასების მეთოდები და სხვ. მიუხედავად ამისა კანონს მიღმა დარჩა მთელი რიგი ორგანიზაციულ-მეთოდური და სამართლებრივი საკითხები. დღემდე შემუშავებული არ არის პროდუქციის თვითღირებულების დაგეგმვის, აღრიცხვისა და კალკულაციის ტიპობრივი მეთოდური რეკომენდაციები და სხვ.

– საქართველოს საბუღალტრო აღრიცხვის სისტემაში განხორციელებული ცვლილებებიდან უნდა აღინიშნოს „ბუღალტრული აღრიცხვის რეგულირების შესახებ“, კანონის მიღება, რომლის თანახმადაც საერთაშორისო სტანდარტები გამოცხადდა საქართველოს ეროვნულ სტანდარტებად. ამას მოჰყვა მოქმედი ნორმატიული აქტების ნაჩქარევად გაუქმდა თავისი უარყოფითი შედეგებით, რომელიც მრავალი მეცნიერ-ეკონომისტის კრიტიკის საგანი გახდა.

გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების რეფორმირების პროცესების შესწავლის საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი:

– ერთ დროს აღრიცხვა-ანგარიშგების ერთიანი სისტემის მქონე რესპუბლიკებში, ცალკეულ სახელმწიფოებად ჩამოყალიბების შემდეგ წარმოიქმნა განსხვავებანი. თუმცა კონცეპტუალური მიღვომები ერთნაირია, რაც იმაში გამოიხატება რომ

დამოუკიდებელმა ქვეყნებმა აღრიცხვა-ანგარიშგების გარდა-
ქმნა დაიწყეს ანალოგიური საკანონმდებლო აქტების შე-
მუშავებით.

– ყველა ქვეყანაში მიღებული იქნა კანონი „ბუ-
ღალტრული აღრიცხვის შესახებ“ და შესაბამისი დებულებები,
როგორც ბოგადად აღრიცხვა-ანგარიშგების თაობაზე, ასევე
აღრიცხვის ცალკეულ საკითხებზე.

– რეფორმირების პროცესებს საფუძვლად დაედო
წინასწარ შემუშავებული და დამტკიცებული „კონცეფცია“ და
სახელმწიფო „პროგრამა“.

– შენარჩუნებული იქნა სახელმწიფო რეგულირების
სისტემა. ყველა ქვეყანაში აღრიცხვა-ანგარიშგების სისტემას
არეგულირებს სახელმწიფო ფინანსთა სამინისტროს მეშვეობით.

– აღრიცხვის რეფორმა მიმდინარეობს ეტაპობრივად.

– ყველა ქვეყანაში მიღებული იქნა საერთაშორისო
სტანდარტების ბაზაზე შემუშავებული ეროვნული სტანდარტები.

– ბოგიერთ ქვეყანაში (მოლდავეთი, ყაბახეთი, ბელო-
რუსია, აზერბაიჯანი) კვლავ შენარჩუნებულია ანგარიშგების
წარდგენა სტატისტიკური ორგანოებისთვის. საქართველოში
აღნიშნული წესი გაუქმებულია რაც ხელს უშლის ქვეყნის
მასშტაბით მრავალი მნიშვნელოვანი მაჩვენებლის მოპოვებას.
მიგვაჩნია, რომ ბუღალტრულ ანგარიშგებაში მოცემული საჯა-
რო ინფორმაცია სტატისტიკური დამტკიცების ობიექტს უნდა
წარმოადგენდეს. გარდა ამისა საბიუჯეტო შემოსავლების
პროგნოზირების მიზნით, უპრიანდა აგრეთვე გარკვეული მოდი-
ფიცირებული ფორმით ანგარიშის წარდგენა საფინანსო
ორგანოებისთვისაც.

– საქართველოში წლიური ბუღალტრული ანგარიშგების
შედგენის პერიოდი განისაზღვრება წლის დასასრულიდან
მომდევნო სამი თვის განმავლობაში. განვითარებულ ქვეყნებში
ეს ვადები გაცილებით დიდია, (ექვს თვემდე) ხოლო მცირე
საწარმოებისათვის ცხრა თვემდეც კი. ამასთან დაკავშირებით

საჭიროდ მიგვაჩნია გადაისინჯოს ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის ვადები. ამის განხორციელება საჭიროა იმის გამოც, რომ ცალკეულ შემთხვევებში წლიურ ანგარიშს უნდა ახლდეს აუდიტორული დასკვნა. ანგარიშის შედგენისა და აუდიტის ჩატარების ვადების თანხვედრა პრაქტიკაში გარკვეულ სირთულეებს იწვევს, რომელიც უარყოფითად მოქმედებს, როგორც ანგარიშგების ასევე აუდიტის ხარისხშე.

ჩატარებული ანალიზიდან ირკვევა, რომ საბუღალტრო აღრიცხვის რეფორმირების საკითხებში საქართველოს მიდგომები მნიშვნელოვნად განსხვავებულია გარდამავალი ეკონომიკის მქონე სხვა სახელმწიფოებისაგან.

აღრიცხვა-ანგარიშგების არსებული მდგრმარეობის ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა შემდეგი პრობლემები:

პირველი, საბუღალტრო აღრიცხვის ნორმატიული ბაზის სრულყოფის აუცილებლობა. როგორც ცნობილია 2000 წლიდან საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის ნორმატიულ ბაზად აღიარებულია საერთაშორისო სტანდარტები. სათანადო ნორმატიული ბაზის არსებობა კი სტანდარტებთან ერთად გულისხმობს დახვეწილი ინსტრუქციულ-მეთოდური მასალების შემუშავებასა და დანერგვას, რომლებიც მისადაგებული იქნება სამოქალაქო, საგადასახადო, საბანკო, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა ნორმატიულ აქტებთან.

სამწუხაროდ საერთაშორისო სტანდარტები თავისი ბოგადი ხასიათის გამო სრულყოფილად ვერ აკმაყოფილებენ მომხმარებელთა მოთხოვნებს. მათი ძირითადი დანიშნულების შესახებ პროფ. რ. ძაბაშია აღნიშნავს – „ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები არ არეგულირებენ ცალკეული სააღრიცხვო ობიექტების აღრიცხვის წესს. ისინი ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებია და არა ანგარიშწარმო-

ებისა¹. სავსებით შეიძლება დავეთანხმოთ ავტორს, რადგანაც სტანდარტები არ აღწერენ ამა თუ იმ ინფორმაციის ფორმირების წესებს სააღრიცხვო პროცესის მსვლელობაში და ისინი მართლაც ბუღალტრული ანგარიშგების შედგენის წესებია ვიდრე ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისა.

აღნიშნულის გამო ფინანსური (ბუღალტრული) ანგარიშგება მოწყვეტილია მიმდინარე ბუღალტრული აღრიცხვისაგან, ანუ ამოვარდნილია სააღრიცხვო ციკლიდან. მაგალითად, სტანდარტები მოითხოვენ, რომ საანგარიშო პერიოდის ბოლოს მოხდეს ქონებისა და ვალდებულებების შეფასება და ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში, მაგრამ, არაფერს ამბობს როგორ ავსახოთ მსგავსი ოპერაციები მიმდინარე ბუღალტრულ აღრიცხვაში. აქედან გამომდინარე ფინანსური ანგარიშგების შედგენის სტანდარტისეული მოთხოვნები ნებით თუ უნებლიერ გავლენას ახდენენ მიმდინარე ბუღალტრულ აღრიცხვაშე. მაშა-სადამე, მარტო ანგარიშგების შედგენის სტანდარტები საკმარისი არ არის.

აღრიცხვა-ანგარიშგების მდგომარეობაშე დაკვირვებისა და ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ სამეწარმეო სუბიექტებს ესაჭიროებათ უფრო დაწვრილებითი ახსნა იმისა თუ როგორ მოაწყონ აღრიცხვის საკუთარი სისტემია. ისინი საჭიროებენ შესაბამის ნორმატიულ-მეთოდურ მასალებს არა მარტო ფინანსური ანგარიშგების შედგენის საკითხებში, არამედ სამმართველო აღრიცხვაშიც. დღეს დისკუსია იმართება იმის გარშემო, იძლევა თუ არა სამმართველო აღრიცხვის მოქმედი სისტემა შიგა მმართველობისათვის საჭირო ინფორმაციას? უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ადრე მოქმედი ნორმატიულ-მეთოდური ხასიათის აქტებიდან პრაქტიკულად აღარაფერი შემორჩა. ნაკლებ ინფერესს იჩენენ იმის მიმართ,

1. რ. ძაბაშია - ბუღალტრული აღრიცხვის რეფორმის მიმდინარეობა და მისი განხორციელების პრობლემები. ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება, 1998., № 6, გვ. 16.

სწორად ადგენენ თუ არა თვითლირებულების კალკულაციას მრეწველობაში, მშენებლობაში, სოფლის მეურნეობაში და ა.შ.

გემოაღნიშვნულიდან გამომდინარე ქვეყანაში მოქმედი ნორმატიული აქტები (სტანდარტები, ინსტრუქციები, დებულებები და ა.შ.) უნდა მოიცავდეს არა მარტო ფინანსური ანგარიშგების შედგენის წესებს, არამედ სამეცნიერო სქამიანობის მთელ სააღრიცხვო ციკლს. აქედან გამომდინარე საჭიროა შეიქმნას ნორმატიულ-მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული რეგლამენტაციის მრავალდონიანი სისტემა, რომელშიც შეიძლება გამოიყოს ნორმატიული აქტების შემდეგი ოთხი ჯგუფი:

პირველ ჯგუფში შევა ისეთი აქტები, როგორიცაა კანონები, პრეზიდენტის განკარგულებები და ბრძანებულებები, მთავრობის გადაწყვეტილებები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ არეგულირებენ აღრიცხვა-ანგარიშგებას.

მეორე დონის აქტებს შეიძლება მივაკუთვნოთ სტანდარტების კომისიის მიერ გამოცემული სტანდარტები, დებულებები და ინსტრუქციები, ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა. მათში განბოგადებული იქნება ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპები და ანგარიშწარმოების საბაზისო წესები, ძირითადი განმარტებანი და აღრიცხვის ცალკეული საკითხები.

მესამე დონის დოკუმენტებს შეიძლება მივაკუთვნოთ განმარტებები და მეთოდური მითითებები აღრიცხვის ცალკეულ საკითხებზე, როგორიცაა მაგალითად პროდუქციის თვითლირებულების კალკულაციის, ინვენტარიზაციის ჩატარების, ბალანსისა და ანგარიშგების სხვა ფორმების შევსების წესები და სხვ. ცალკეული ინსტრუქციებისა და მეთოდური მითითებების პროექტები ერთვნული მეურნეობის დარგებისათვის (მრეწველობის, მშენებლობის, მეცნიერების, ვაჭრობის, კომუნალური, სოფლის მეურნეობის და ა.შ.) შეიძლება მოამზადონ პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა, სამინისტროებმა, სამეცნიერო დაწესებულებებმა. და სხვ.

დოკუმენტების მეოთხე ჯგუფში შეიძლება გავაერთიანოთ თვით საწარმოში შექმნილი სამუშაო დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავენ სააღრიცხვო პოლიტიკას მეთოდურ, ტექნიკურ და ორგანიზაციულ ასპექტებში.

მეორე, საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების სამართლებრივი რეგულირების სისტემის სრულყოფა. ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის განვითარება და ეფექტიანი შედეგების მიღება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მარეგულირებელ ორგანოზე. უფრო კონკრეტულად, როგორი იქნება რეგულირების პროცესში სახელმწიფოსა და პროფესიონალური ორგანიზაციების როლი და ფუნქციები.

აღნიშნული საკითხი უკანასკნელ წლებში მეტად აქტუალურია, რომლის ირგვლივაც ხშირი დისკუსიები იმართება. იკვეთება სხვადასხვა პოზიციები და შეხედულებანი. ამ თემას თავიანთი შრომები მიუძღვნეს როგორც საბღვარგარეთის ისე ქართველმა ავტორებმა (დ. ბლეიკი, ო. ამაგი, ა. შერემეტი, ა. ბაკავი, ვ. ვანკევიჩი, ვ. პარხომენკო, ო. პეტროსიანი, ვ. ცურკანუ, ე. ხარაბაძე, ე. კუპრეიშვილი, რ. ძაძამია, ლ. ჭუმბურიძე და სხვ.).

შესაბამისი ლიტერატურისა და ცალკეულ სახელმწიფოებში აღრიცხვა-ანგარიშგების მარეგულირებელი ნორმაციული ბაზის შესწავლის საფუძვლებელი ირკვევა, რომ სხვადასხვა ქვეყანაში არსებობს რეგულირების სხვადასხვა მოდელი. გემოაღნიშნული იმაში გამოიხატება, რომ მარეგულირებლის ფუნქციას ასრულებენ როგორც სახელმწიფო ორგანოები, ასევე პროფესიონალური ორგანიზაციები, ფასიანი ქაღალდების კომისიები; ადგილი აქვს სახელმწიფო ფუნქციების დელეგირებას ცალკეულ საკითხებში ან ხორციელდება შერეული ტიპის რეგულირება. ინტერესმოკლებული არ იქნება მიმოვიხილოთ ამ პრობლემების ბოგიერთი ასპექტი.

ბუღალტრული აღრიცხვის განვითარების ეფოლუციაში ჩამოყალიბდა მისი რეგულირების ორი ფორმა: ცენტრალიზე-

ბული რეგლამენტაცია და იურიდიული რეგულირება. პირველი მათგანი გულისხმობს სააღრიცხვო პოლიტიკის ერთვარიანტიან სისტემას და სააღრიცხვო პროცედურების უნიფიკაციას სახელმწიფო ორგანოების მიერ.

იურიდიული რეგულირება დიდი ხნის წინათ წარმოიშვა და ჩამოყალიბდა პროფესიული პასუხისმგებლობის თანამედროვე ევრო-ამერიკულ ვარიანტად. ამ შემთხვევაში ორიენტირი აღებულია ზოგადად სააღრიცხვო დოკუმენტებისა და მეთოდოლოგის იურიდიულ დასაბუთებულობაზე.

პროფესიული დამოუკიდებლობა წარმოიქმნა, როგორც ბულალტრული აღრიცხვის მეთოდოლოგიის თვითგანვითარების შედეგი და როგორც ბულალტერთა სამოგადოებრიობის თვითდაცვის საშუალება. დამოუკიდებლობის განვითარებამ გაიარა გზა ბულალტერ-ჩინოვნიკთა პროფესიონალური კასტის მიერ ცოდნაზე მოხოპოლიდან, ეროვნული და საერთაშორისო დონის თანამედროვე დამოუკიდებელი პროფესიონალური ორგანიზაციების ჩამოყალიბებამდე.

ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში დიდ ბრიტანეთში ჩამოყალიბდნენ ისეთი პროფესიონალური ორგანიზაციები, როგორიცაა შოტლანდიის სამოგადოებრივ ბულალტერთა ინსტიტუტი (1854წ.); ინგლისისა და უელსის ინსტიტუტი (1870წ.); დიდი ბრიტანეთის ბულალტერთა სამოგადოებრივი ორგანიზაცია; სახელმწიფო ფინანსებისა და აღრიცხვის ინსტიტუტი და სხვ.

ინგლისური მოდელის მიხედვით შეიქმნენ: ირლანდიის პროფესიონალურ ბულალტერთა ინსტიტუტი (1888წ.); სამოგადოებრივ ბულალტერთა ამერიკის ინსტიტუტი (1887წ.); ავსტრალიის ბულალტერთა სამოგადოება (1887წ.); ნიდერლანდების ბულალტერთა ინსტიტუტი (1895წ.); კანადის სამოგადოებრივ ბულალტერთა ინსტიტუტი (1880 წ.); ასეთი სამოგადოებრივი ორგანიზაციი მოგვიანებით (1932 და 1942 წლებში) ჩამოყალიბნენ გერმანიასა და საფრანგეთში. მაგალითად, საფრანგეთში

საბუდალტრო აღრიცხვის რეგულირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ: საბუდალტრო აღრიცხვის ეროვნული საბჭო; ფასიანი ქაღალდების ოპერაციების კომისია; ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროსთან არსებული აუდიტორთა ეროვნული ინსტიტუტი (სახელმწიფო ორგანიზაცია) და სხვ.

იაპონიაში აღრიცხვა-ანგარიშგების რეგულირება იმყოფება სახელმწიფო აპარატის მნიშვნელოვანი ზეგავლენის ქვეშ, მაგრამ მას ბევრი საერთო აქცეს აშშ აღრიცხვა-ანგარიშგების სისტემასთან. იაპონიაში აღრიცხვის განვითარების განმსაზღვრელ ძირითად ორგანიზაციებად ითვლებიან იაპონიის ფინანსთა სამინისტროსთან არსებული საბუდალტრო აღრიცხვის საბჭო და ფასიანი ქაღალდების ბიურო, იაპონიის დიპლომირებულ ბუდალტერთა და აუდიტორთა ინსტიტუტი და სხვ.

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს რუსეთში იყო მცდელობა შექმნილიყო ნაფიც ბუდალტერთა ინსტიტუტი, მაგრამ ეს იდეა არ განხორციელდა.

ბოგიერთ ქვეყანაში აღრიცხვა-ანგარიშგებას არეგულირებენ მთავრობის მიერ დანიშნული ორგანიზაციები. მაგალითად, ესპანეთში ასეთ ორგანიზაციას წარმოადგენს – „ბუდალტერთა და აუდიტორთა ინსტიტუტი“, ამერიკის შეერთებულ შტატებში – ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების საბჭო და ბუდალტერული აღრიცხვის სამთავრობო საბჭო. ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესი ბუდალტრული აღრიცხვის რეგულირებას დელეგირებას უკეთებს ფასიანი ქაღალდების კომისიას და ფასიანი ქაღალდების ბირჟას, აგრეთვე მთავრობის მიერ დანიშნულ სხვა ორგანიზაციებს¹.

პროფესიონალური ორგანიზაციების მიერ გამოცემული დოკუმენტების ნორმატიული ხასიათი სხვადასხვა ქვეყანაში შეიძლება სხვადასხვანაირად გამოვლინდეს. ასე მაგალითად,

კანადაში კანონი ერთმნიშვნელოვნად მოითხოვს კომპანიები-საგან ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესრულებას. ანალოგიური წესებია გათვალისწინებული დიდ ბრიტანეთში მსხვილი კომპანიებისათვის. აშშ-ში სამთავრობო ორგულირებად ორგანოს შეუძლია მოსთხოვოს კომპანიებს ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომისიის მიერ მიღებული ნორმები და სხვ.

ბემოაღნიშნულიდან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ბუღალტრული აღრიცხვის რეგულირების საკითხში შეინიშნება ორი ტენდეცია. პირველი მათგანი გულისხმობს თვითრეგულირების განვითარებას, ბუღალტრულ აღრიცხვაში მიღომებისა და ხერხების თავისუფალ არჩევანს, ხოლო მეორე, სახელმწიფო ორგანოთა სულ უფრო მეტად ჩარევას რეგულირების პროცესში.

განსხვავებულ პროცესებთან გვაქვს საქმე გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში და მათ შორის საქართველოში. მასალების შესწავლით ირკვევა, რომ ყველა პოსტკომუნისტურ ქვეყანაში შენარჩუნებულია აღრიცხვა-ანგარიშგების სახელმწიფო ორგულირების სისტემა. ამავე დროს დიდია ბუღალტრთა პროფესიონალური ორგანიზაციების სწრაფვა რეგულირების მექანიზმის დაუფლებისაკენ. აღნიშნული პრობლემა საქართველოში განსაკუთრებული სიმწვავით გამოიკვეთა, რასაც შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებებიც მოჰყვა.

1999 წელს მიღებული იქნა კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ორგულირების შესახებ“, რომლის მიზანია სახელმწიფო ორგულირებისა და თვითღირებულების სფეროების გამიჯვნა, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრება. სახელმწიფო მარეგულირებელ ორგანოდ აღიარებულია ფინანსთა სამინისტრო, თუმცა მისი კომპენტენციის სფეროში შედის მხოლოდ საჯარო სექტორის (საბიუჯეტო ორგანიზაციების) აღრიცხვა-ანგარიშგების საკითხები.

რაც შეეხება კერძო სამართლის იურიდიულ პირებს მათი აღრიცხვა-ანგარიშგება თვითრეგულირებას დაექვემდებარა. გე-მოაღნიშნული კანონი 1999-2012 წლებში მოქმედებდა. როგორ ხორციელდებოდა თვითრეგულირება ბოლო 12 წლის განმავლობაში?

პირველი, კანონი მოითხოვდა, რომ კერძო სექტორში თვითრეგულირება უნდა განეხორციელებინა საქართველოს პარლამენტთან არსებულ ბუღალტრული აღრიცხვის სფანდარტების კომისიას და ბუღალტერთა დამოუკიდებელი პროფესიულ ორგანიზაციებს. განვიხილოთ თითოეული მათგანის როლი და ფუნქციები.

პარლამენტთან არსებული სფანდარტების კომისიაში კანონის მიხედვით გაერთიანებული უნდა ყოფილიყო ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსების, ბიზნესის, ეკონომიკისა და სამართლის სფეროს წარმომადგენლები, თუმცა უნდა ავღნიშნოთ, რომ კომისია უპირველეს ყოვლისა დაკომპლექტებული უნდა ყოფილიყო მაღალკვალიფიციური ბუღალტერ-მეთოდოლოგებით და არა ბიზნესმენებით, ეკონომიკისა და სამართლის სფეროს წარმომადგენლებით, რაც არ განხორციელდა. ასეც რომ ყოფილიყო, სახელმწიფო ორგანოს როგორ უნდა განეხორციელებინა თვითრეგულირება? ასე რომ, იდეა თავიდანვე მცდარი აღმოჩნდა, რაც პრაქტიკამ მომდევნო წლებში საგსებით დაადასტურა.

სფანდარტების კომისიის ფუნქციებში შედიოდა ქართულ ენაზე თარგმნილი ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სფანდარტებისა და მათი ინტერპრეტაციების, დროებითი სფანდარტებისა და ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის სამოქმედოდ შემოღება. მიუხედავად ამისა, კომისიის ფუნქციები და შესაძლებლობები ფრიად შეზღუდული იყო, მისი საზოგადოებრივ საწყისებზე ფუნქციონირების გამო. ასეთი მნიშვნელოვანი სფეროს მარეგულირებელი ორგანოს საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობა საბაზრო ეკონომიკის პირობებში გამართ-

ლებული არ არის. ასეთი ანალოგი რომელიმე ქვეყანაში მნელად თუ მოიძებნება.

მეორე, კომისიას უფლება არ ჰქონდა თვითონ შეეი-მუშავებინა მარეგულირებელი ნორმატიული აქტების პრო-ექტები. ასეთი პროექტები აუცილებლად ბუღალტერთა პროფე-სიონალური ორგანიზაციებიდან უნდა შესულიყო, ამის გამო მისი მუშაობა მთლიანად დამოკიდებული გახდა პროფესიო-ნალური ორგანიზაციების მუშაობაზე.

მესამე, კომისიის წევრები თანამდებობრივად არავის ემორჩილებოდნენ, რის გამოც დაბალი იყო პასუხისმგებლობის დონე.

როგორც ჩემთ ავღნიშნეთ ნორმატიული აქტების პრო-ექტებს შემუშავება ევალება ბუღალტერთა პროფესიონალურ ორგანიზაციებს. თუმცა ისინი, თუ არ ჩავთვლით პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციას, ბუღალტრული აღრიცხვის რეგულირებაში არავითარ მონაწილეობას არ ღებუ-ლობენ. ეს გამოწვეულია იმით, რომ კანონმდებლობით რეგუ-ლირება ბოგადად ყველას ევალებოდა, კონკრეტული პასუ-ხისმგებლობა კი არავის ეკისრებოდა. თუ გადავხედავთ გარ-დამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების მიერ ამ სფეროში განხორციელებულ ღონისძიებებს მათთან შედარებით მდგო-მარეობა მეტად არასახარბიველო.

2012 წლის 29 ივნისს მიღებული იქნა კანონი „ბუ-ღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“, კანონით უნდა დარეგულირებულიყო ისეთი მნიშვნე-ლოვანი საკითხები, როგორიცაა: საქართველოში ბუღალტ-რული აღრიცხვის წარმოების, ფინანსური ანგარიშგების მომზა-დების, წარდგენისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩა-ტარების სამართლებრივი საფუძვლები. შეიძლება ითქვას, რომ ახალი კანონი შემუშავებული იქნა „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანო-ნისა და „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“, საქართველოს

კანონის საფუძველზე. რა მთავარი ასპექტების გამოყოფა შეიძლება ამ კანონიდან:

პირველი, განიმარტა სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტრისა და სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსები;

მეორე, გამოიკვეთა აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის სტატუსი;

მესამე, გაიგივდა პროფესიონალი ბუღალტრისა და აუდიტორის პროფესია;

მეოთხე, განიმარტა პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტის, განგრძობითი განათლების სტანდარტისა და აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის სტატუსები.

მთავარი ამოცანა, რაც ამ კანონის წინაშე დაისახა იმაში მდგომარეობდა, რომ მისი ამოქმედებით უნდა შექმნილიყო გარემო, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა საბუღალტრო აღრიცხვის წარმოების წესების შემუშავება, პროფესიონალი ბუღალტრის სტატუსის მოპოვება ცალკეული ფიზიკური პირების მიერ, აუდიტორის სტატუსის მოპოვება. არც ერთი ბემოთ ჩამოთვლილი ამოცანა შესრულებული არ იქნა, უფრო მეტიც, შეიქმნა გარკვეული უძრაობა და სიტუაცია შევიდა ჩიხში. კანონი დღემდე სრულყოფილად ვერ მუშაობს მასში არსებული სერიოზული ხარვეზების გამო.

პირველ რიგში შეიძლება ითქვას, რომ იგი დისკრიმინაციული ხასიათის ნორმების მატარებელია და რეალურად ეწინააღმდეგება „კონკურენციის შესახებ“, საქართველოს კანონის მოთხოვნებს. საქმე იმაშია, რომ ყველა უფლება და პრივილეგია, რაც არსებობს ამ სფეროში ენიჭება აკრედიტებულ პროფესიულ ორგანიზაციას. აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია კი არის ბუღალტერთა და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაცია, რომელიც რეგისტრირებულია არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირად და არის ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ნამდვილი წევრი ან ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ აღიარებული

რეგიონალური ორგანიზაციის ნამდვილი წევრი. აქედან გამომდინარე, ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის წევრს ავტომატურად ენიჭება აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის სტატუსი, რაც მართებულად არ მიგვაჩნია, იმ პირობებში, როდესაც საქართველოში ობიექტური მიზეზების გამოარ არსებობს სხვა არცერთი აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია.

ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის წევრს, რომელიც ავტომატურად ითვლება აკრედიტებულად, აქვს შემდეგი მონიპოლიური პრივილეგიები, რომელიც „ვალდებულების, ფორმით არის შენიდბული, კერძოდ, „აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია, რომელიც ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ნამდვილი წევრია, ვალდებულია - ქართულ ენაზე თარგმნის და გამოსცეს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები, მცირე და სამუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები, ხარისხის კონფრონლის საერთაშორისო სტანდარტი, პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსი და სხვა ნორმატიული აქტები. შესაბამისად ამ სფეროში კონკურენციული გარემოს შექმნის მიზნით აუცილებელია, რომ ყველა პროფესიული ორგანიზაცია ჩაყენებულ იქნას თანაბარ პირობებში. აკრედიტაციის უფლების მოპოვებისათვის უპირობოდ არ უნდა იქნეს მიჩნეული, რომელიმე საერთაშორისო თუ რეგიონული ორგანიზაციის წევრობა.

დღევანდელი პირობებში პრობლემურია აგრეთვე ამა თუ იმ ფიზიკური პირის სერტიფიცირებულ პროფესიონალ ბუღალტრად აღიარების მექანიზმი, კერძოდ, სერტიფიცირებულ პროფესიონალ ბუღალტრად შეიძლება აღიარებული იქნეს მხოლოდ ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრ ქვეყანაში არსებული ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის ნამდვილი წევრი პროფესიული ორგანიზაციის წევრი - ფიზიკური პირი. სხვა შემთხვევაში აკრედიტებულ

პროფესიულ ორგანიზაციას უფლება აქვს, მოითხოვოს ცოდნის დადასტურება. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ „საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია დაადგინოს იმ სახელმწიფოთა ჩამონათვალი, რომელთა ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ნამდვილი წევრი პროფესიული ორგანიზაციის ნამდვილი წევრობის შემთხვევაშიც, აკრედიტებულმა პროფესიულმა ორგანიზაციამ ფიზიკური პირი სერტიფირებულ პროფესიონალ ბუღალტრად უნდა აღიაროს,, როგორც ვხედავთ, ამ წესების შესაბამისად, ბოგიერთი პირი შესაბამისი სასერტიფიკაციო პროცედურების გარეშე ხდება საქართველოს პროფესიონალი ბუღალტრის სტატუსის მქონე, რაც არაჯანსაღი გარემოს შექმნას განაპირობებს და ხელს უშლის ბუღალტერთა სერტიფიცირების კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას. უცხო ქვეყნის ფიზიკური პირისადმი (მოქალაქისადმი) და საქართველოს მოქალაქისადმი პროფესიონალი ბუღალტრის თუ აუდიტორის სტატუსის მინიჭებისას წაყენებული უნდა იქნას თანაბარი მოთხოვნები. არამართებულია, რომელიმე ორგანიზაციის წევრობა საქართველოში იძლეოდეს რამე უპირატესობას და პრივილეგიებს. მით უმეტეს გაუვებარია მთავრობისადმი ასეთი უფლებამოსილების მინიჭება.

როგორც ბემოთ ავღნიშნეთ, სახელმწიფო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები არის საბიუჯეტო ორგანიზაციებისადმი და საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის დადგენილი ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების წესები. ამასთან ერთად საქართველოს მთავრობას უფლებამოსილება ეძლევა სახელმწიფო სექტორის ცალკეული კატეგორიების დაწესებულებებისთვის დაადგინოს კერძო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების გამოყენების ვალდებულება.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ კერძო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება აგებულია სამეწარმეო სუბიექტის, როგორც მოგებაზე თრიენტირებული

სუბიექტის საქმიანობაზე, შემოსავლების მიღების წყაროებზე (როგორიცაა მაგალითად ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება მოგების, შემოსავლის მიღების მიზნით), რაც აბსოლუტურად განსხვავდება საბიუჯეტო სექტორის ორგანიზაციების საქმიანობისაგან, რომელთა შემოსავლის ძირითად წყაროს ბიუჯეტიდან მიღებული ფინანსური სახსრები წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, აღნიშნული სფეროს ორგანიზაციებისათვის მთავრობის მიერ კერძო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სფანდარტების გამოყენების ვალდებულების დაკისრება გაუმართველებელია და პრაქტიკულად შეუძლებელიც კი.

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, „აკრედიტებულ პროფესიულ ორგანიზაციას“, აქვს სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე პირთა რეესტრში იურიდიული პირის რეგისტრაციის უფლება იმ შემთხვევაში, თუ იგი არის ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის ნამდვილი წევრი. გარდა ამისა საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილია¹ საწარმოებისათვის აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა ნუსხა, რომელიც ქვემოთმოცემული კომპანიებით არის წარმოდგენილი: სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო; ბ) ფრაისვოთერ-ჰაუსკეპერსი (PricewaterhouseCoopers); გ) დელიტი (Deloitte); დ) ქეი ფი ემ ჯი (KPMG); ე) ერნსტ ენდ იანგი (Ernst & young); ვ) გრანთ თორნბონი (Grant Thornton); გ) ბიდიო (BDO); ო) ბეიკერ ტილი (Baker Tilly); ი) სმით ენდ ვილიამსონი (Smith & Williamson); კ) პი-ქეი-ეფი (PKF); ლ) შპს „კაპტო ჯგუფი“, (RSM-ის წევრი); მ) შპს „აუდიტორული და საკონსულტაციო სამსახური ემჯიათ ჯორჯია“ (MGI); ნ) შპს „ფინანსური მართვის ჯგუფი“ (FMG); ო) შპს „ცოდნისა“. როგორც ვხედავთ

¹ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილება.

ასეთი უფლებამოსილების განხორციელებისათვის უპირატესობა მინიჭებული აქვთ უცხოურ კომპანიებს, რაც საქართველოში აუდიტორული საქმიანობის განვითარების ხელშემწყობ ღონისძიებად ვერ ჩაითვლება.

აღსანიშნავია, რომ მოქმედი რეგულაცია არ შეესაბამება არც ევროკავშირის წევრი და არც სხვა განვითარებული ქვეყნების პრაქტიკას. აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მოპოვება უნდა ხდებოდეს არა სახელმწიფო შერჩევით და რეესტრის შედგენით, არამედ თავისუფალი კონკურენციის საფუძველზე.

მოქმედ კანონმდებლობაში უნდა გამოვყოთ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტიც, ეკრძოლ, ბუღალტერთა და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაციის აკრედიტაცია. კანონის მიხედვით, აკრედიტაციას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი“. იგი ფუნქციონირებს საქართველოს კანონის „პროდექტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს საფუძველზე და შესაბამის საერთაშორისო მოთხოვნათა მიხედვით ქმნის აკრედიტაციის სისტემას. აკრედიტაცია კი არის ოფიციალური საექსპერტო შეფასება. აკრედიტაციის ცენტრი, აკრედიტაციის მოწმობის გაცემით ოფიციალურად აღიარებს შესაბამისობის შემფასებელი პირის კომპეტენტურობას შეფასების სფეროში განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებისათვის. აკრედიტაციის ცენტრი სხვადასხვა ტიპის შესაბამისობის შემფასებელ პირთა აკრედიტაციასთან ერთად ახორციელებს საკვალიფიკაციო ტესტირების ჩამოარებელთა აკრედიტაციას სსტ ისო/იეკ 17024:2010 „შესაბამისობის შეფასება, ზოგადი მოთხოვნები პერსონალის სერტიფიკაციის ჩამოარებელი ორგანოებისადმი, მიხედვით.

მიუხედავად იმისა, რომ თითქმის 15 წელია აკრედიტაციის ცენტრს ეს ფუნქციები გააჩნია, სათანადო პროცედურების არარსებობის გამო, დღეის მდგომარეობით საქართველოში

არც ერთ ბუღალტერთა და აუდიტორთა პროფესიონალურ ორგანიზაციას არა აქვს მინიჭებული აკრედიტაციის სერтиფიკაცი ანუ აკრედიტაციის ჩატარების უფლება.

არსებული ჩიხური მდგომარეობა მოქმედი პროფესიული ორგანიზაციების, დამოუკიდებული აუდიტორებისა და თვით საქართველოს პარლამენტის მსჯელობის საგანი გახდა. მასალების შესწავლით ირკვევა, რომ შემუშავებულია კანონპროექტი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შესაფანად, რომელიც ერთი წელია განხილვის საგანია, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

მასალების შესწავლით ირკვევა, რომ საქართველოს პარლამენტი განიხილება კანონპროექტი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“, საქართველოს კანონში ცვლილებების შესატანად.¹ როგორც ირკვევა, მოქმედ კანონთან შედარებით მასში გარკვეული პროგრესი შეინიშნება, თუმცა ძირეული საკითხები მაინც პრობლემატურად რჩება.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ გათვალისწინებულია სსიპ „ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის საბეჭადამხედველო სააგენტოს შექმნა,, რომლის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ზედამხედველობის განხორციელება ფინანსურ ანგარიშგებასა (თუმცა როგორ, კანონპროექტი არ იკეთება) და აუდიტზე და არა ამ სფეროების რეგულირება. ყველა უფლება ენიჭება აკრედიტებულ პროფესიულ ორგანიზაციას და შეიძლება ითქვას, რომ საერთოდ უგულვებელყოფილია სახელმწიფოს როლი რეგულირების სფეროში.

საჭიროა ყურადღება გამახვილდეს იმაზე, თუ რომელ სუბიექტებზე უნდა გავრცელდეს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები და რომელზე ეროვნული სტან-

¹ საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 2 ივნისის N5882/4-3 წერილი

დარტები. საერთაშორისო სტანდარტები მსხვილ საწარმოებთან ერთად ვრცელდება მცირე და საშუალო საწარმოებზე, აგრეთვე არაკომერციულ იურიდიულ პირებზე, თუ ისინი კომერციულ საქმიანობას ეწევიან. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ არა-კომერციული იურიდიული პირებისათვის, მოთხოვნები უფრო გამკაცრდა და მათი აღრიცხვა-ანგარიშგება საერთაშორისო სტანდარტებს დაექვემდებარა. ამ დროს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ არაკომერციული იურიდიულ პირებზე გა-ავრცელა საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების წესები. ეს საკანონმდებლო შეუსაბამობა ცხადია გამოსასწორებელია. მიგვაჩნია, რომ მცირე და საშუალო საწარმოებისათვის, აგრეთვე არაკომერციულ იურიდიული პირებისათვის საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების დავალდებულება ობიექტურ აუცილებლობას არ წარმოადგენს. ქედან გამომდინარე მცირე და საშუალო საწარმოებისათვის, აგრეთვე არაკომერციულ იურიდიული პირებისათვის სავალდებულო უნდა იყოს მხოლოდ ადგილობრივი (ეროვნული) სტანდარტების გამოყენება. რაც შეეხება მსხვილ საწარმოებს, მათ ეროვნულ სტანდარტებთან ერთად უნდა გააჩნდეთ საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების უფლება.

საქართველოში საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების სამოქმედოდ შემოღების შემდეგ, მისი ღროვანი და ხარისხიანი თარგმანი ყოველთვის პრობლემური იყო და სულ მცირე საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის მიერ ცვლილებების განხორციელებიდან 2-3 წელი იყო საჭირო მათი ქართულ ენაზე მომხმარებლისათვის მიწოდებისათვის. ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება. კანონპროექტის მიხედვით საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის შესაბამისი სტანდარტები და რეგულაციები უნდა თარგმნოს აკრედიტებულმა პროფესიულმა ორგანიზაციამ, რაც ობიექტური თვალსაზრისით პრინციპულად მცდარი პოლიტიკაა. საერთაშორისო სტანდარტები (IFRS, IFRS for SMEs, ISA, ISQC), ა(ა)იპ ფინანსური ანგარიშგების ადგი-

ლობრივი (ეროვნული) სფანდარტები და სხვა დოკუმენტები იძენენ ნორმატიული აქტის ძალას და გამართლებული არ არის მათ თარგმანსა თუ შექმნაზე პასუხისმგებლობა ხელისუფლებამ კერძო სამართლის იურიდიულ პირს გადააბაროს. რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში ორი ან სამი აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია აღმოჩნდება? რომელს თარგმანი იქნება უფრო ავთენტური? რომელს ექნება გამოქვეყნების ვალდებულება/უფლება? ვინ აიღებს პასუხისმგებლობას ამ დოკუმენტებში ცვლილებებისა და დამატებების თარგმანსა და გამოქვეყნებაზე? ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გამართლებულად არ მიგვაჩნია, რომ ამ დოკუმენტების შექმნაში სააგენტომ დააფინანსოს აკრედიტებული ორგანიზაცია. შესაბამისად უპრიანია, რომ სახელმწიფო მარეგულირებელმა ორგანომ ასეთ ტიპის თარგმანები ტენდერის საფუძველზე შეასრულებინოს პროფესიონალებს.

გათვალისწინებული რეგულაციის პირობებში, საქართველოს მთავრობა უფლებამოსილი იქნება დაადგინოს იმ სახელმწიფოთა ჩამონათვალი, რომელთა უფლებამოსილი ორგანოების მიერ სერთიფიციირებულ პირად აღიარებული ფიზიკური პირი, სერთიფიცირებულ პირად უნდა აღიაროს აკრედიტებულმა პროფესიულმა ორგანიზაციებმა. ეს კი ნიშნავს, რომ აკრედიტებულმა პროფესიულმა ორგანიზებმა უნდა დაადგინონ თუ ვინ არის მოცემული ქვეყნის „უფლებამოსილი ორგანო,, და ნამდვილად არის თუ არა კონკრეტული პირი ამ ორგანოს მიერ სერტიფიციირებული, რაც რამდენიმე აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის არსებობის შემთხვევაში ართულებს აღიარების პროცესს. ამიტომაც მიზანშეწონილია მარეგულირებელმა ორგანომ დაადგინოს ასეთ შემთხვევებში აღიარების პროცედურა, მოახდინოს გადამოწმება, გასცეს აღიარების დოკუმენტი და პირი შეიყვანოს შესაბამის რეესტრში.

როგორც გემოთ ავღნიშნეთ იქმნება „საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის

საზედამხედველო სააგენტო,,, მაგრამ რამდენად მიზანშეწონილია მისი შექმნა „ფასიანი ქაღალდების კომისიასთან,,, ანუ დამოუკიდებელ მარეგულირებელ კომისიასთან სხვა დამოუკიდებელი იურიდიული პირის შექმნა? საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ აწესრიგებს ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებასა და მიმოქცევასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე საფონდო ბირჟების, ცენტრალური დეპოზიტარების, ფასიანი ქაღალდების რეგისტრაციონების, საბროკერო კომპანიების, ბროკერებისა და საინვესტიციო ფონდების საქმიანობის წესებს. ამ კანონის მიხედვით აუდიტორი ამოწმებს ბემოადნიშნული პირების შესაბამის ფინანსურ ანგარიშგებებს და მას არ შეიძლება პეტონდეს სხვა ფუნქცია ფასიანი ქაღალდების ბიზნესთან მიმართებით. შესაბამისად ფასიანი ქაღალდების ბაზარი, აუდიტორებთან მიმართებით არაფრით არ განსხვავდება სასაქონლო ან სავალუტო ბაზრებისაგან. აუდიტორს ყველა სამივე ბაზარზე ერთი და იგივე ფუნქცია გააჩნია - აუდიტის ჩატარება. შესაბამისად, რომელიმე ბაზრის მარეგულირებელ ორგანოსთან ბუღალტრული და აუდიტორული მარეგულირებლის დაკავშირება მართებულად არ მიგვაჩნია.

რეგულირების სფეროში არსებული ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია:

ა) საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან და მისი კონტროლის ქვეშ შეიქმნას სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანო – სსიპ „საბუღალტრო აღრიცხვისა და აუგიტის სტანდარტების საბჭო“, რომელსაც მიენიჭება მთავარი მარეგულირებლის სტატუსი, რამდენადაც ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი საბოლოო შედეგით პირდაპირ არის დაკავშირებული ფისკალურ საკითხებთან, ხოლო ამ სფეროში პოლიტიკის განხორციელება (აღსრულება) აღმასრულებელ ხელისუფლებაში სწორედ ამ სამინისტროს პრეროგატივას წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს.

ბ) პროექტის მიხედვით, სააგენტოს სტრუქტურა, თავჯდომარე და წევრები თითქმის დაქვემდებარებული არიან საქართველოს პარლამენტან, რაც მართებულად არ მიგვაჩნია იმის გამო, რომ ბუღალტრული და აუდიტორული სფეროების რეგულირება ეკონომიკის რეგულირების მნიშვნელოვანი ბერკეტია, რაც აღმასრულებელი ხელისუფლების პრეროგაფივას წარმოადგენს. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ სტანდარტების საბჭოს თავჯდომარე ფინანსთა მინისტრის წარდგინებით დაინიშნოს პრემიერ-მინისტრის მიერ. რაც შეეხება საბჭოს წევრებს შვიდივე წევრი შესაბამისი პროფესიული და საკვალიფიკაციო მონაცემების გათვალისწინებით კონკურსის წესით უნდა იქნებ არჩეული ასევე ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი კომისიის მიერ.

საბჭოს ძირითად ფუნქციებში უნდა შედიოდეს:

➤ საერთაშორისო სტანდარტების ბაზაზე საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის სტანდარტების შემუშავება და აქედან გამომდინარე ქვემდებარე ნორმაფიული აქტების შემუშავება და დამტკიცება. ბემოაღნიშნული მოიცავს ისეთი სამუშაოების შესრულებას, როგორიცაა:

- ა) საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ქართულ ენაზე თარგმნა და გამოცემა;
- ბ) აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების ქართულ ენაზე თარგმნა და გამოცემა;
- გ) ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტების ქართულ ენაზე თარგმნა და გამოცემა;
- დ) პროფესიონალი ბუღალტრის ეთიკის კოდექსის ქართულ ენაზე თარგმნა და გამოცემა;
- ე) ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის დებულების შემუშავება და გამოცემა;
- ვ) ხარისხის კონტროლის სისტემის შემმოწმებელთა სერთიფიცირების წესების შემუშავება და გამოცემა და სხვ.).

- აღრიცხვისა და აუდიტის სისტემის მუშაკთა მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის სასწავლო გეგმებისა და პროგრამების, სხვადასხვა მეთოდური მასალების შემუშავება და გამოცემა;
 - აღრიცხვისა და აუდიტის სისტემის მუშაკთა მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება;
 - პროფესიონალ ბუღალტერთა (აუდიტორთა) აკრედიტაციის სისტემის ნორმატიული ბაზის მომზადება და დამტკიცება;
 - პროფესიონალ ბუღალტერთა (აუდიტორთა) აკრედიტაცია და შესაბამისი სერтиფიცირება;
 - პროფესიული ორგანიზაციებისათვის აკრედიტაციის ფუნქციების დელეგირების სისტემის შემუშავება და დელეგირება;
 - საერთაშორისო და ადგილობრივ პროფესიონალურ ორგანიზაციებთან და სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობა და სხვ.
- ამასთან, თანდათან უნდა გაიზარდოს პროფესიული ორგანიზაციების როლი და აქტივობა. მივვაჩნია, რომ პროფესიული ორგანიზაცია, რომელსაც გააჩნია პრეფენდია განახორციელოს რეგულირების გარკვეული სფეროები ზოგადად უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს (პრინციპებს):
- შეესაბამებოდეს თვითონეგულირებადი ორგანიზაციის კრიტერიუმებს;
 - გააჩნდეს გადაცემული ფუნქციების შესასრულებლად შესაბამისი სტრუქტურა და მუშაობის გამოცდილება;
 - გააჩნდეს მარეგულირებელი წესების შესრულების კონფრონტის (მათ შორის ხარისხის კონფრონტის) მექანიზმები და პროფესიული ავტორიტეტი;
 - გააჩნდეს საჭირო ფინანსური სახსრები და სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;

➤ გააჩნდეს პროფესიული ეთიკის კოდექსი და მისი შესრულების კონტროლის მექანიზმები.

სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოს ბემოთჩამოთვ-ლილი უუნქციებილან გამოვყოფდით ცალკეული პირებისა და პროფესიული ორგანიზაციების აკრედიტაციისადმი წაყენებულ მთავარ მოთხოვნებს:

მარეგულირებელ ორგანოს პროცედურები და მათი მარ-თვა სერტიფიკაციის ჩასაფარებელი კრიტერიუმების შესაბა-მისად უნდა იყოს გამჭვირვალე და ობიექტური ყველა კანდი-დაცის მიმართ. იგი არ უნდა იყენებდეს ისეთ პროცედურებს, რომლებმაც შესაძლოა დაბრკოლებები შეუქმნას ან დააყოვნოს განმცხადებლები ან კანდიდაცები. მარეგულირებელმა ორგანომ უნდა განსაზღვროს სერტიფიცირების ჩატარების, მისი შენარ-ჩუნების, გაგრძელების, სფეროს გაფართოების ან შემცირების, აგრეთვე სერტიფიკაციის შეჩერებისა და გაუქმების პოლიტიკა და პროცედურები.

მარეგულირებელ ორგანოს ისეთი სტრუქტურა უნდა ჰქონდეს, რომ დაინტერესებული მხარეები მის კომპეტენტუ-რობას, მიუკერძოებლობასა და პატიოსნებას ენდობოდნენ. იგი ვალდებულია იყოს დამოუკიდებული და მიუკერძოებელი თავის განმცხადებლებთან და სერტიფიცირებულ პირებთან, მათი დამსაქმებლებისა და მომხმარებლის ჩათვლით. სასერტიფი-კაციო საქმიანობის რომელიმე ასპექტში მონაწილე მთელ პერსონალს შესაბამისი განათლება, გამოცდილება და ტექ-ნიკური კომპეტენტურობა უნდა გააჩნდეს, რომელიც კონკრე-ტული ამოცანების შესასრულებლად გარკვეულ კრიტერიუმებს დააკმაყოფილებს. ამისათვის პერსონალმა სწავლების კურსი უნდა გაიაროს და არსებული სერტიფიკაციის მნიშვნელობა გააცნობიეროს.

მარეგულირებელ ორგანოს უნდა ჰყავდეს როგორც სა-შტატო, ასევე კონტრაქტით მომუშავე თანამშრომლების საკმა-რისი რაოდენობა, რომელთა განათლება, მომზადება, ტექნი-

კური ცოდნა და გამოცდილება საშუალებას იძლევა კვალი-ფიციურ ღონებები ჩატარდეს სერტიფიცირების პროცედურები, სამუშაოს ტიპის, დიაპაზონისა და მოცულობის შესაბამისად. მარეგულირებელმა ორგანომ უნდა განსაზღვროს ის მეთოდები და მექანიზმები, რომელიც აუცილებელია კანდიდატთა კომპე-ტენტურობის შესაფასებლად. ამასთან ერთად, სერტიფიკაციის ორგანოს უნდა გააჩნდეს შესაბამისი დოკუმენტაცია თითოეული თანამშრომლის კვალიფიკაციის შესახებ, კერძოდ, ინფორმაცია მინიმუმ შემდეგ მონაცემებს უნდა შეიცავდეს:

- პერსონალის გვარი, სახელი და მისამართი;
- ორგანიზაციასთან ურთიერთდამოკიდებულება და დაკა-ვებული თანამდებობა;
- განათლება და პროფესიული სტატუსი;
- სტაჟი და მომზადება შესაბამის სფეროში;
- კონკრეტული მოვალეობების გაწერა სერტიფიკაციის ორგანოში და სხვ.

სერტიფიკაცის გამცემ ორგანოს, განსაკუთრებით, თუ ის პროფესიულ ორგანიზაციას წარმოადგენს, უნდა გააჩნდეს სა-თანადო ფნანსური რესურსები, რომლებიც აუცილებელია სერ-ტიფიკაციის სისტემის ფუნქციონირებისა და შესაბამისი ხარ-ჯების დასაფარავად.

მარეგულირებელმა ორგანომ:

- ✓ უნდა შეიმუშაოს კანდიდატების გამოცდების ჩაბარების მეთოდები;
- ✓ მიაღწიოს გამოცდების ობიექტურობას, საფუძვლიანო-ბასა და სანდობას;
- ✓ გააჩნდეს კარგი მენეჯმენტის სისტემა;
- ✓ უზრუნველყოს ინფორმაციის კონფიდენციალურობა, რომელიც სავალდებულო იქნება ყველა მუშაკისა და ცალკეული პირებისათვის.
- ✓ დოკუმენტაციის შესანახად შექმნას უსაფრთხო გარემო.

სერტიფიკატებში, სულ მცირე, უნდა იყოს მოცემული შემდეგი ინფორმაცია:

- ✓ სერტიფიცირებული პირის დასახელება და ნომერი;
- ✓ მარეგულირებელი (სერტიფიკატის გამცემი) ორგანოს სახელწოდება;
- ✓ მითითება საკვალიფიკაციო გამოცდებზე ან სხვა დოკუ-მენტებზე, რომელთა საფუძველზეც მიენიჭა სერტიფი-კატი;
- ✓ სერტიფიკაციის სფერო, მოქმედი პირობებისა და შე-ზღუდვების ჩათვლით;
- ✓ სერტიფიკაციის მოქმედების ვადა.

საჯარო სექტორის აღრიცხვა-ანგარიშგების რეგულირება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კომპენტენციას განე-კუთვნება. აღრიცხვა-ანგარიშგების მარეგულირებელ ძირითად ნორმატიულ აქტებს წარმოადგენს ფინანსთა მინისტრის ბრძა-ნებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქ-ციები, რომლებმაც ბოლო წლების განმავლობაში რამდენჯერმე განიცადა ცვლილებები. 2007 წლის 28 დეკემბრის 1321 ინს-ტრუქციის შესაბამისად 2009 წლის 1 იანვრიდან ბუღალტრული აღრიცხვას აწარმოებენ „სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართვე-ლი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორ-განიზაციები და ამავე ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი სა-ჯარო სამართლის იურიდიული პირები, თუმცა უნდა აღინიშ-ნოს, რომ ამ პერიოდამდე საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის ცალ-ცალკე ინსტრუქციები მოქმედებდა, რაც მიმანშეწონილიც იყო, რადგან საჯარო სამართლის იურიდიული პირები თავიანთი ეკონო-მიკური საქმიანობის განხორციელების უფლებიდან გამომდი-ნარე სპეციფიკური ეკონომიკური (სამეწარმეო) ურთიერთო-

ბებით გამოირჩევიან. აქედან გამომდინარე მათი გამიჯვნის აუცილებლობა დღესაც დღის წესრიგშია.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 8 აპრილის 97 „სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ მოდიფიცირებული საკასო მეთოდით ფინანსური ანგარიშგების შედგენის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბრძანებით, „საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის სამოქმედო გეგმის“ შესაბამისად, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) დარიცხვის მეთოდის, როგორც ძირითადი მეთოდის, სრულად დანერგვამდე, გარდამავალ პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციებში ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება და ფინანსური ანგარიშგების შედგენა უნდა განხორციელებულიყო აღტერნატიული მეთოდის, ე.წ. მოდიფიცირებული საკასო მეთოდის გამოყენებით.

მოდიფიცირებული საკასო მეთოდის, როგორც ბუღალტრული აღრიცხვის აღტერნატიული სისტემის მიზანია სახელმწიფო ბიუჯეტის აფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგებების თავსებადობის უზრუნველყოფა სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის ეკვივალენტურ ანგარიშგებებთან. სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის 2001 წლის მეთოდოლოგიასთან შეუსაბამობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) განსაზღვრულებს, კლასიფიკაციებს და მითითებებს ენიჭება უპირატესი მნიშვნელობა.

მთელი ამ ცვლილებების ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ეკონომიკური მოვლენების აღრიცხვა ხდება როგორც დარიცხვის, ასევე საკასო მეთოდის გამოყენებით. საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვ-

რული გადასახდელებით განხორციელებული ხარჯვითი ოპერა-ციების, აქტივებით და ვალდებულებებით ოპერაციებისა და ორგანიზაციების შემოსავლების აღრიცხვისთვის გამოიყენება დარიცხვის მეთოდი. ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში მიღებული დაფინანსება ორგანიზაციების მიერ აღირიცხება საკასო მეთოდით.

საქმე იმაშია, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციებში ბუდალ-ტრული აღრიცხვის რეფორმა ითვალისწინებს 2020 წლისათვის დარიცხვის მეთოდზე მთლიანად გადასვლას, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა მისაღები თანხების ასახვა შემოსავლებად ამ თანხების მიღების უფლების მოპოვების მომენტში, ხოლო ხარჯად აღიარება გადახდის ვალდებულების წარმოქმნის მომენტში. კერძო სამართლის იურიდიულ პირებში, რომლებიც ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებენ, დარიცხვის მეთოდის გამოყენება სავსებით გასაგებია, რადგან მიუღებელი შემოსავლის აღიარების შემთხვევაში საწარმოს საგადასახადო ვალ-დებულება წარმოექმნება, მაშასადამე ის ვალდებულია, ჯერ კიდევ გაუწეველი ხარჯებიც ხარჯად აღიაროს, რითაც და-ბეგვრის ფვირთი შეიმციროს. თუმცა, რამდენად მიზანშეწონილია საბიუჯეტო ორგანიზაციისათვის მიუღებელი თანხების შემოსავლებად აღიარება და გადაუხდელი თანხების ხარჯებად აღიარება, ეს კიდევ მსჯელობის საგანია.

მოდიფიცირებული საკასო მეთოდის გამოყენება მხოლოდ 2012 და 2013 წლების ფინანსურ ანგარიშგებებს შეეხო. 2014 და 2015 წლებისათვის სახეშეცვლილი ინსტრუქცია და ანგარიშგების ფორმები იქნა შემოღებული, თუმცა ავტონომიური რეს-პუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციების, ამავე ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირების პერიოდული და წლიური ბუდალტრული ანგარიშგების მომზადებას ცვლილებები არ შეხებია. აქ უნდა

გამოვყოთ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, კერძოდ საჯარო სექტორის აღრიცხვა-ანგარიშგების ერთიანი მეთოდოლოგიის არსებობის აუცილებლობა, რომელიც გასულ პერიოდებში მიღწეული იყო, რაც უზრუნველყოფდა სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი ორგანიზაციებში ანგარიშგების მაჩვენებელთა, ფულადი სახსრებისა და მატერიალურ-ნივთობრივი ფასეულობების, შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის თავსებადობას. აქედან გამომდინარე რეფორმა ისე უნდა წარიმართოს, რომ მიღწეული იქნეს მაქსიმალური თავსებადობა სხვადასხვა დონის ბიუჯეტებზე მყოფ ორგანიზაციებს შორის.

მირითადი შენიშვნები მოქმედი რეგულაციის შესახებ
შეიძლება ემდევნაირად ჩამოვაყალიბოთ:

2015 წლის 1 იანვრიდან ახალი წესებით უნდა უნდა იხელ-მძღვანელონ აგრეთვე არასამეწარმეო (არაკომერციულმა) იურიდიულმა პირებმა. აღსანიშნავია, რომ არასამეწარმეო იურიდიული პირები თავიანთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით მიეკუთვნებიან კერძო სამართლის იურიდიულ პირებს. ამის გამო იგი ეწინააღმდეგება „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ,, საქართველოს კანონს, რომლის მიხედვითაც საქართველოს ფინანსთა მინისტრი ადგენს მხოლოდ სახელმწიფო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებს. შესაბამისად, ეს ხარვეზი საჭიროებს გამოსწორებას.

სახელმწიფო სექტორის ცალკეული კატეგორიების დაწესებულებებს შესაძლებლობა ეძღვათ გამოიყენონ „კერძო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები“, რაც ბემოთაც იყო აღნიშნული. საქმე იმაშია, რომ კერძო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება აგებულია სამეწარმეო სუბიექტის, როგორც მოგებაზე ორიენტირებული სუბიექტის საქმიანობაზე, შემოსავლების მიღების წყაროებზე (როგორიცაა მაგალითად ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება მოგების, შემოსავლის მიღების მიზნით), რაც აბსოლუტურად

განსხვავდება საბიუჯეტო სექტორის ორგანიზაციების საქმიანობისაგან, რომელთა შემოსავლის ძირითად წყაროს ბიუჯეტიდან მიღებული ფინანსური სახსრები წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, აღნიშნული სფეროს ორგანიზაციებისათვის „კერძო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების გამოყენების უფლებამოსილების მინიჭება არამართებულია. ეს შექმნის გარკვეულ პრობლემებს ბუღალტრული ანგარიშგების შედგენისას, რამეთუ ბუღალტრული ბალანსი და სხვა ანგარიშგების ფორმები ყველა შემთხვევაში უნდა შედგეს საბიუჯეტო სფეროსათვის დადგენილი ფორმებით, მით უმეტეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენისას.

ახალი რეგულაციიდან ჩანს, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციები ვრცელდება კერძო სამართლის იურიდიული პირების (მსხვილი კორპორაციების) აღრიცხვა-ანგარიშგების წესები, რაც მართებულად არ მიგვაჩნია, იმის გამო, რომ ასეთი ტიპის ურთიერთობები საბიუჯეტო სფეროში არ გამოიყენება. იგი თავშებადი არ არის საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის, რადგან მათ არ გააჩნიათ თავისუფალი მიღებობების ის ხარისხი (თუნდაც სააღრიცხვო პოლიტიკაში, შეფასებებში, ანგარიშგების შედგენაში, სახსრების განკარგვაში, შეცდომების დაშვებაში და სხვ.), რაც კერძო სამართლის იურიდიულ პირებს. გემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიბანშეწონილად მიგვაჩნია ისეთი ტერმინები და განმარტებები, როგორიცაა: მნიშვნელოვანი გავლენა, ერთობლივი კონტროლი, მექავშირე ერთეული, ერთობლივი საქმიანობა, სრულუფლებიანი მონაწილე, უმცირესობის წილი, ოქროს წილი, ნეტო სარეალიზაციო ღირებულება, რეტროსპექტული გამოყენება, კაპიტალ-მეთოდი, დანახარჯ-მეთოდი, მომსახურების აღდგენითი ღირებულება, წილობრივი ინსტრუმენტი, პროპორციული კონსოლიდაცია და სხვა მსგავსი დეფინიციები საბიუჯეტო სფეროსათვის უცხოა და შესაბამისად საჭიროა მათი უარყოფა.

საბიუჯეტო ორგანიზაციებს, ერთიანი მეთოდოლოგიისა და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დაცვით, უფლება ეძლეოდათ შეემუშავებინათ ბუღალტრული აღრიცხვის სპეციფიკური მეთოდური მითითებები, შიდა აღრიცხვის წესები და ფორმები, რომლებსაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, ამტკიცებდნენ დარგობრივი სამინისტროები, უწყებები, ხოლო საჯარო სამართლის იურიდიული პირების შემთხვევაში – სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოები. ახალი რეგულაციის მიხედვით, საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის მხოლოდ ბუღალტრული აღრიცხვის „სამუშაო ანგარიშთა გეგმების დამტკიცების“, უფლების მინიჭება (მათი სხვადასხვაგვარი სპეციფიკის პირობებში), თანაც მარეგულირებელ ორგანოსთან (ფინანსთა სამინისტროსთან) შეთანხმების გარეშე, საქმარისი არ არის.

ცალკე განხილვის საგანია საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ დამოუკიდებელი სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება. მარეგულირებელ აქტებში ეს უფლება აღიარებულია. როგორც ცნობილია, საბიუჯეტო ორგანიზაციები და საჯარო სამართლის იურიდიული პირები ფინანსური ანგარიშგების ელემენტების აღიარებისა და შეფასების საკითხებში მოქმედებული არიან გარკვეულ ჩარჩოებში, რადგან საქმე საბიუჯეტო თანხებს ეხება და არა კერძო კორპორაციის ფინანსებს. აქედან გამომდინარე თპერაციების, სხვა მოვლენებისა და პირობების მიმართ სააღრიცხვო პოლიტიკის დამოუკიდებლად განსაზღვრა მრავალ პრობლემას წარმოქმნის მაკონტროლებელ ორგანოებთან ურთიერთობაში. შესაბამისად საჭიროდ მიგვაჩნია მარეგეულირებელმა ორგანომ განსაზღვროს ეს ჩარჩოები.

მოსაწესრიგებელია ბუღალტრული ანგარიშგების მოცულობა, ფორმები და წარდგენის წესის დამკვიდრებული პრაქტიკა, კერძოდ, მოქმედი რეგულაციის მიხედვით ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი ორგანიზაციები წარადგენენ ყოველკვარტა-

ლურ ანგარიშგებას, ხოლო 2015 წლიდან სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი ორგანიზაციები ნახევარწლიურ და წლიურ ანგარიშგებას. განვითარებული ქვეყნებისა და საერთაშორისო სტანდარტებით დამკვიდრებული პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საჯარო სექტორის ორგანიზაციები ადგენენ მხოლოდ წლიურ ბუღალტრულ ანგარიშგებას. ამასთან უაღრესად გადატვირთულია ანგარიშგების ფორმები. მოითხოვება ერთი და იგივე მაჩვენებლების სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციებით წარდგენა, ანგარიშგება გადატვირთულია არასაჭირო ინფორმაციით, რომელსაც რაიმე ღირებულება არ გააჩნია. ბუღალტრული ანგარიშგების სრული კომპლექტი 3600-ზე მეტ მაჩვენებელს მოიცავს, რაც, რა თქმა უნდა ობიექტური აუცილებლობიდან არ გამომდინარეობს.

საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის სავალდებულო ხასიათს აფარებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ჯერ კიდევ 2004 წელს დამტკიცებული პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაციისა და სააღრიცხვო რეგისტრების ტიპიური ფორმები, რომლებიც საკმაოდ მოძველებულია, არ შეესაბამება მოქმედ მეთოდოლოგიას და საჭიროებს სერიოზულ გადამუშავებას.

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს დღეისათვის მოქმედი ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა. იგი გადატვირთულია დაწვრილმანებული ანგარიშებით. შეიცავს სრულიად არასაჭირო, ტრანზიგულ ანგარიშებს, რომლებიც გაუმართლებლად მოდის სააღრიცხვო ჩანაწერების რაოდენობას.

როგორც ცნობილია მოქმედი კანონმდებლობის მიხედვთ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების უფლება გააჩნიათ. აქედან გამომდინარე მიზანშემთხვევად მიგვაჩნია ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ოპერაციების გამიჯვნა სამიუჯეტო დაფინანსების ოპერაციებისაგან ცალკე ანგარიშთა გეგმით, და შესაბამისი ბუღალტრული ანგარიშგების შედგენით. ეს თავალნათლივ

წარმოაჩენს ამ სფეროებში განხორციელებულ ხარჯებისა და შემოსავლებ, რაც შექსაბამისად ხელს შეუწყობს საგადასახადო ორგანოების მიერ ამ სუბიექტების საგადასახადო ვალდებულებების შესრულების კონტროლს.

საჯარო სექტორში აღრიცხვა-ანგარიშგების სრულყოფის წინადაღებები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

- რეფორმის მიმართულებებისა და ვადების გადასინჯვა;
- სააღრიცხვო პოლიტიკის ჩარჩოების განსაზღვრა საჯარო სექტორისათის;
- შემოსავლებისა და ხარჯების საკასო და დარიცხვის მეთოდების გამოყენების ოპტიმალური თანაფარდობის განსაზღვრა;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის ვადების გადასინჯვა და მისი შესაბამისობაში მოყვანა საერთაშორისო სფანდარტების ნორმებთან;
- ფინანსური ანგარიშგების მოცულობისა და ფორმების ოპტიმალური მოღელის ჩამოყალიბება და მისი შედგენის მეთოდოლოგიური ბაზით უზრუნველყოფა;
- პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტების ფიპიური ნიმუშების შემუშავება და დამტკიცება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ;
- საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ოპერაციების აღრიცხვა-ანგარიშგების გამიჯვნა სამიუჯეტო დაფინანსების ოპერაციებისაგან.
- სამინისტროებსა და უწყებებში საბუღალტრო სამსახურების დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულებად ჩამოყალიბებისათვის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის მომზადება და განხორციელება ფინანსთა სამინისტროს მიერ.
- შესამე, საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების მდგრადირებაზე სახელმწიფო მონიტორინგის სისტემის აღდგენა და აუდიტორული საქმიანობის განვითარება. პრობლემის შესწავ-

ლამ გვიჩვენა, რომ უკანასკნელ ათწლეულში კერძო სექტორში აღრიცხვა-ანგარიშგების მდგომარეობაზე კონფრონლის სისტემა თითქმის მოიშალა, რაც უარყოფით გავლენას ახდენს რეალური სტატისტიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ფორმირებაზე, გადასახადების ამოღების დონეზე და სხვ.

ანიჭებს რა დიდ მნიშვნელობას კონფრონლის სისტემას, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საქართველოს საბუღალტრო აღრიცხვის რეფორმის პროექტის მენეჯერი ჯეიმს ლ. ჯონსი აღნიშნავს: „პოლიტიკური და სოციალური კონფრონლის არ არსებობამ, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას, როგორც ქართველთა, ასევე სხვა ხალხთა ცხოვრების მრავალ სფეროში გამოიწვია ქაოსი. ჩვენ ძალიან ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ არსებული კონფრონლის გარემოს მოსპობისა და მისი ახლით შეცვლის პროცესს“¹.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროდ მიგვაჩნია საბუღალტრო აღრიცხვის მდგომარეობაზე მონიტორინგის სისტემის აღდგენა, განსაკუთრებით კი სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ საწარმოებში. ეს არ გულისხმობს აღმინისტრაციულ საუწყებო კონფრონლს. საკითხი ეხება მონიტორინგის ახალი სისტემის ჩამოყალიბებას საბუღალტრო აღრიცხვის წარმოების წესებისადმი, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საბაზრო ეკონომიკის პირობებს. აქ შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ძირითადი ბერკეტები:

– მეთოდური დახმარების გაწევა მესაკუთრეებისა და ინვესტორებისადმი, ბუღალტრული ანგარიშგების ანალიზსა და ამის საფუძველზე სამმართველო გადაწყვეტილებათა მისადებად ფინანსური ინფორმაციის უფრო აქტიურად გამოყენების საქმეში;

1. ჯონსი ჯ. ლ. ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმა საქართველოში. I კონფერენციის მასალები. თბ. გვ. 21-22.

– ბუღალტრული ანგარიშგების საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფოს მიერ გარკვეული სავალდებულო პროცედურების დამუშავება და დამტკიცება;

– სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოების ფუნქციის განვითარება და განმტკიცება, მათთვის სამეურნეო სუბიექტების მიერ წლიური ბუღალტრული ანგარიშგების წარდგენის საკითხში;

– ბუღალტრული ანგარიშგების სახელმწიფო რეგისტრის შექმნა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან, რითაც შეიქმნება მონაცემთა ბანკი, რომელიც საშუალებას მისცემს დაინტერესებულ პირებს გაეცნონ მათთვის საჭირო ინფორმაციას ამა თუ იმ საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ. ასეთი სახელმწიფო რეგისტრების ფუნქციონირების პრაქტიკა არსებობს მრავალ განვითარებულ ქვეყანაში;

– აუდიტის ჩატარების მეთოდების შემუშავება იმ მიმართულებით, რომ დამოუკიდებელმა აუდიტორმა ორიენტაცია აიღოს არა საგადასახადო, არამედ ინფორმაციის მომხმარებელთა ინტერესების პოზიციებიდან გამომდინარე, ანუ რამდენად სწორად ასახავს ბუღალტრულ ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია საწარმოს სამეურნეო-საფინანსო საქმიანობას;

თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბუღალტრული ანგარიშგების უფყერობის საკითხი. სააღრიცხვო ინფორმაციის მომხმარებელთა წრის გაფართოებასთან ერთად საჭირო ხდება მასზე ხარისხიანი კონფრონლის განხორციელება, რომელზედაც ბევრადაა დამოკიდებული აქციონერთა, ინვესტორთა, კრედიტორთა და ინფორმაციის სხვა მომხმარებელთა გადაწყვეტილების ეფექტიანობა. ამისათვის პრაქტიკა სხვადასხვა ვარიანტებს გვთავაზობს, მათგან კონფრონლის სხვადასხვა სახეებს შეიძლება მიეცეს შემდეგი კლასიფიცილაცია:

– შიგა აუდიტი (შიგასამეურნეო კონფრონლი), რომელიც ხორციელდება საწარმოს ცალკე სამსახურის მიერ.

– სარევიზით კომისიის კონფრონლი, რომელიც წარმოქმნილია სადამფუძნებლო დოკუმენტების შესაბამისად, დამუჟუძნებელთა და აქციონერთა წარმომადგენლებისაგან;

– გარე აუდიტი, რომელიც ტარლება დაქირავებული აუდიტორის ან აუდიტორული ფირმის მიერ და რომელთაც აქვთ ამისათვის შესაბამისი ლიცენზია;

– კონფრონლი, რომელიც ხორციელდება ბანკების, საინვესტიციო კომპანიების ან სხვა ორგანიზაციების მიერ, რომლებიც დაინტერსებული არიან სააღრიცხვო ინფორმაციის მაქსიმალური სანდომიანობით.

– კონფრონლი საგადასახადო სამსახურების, სახელმწიფო ხაზინის და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა ორგანოთა მიერ, რომელთაც ამისათვის მინიჭებული აქვთ შესაბამისი უფლებები.

მეოთხე, საბუღალტრო და საგადასახადო აღრიცხვის გამიჯვნის ოპტიმალური მოდელის ჩამოყალიბება. გეგმიანი ეკონომიკის პირობებში გადასახადების გამოანგარიშება საბუღალტრო აღრიცხვის პრინციპებზე იყო დაფუძნებული, რაც იმას ნიშნავდა, რომ საბუღალტრო და საგადასახადო ფინანსური შედეგი ერთმანეთისგან არ განსხვავდებოდა. ეს ერთის მხრივ დადებითი მოვლენა იყო, რადგან ნაკლები იყო შეცდომების დაშვების შესაძლებლობა, არ მოითხოვდა დამატებით გაანგარიშებებს, საგადასახადო და სარევიზით თავისუფლი მიერ ხორციელდებოდა აღრიცხვა-ანგარიშების მდგომარეობაზე მუდმივი კონფრონლი. მეორეს მხრივ საწარმოები შეზღუდული იყვნენ აღრიცხვის წარმოებაში თავისუფალი მიღეომებისაგან, სპეციალური ინსტრუქციები კრძალავდნენ საწარმოს მიერ გაწეული ხარჯების გამოქვითვას ერთობლივი შემოსავლიდან, ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი საწარმოს განკარგულებაში დარჩენილი მოგებიდან იფარებოდა და რაც მთავარია ასეთ პირობებში გამოთვლილი საბოლოო ფინანსური შედეგი (მოგება-ზარალი) არ ასახავდა რეალურ სურათს.

საბუღალტრო აღრიცხვის წარმოების საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული წესების მიხედვით საბუღალტრო და საგადასახადო აღრიცხვა გამიჯნულია, რაც იმას ნიშნავს, რომ საბუღალტრო აღრიცხვის მეთოდოლოგიის შესაბამისად გამოთვლილი მოგება (ზარალი) განიხილება არა როგორც დაბეგვრის ობიექტი, არამედ როგორც მაჩვენებელი, რომელიც ასახავს საწარმოს სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის რეალურ შედეგს. ყოველივე ბემოაღნიშნულს თავისი უარყოფითი მხარეც გააჩნია. ჯერ ერთი, რომ აბსოლუტური გამიჯვნა ვერ ხერხდება, რადგან გადასახადების გამოანგარიშების საფუძველს უპირველეს ყოვლისა საბუღალტრო აღრიცხვა წარმოადგენს. ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ისეთი ხარჯების გაანგარიშებისა და გამოქვითვის მეთოდები, როგორიცაა ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებზე, აგრეთვე გეოლოგიური კვლევებისა და ბუნებრივი რესურსების მოპოვების მოსამზადებელი მომსახურების ხარჯების გამოქვითვა. დახვეწას საჭიროებს საგადასახადო აღრიცხვის წესები საკასო და დარიცხვის მეთოდების გამოყენების საკითხში, კერძოდ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 136-ე მუხლის მიხედვით „გადასახადის გადამხდელი შემოსავლებისა და ხარჯების აღსარიცხავად იყენებს საკასო ან დარიცხვის მეთოდს, იმის მიხედვით, თუ რომელ მეთოდს იყენებს ბუღალტრული აღრიცხვისათვის“¹, თუმცა „დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებული პირი ვალდებულია გამოიყენოს აღრიცხვის დარიცხვის მეთოდი“, რადგან დასაბეგრი თქერაციის განხორციელების დრო ითვლება საქონლის მიწოდების ან მომსახურების გაწევის მომენტი. მაშასადამე, თუ გადასახადის გადამხდელის ბრუნვა 100 ათ. ლარს მიაღწევს, იგი ვალდებული ხდება გამოიყენოს „დარიცხვის“ მეთოდი. იმავდროულად კოდექსი მოითხოვს, რომ საანგარიშო წლის

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 136, 157, 161, 2014წ.

განმავლობაში აღრიცხვის მეთოდი არ უნდა შეიცვალოს. ცხადია ასეთ პირობებში რეალური (ობიექტური) გამიჯვნის მიღწევა მხელი ამოცანაა. გარდა ამისა, გამიჯვნის პირობებში საგრძნობლად რთულდება გადასახადების გამოანგარიშება. ამის გამო პრაქტიკაში, საგადასახადო ორგანოებთან კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით საწარმოებს ხშირად ხარჯებში შეაქვთ არა მთლიანი (ობიექტური) დანახარჯები, არამედ საგადასახადო კოდექსით დაშვებული ნორმები. ამით საგადასახადო ფინანსური შედეგი სწორად გამოითვლება, მაგრამ მახინჯდება საბუღალტრო ფინანსური შედეგი. ზემო-აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია ხარჯების ზოგიერთ სახეებბე საბუღალტრო და საგადასახადო აღრიცხვა იყოს იდენტური. ამასთან ერთად საჭიროა საბუღალტრო და საგადასახადო აღრიცხვის თანაარსებობის ოპტიმალური მოღელის შემუშავება. ამ საკითხში უპრიანია გათვალისწინებული იქნეს დასავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყნის გამოცდილება, მაგალითად, გერმანიაში მოქმედი წესები ითვალისწინებს საბუღალტრო და საგადასახადო ფინანსური შედეგის მაქსიმალურ დაახლოებას.

მეხუთე, აღრიცხვისა და დაბეგვრის გამარტივებული სისტემის დანერგვა მცირე ბიზნესის სფეროში. ნებისმიერი საწარმოს ხორმალური ფუნქციონირების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა მოწესრიგებული ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაცია, რამდენადაც იგი საწარმოსათვის ძირითად პროგრამულ უზრუნველყოფას წარმოადგენს.

ფინანსური ანგარიშების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურულ საფუძვლებში მოცემულია ერთი მეტად მნიშვნელოვანი დაშვება, რომლის მიხედვითაც ფინანსური ანგარიშების მომზადებისას გათვალისწინებული უნდა იყოს მისი დანიშნულება. კრიტერიუმად მიჩნეულია, რომ „ინფორმაციის-გან მიღებული სარგებელი, უნდა აჭარბებდეს მის მისაღებად გაწეულ ხარჯებს“. ამ დაშვების გამოყენება მეტად მნიშვნელო-

ვანია მცირე სამეწარმეო სუბიექტებისთვის, რადგან ბევრი რამ რაც აუცილებელია მსხვილი კორპორაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, სრულად ზეღმეტია მცირე ბიზნესისათვის, როგორც შინაარსობრივად, ისე დანახარჯების თვალსაზრისით. ამასთან დაკავშირებით ინფერესმოკლებული არ იქნება მოკლედ მიმოვიხილოთ ვითარება ამ მიმართულებით დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში.

როგორც ცნობილია დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ჩამოყალიბდა აღრიცხვის ორი მიმართულება: ანგლო-საქსური და კონგინენტური. შედარებით აღრევულ წლებში ითვლებოდა, რომ ეს ორი მიღვომა ერთმანეთის კონკურენტული იყო, თუმცა არც თუ დიდი ხნის წინ აღიარებული იქნა, რომ ორივე სისტემა მისაღებია: კერძოდ, ეკონომიკურად ორიენტირებული კონსოლიდირებული ანგარიშგება მსხვილი კომპანიებისათვის და საგადასახადო დაბეგვრაზე ორიენტირებული ანგარიშგება მცირე ბიზნესისათვის.

მცირე ბიზნესისათვის ერთ-ერთი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ მოგების განსაბლვრისას ის იმყოფება არჩევანის წინაშე, მოიბიძოს დამატებითი რესურსები (მაგალითად ბანკის სესხები) თავისი ფინანსური მდგომარეობის (მოგებიანობის) უკეთ წარმოჩენის საშუალებით, თუ აჩვენოს გამორიცილი ხარჯები საგადასახადო ტვირთის შემსუბუქების მიზნით? გარდა ამისა მცირე სამეწარმეო სუბიექტები აწყდებიან პრობლემას, როგორ მოაწყონ საბუღალტრო აღრიცხვა, რათა ერთის მხრივ მიიღონ სრულყოფილი ინფორმაცია და შეორეც მათ უმრავლესობას საშუალება არ აქვს დაიქირაოს საბუღალტრო პერსონალი. ამდავვარი პრობლემები იქმნება ყველა ქვეყანაში და შესაბამისად გმოძებნილი იქნა მათი გადაწყვეტის გზებიც.

აღრიცხვის ანგლო-საქსური სისტემა უშვებს თავისუფალ ურთიერთდამოკიდებულებას ფინანსურ აღრიცხვასა და დაბეგვრას შორის, კონგინენტური სისტემა კი მათ შორის უფრო მჭიდრო კავშირის არსებობის საშუალებას იძლევა, რაც იმაში

გამოიხატება, რომ ფინანსური (ბუღალტრული) აღრიცხვა და საგადასახადო აღრიცხვა პრაქტიკულად იდენტურია. ასე მაგალითად:

– დიდ ბრიტანეთში მცირე საწარმოებში ბუღალტრული აღრიცხვის წესები ფორმალურად ეხება ფინანსური ანგარიშ-გების შედეგნას მომგებიანობის განსაზღვრასა და განაწილების თვალსაზრისით, საგადასახადო კანონმდებლობა კი ცალკე რეგულირდება. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ შემოსაფ-ლები, რომელიც გამოანგარიშებულია საბუღალტრო აღრიცხვის წესებით, მისაღებია საგადასახადო მიზნებისთვის, ხოლო გაწეული ხარჯები რომელიც კაპიტალიზებულია ფინანსური აღრიცხვის თვალსაზრისით, შესაძლებელია ყოველთვის მისაღები არ იყოს საგადასახადო მიზნებისთვის.

– საფრანგეთში არის ტიპიური სიტუაცია, რომელიც დამახასიათებელია ევროპული ქვეყნებისათვის, კერძოდ მცირე საწარმოთა სააღრიცხვო მოგება გამოიყენება დაბეგვრის მიზნებისთვისაც, მაგალითად, თუ დაბეგვრის დროს გამოიყენება ძირითადი საშუალებების დაჩქარებული ამორტიბაციის ნორმები, ან არსებობს სპეციალური რეზერვების შექმნის ვალდებულება, საწარმომ ასეთივე ნორმების გათვალისწინებით უნდა შეადგინოს საჯარო ფინანსური ანგა-რიშება. მცირე ბიზნესის აღრიცხვის ფრანგული სისტემისათვის დამახასიათებელია სააღრიცხვო ცენტრების ფართო ქსელის არსებობა, რაც ფინანსურად ძალიან ხელსაყრელია.

– გერმანიაში აღიარებულია ე. წ. „საგადასახადო თავსებადობის, პრინციპი, რომლის შესაბამისადაც წლიური ფინანსური ანგარიშგება მჭიდროდ არის დაკავშირებული საგა-დასახადო აღრიცხვასთან. ამ პრინციპის თავისებურება, სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, იმაში მდგომარეობს, რომ სახელ-მწიფო შეგნებულად უწყობს ხელს მცირე ბიზნესის სფეროში მოგების დაბალი დონის შენარჩუნებას (რა თქმა უნდა საგა-დასახადო შეღავათების მინიჭების თვალსაზრისით), რადგან

ითვლება, რომ ამ „თავსებადობის“ მთავარი მიზანი ჯანსაღი ეკონომიკის ხანგრძლივად შენარჩუნებაა. მიჩნეულია რომ, თუ მოგება მცირდება დაბეგვრის დროს, ის უნდა შემცირდეს განაწილების დროსაც. რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში?

საბაზრო ეკონომიკის განვითარების კვალობაზე, სულ უფრო იტრდება სამეწარმეო საქმიანობით დაკავებულ პირთა რიცხვი. ასე მაგალითად, 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოში დარეგისტრირებული იყო 300 ათას გადამხდელზე მეტი. მათ შორის 180 ათასზე მეტი მეწარმე ფიზიკური პირია.

დღეისათვის მოქმედი სამეწარმეო კანონმდებლობა, კერძოდ, „მეწარმეთა შესახებ“ კანონი არ ითვალისწინებს საწარმოთა დაყოფას მსხვილი და მცირე ბიზნესის კატეგორიებად, თუმცა კანონის ამოქმედებიდან (1995წ.) რამდენიმე წლის განმავლობაში მცირე საწარმოდ ითვლებოდა სამეურნეო სუბიექტი, რომლის სრულ შტატში ირიცხებოდა არა უმეტეს 10 კაცი და წლიური ბრუნვა არ აღემატებოდა 40 ათას ლარს.

ამჟამად მცირე ბიზნესის სტატუსი განისაზღვრება მხოლოდ საქართველოს საგადასახადო კოდექსით, რომლის მიხედვითაც მცირე ბიზნესი დაყოფილია ორ კატეგორიად: 1) მიკრო ბიზნესი და 2) მცირე ბიზნესი. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ ასეთი სტატუსი ენიჭებათ მხოლოდ ფიზიკურ პირებს, ხოლო საწარმოები ამ შესაძლებლობას მოკლებული არიან.

მიკრო ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას და წლის განმავლობაში მის მიერ მიღებული შემოსავალი არ აღემატება 30000 ლარს. მიკრო ბიზნესის სტატუსი შიძლება გაუქმდეს, თუ დადგინდა, რომ ასეთი სტატუსის მქონე ფიზიკური პირის სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთი აღემატება 45000 ლარს. ამ კატეგორიის მქონე ფიზიკური პირები განთავისუფლებული არიან საშემოსავლო გადასახადისაგან.

მცირე ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მეწარმე ფიზიკურ პირს, რომლის მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 100000 ლარს. ამასთანავე მთავრობას უფლება აქვს, აკრძალოს ცალკეული საქმიანობის განხორციელება, რომლის ფარგლებშიც მცირე ბიზნესის სტატუსი არ შეიძლება მიენიჭოს მეწარმე ფიზიკურ პირს. მცირე ბიზნესის სტატუსი შეიძლება გაუქმდეს, თუ გამოვლინდა, რომ ფიზიკური პირის სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთი აღემატება 150000 ლარს. მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 5 პროცენტით.

უნდა აღინიშნოს, რომ განხორციელებულმა საგადასახადო ცელილებებმა ვერ შეძლეს ბოგადად მცირე ბიზნესის აღრიცხვისა და დაბეგვრის პრობლემების მოხსნა. როგორც ჩემოთ ავღნიშნეთ მცირე საწარმოები, თუ ისინი წარმოადგენენ იურიდიულ პირებს ექსევიან დაბეგვრის საერთო რეჟიმში და ვალდებული არიან აღრიცხვა-ანგარიშება აწარმოონ მსხვილი საწარმოებისათვის არსებული წესების მიხედვით, რაც ნიშნავს აღრიცხვის ორმაგი სისტემის გამოყენებას, საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრული აქტივებისა და ვალდებულების შეფასების მეთოდების გამოყენებას და სხვ.

მეწარმე ფიზიკური პირების შემთხვევაში, თუ ისინი გაცდებიან შემოსავლების დაფენილ ბლვარს, ექცევიან ჩეულებრივი დაბეგვრის რეჟიმში, საანგარიშო წლის განმავლობაშიც კი. ამასთან ერთად ბეგარის ტვირთი ცალკეულ შემთხვევებში კი არ შემცირდება, არამედ გაიმარჯა კიდეც და მრავალი მეწარმე იძულებული გახდა დაბეგვრის ჩვეულებრივ რეჟიმშე გადასულიყო. მაგალითად საცალო ვაჭრობის სისტემაში, დაბალი რენტაბელობის პირობებში 5%-იანი დაბეგვრის განაკვეთი საკმაოდ მაღალია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მცირე ბიზნესში აღრიცხვისა და დაბეგვრის სისტემის სრულყოფის მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

1) სახელმწიფომ განსაზღვროს მცირე ბიზნესის სტატუსი არა მარტო მეწარმე ფიზიკური პირების, არამედ კერძო სამართლის იურიდიული პირებისთვისაც. ამასათან ერთად სტატუსის განსაზღვრა უნდა მოხდეს არა სპონფანურად, არამედ ეკონომიკის განვითარების ღონისა და არსებული ეკონომიკური ურთიერთობების გათვალისწინებით, დასაბუთებული გაანგარიშებების საფუძველზე.

2) მცირე ბიზნესის სტატუსის განსაზღვრაში, გაუქმდეს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ნაშთებზე არსებული ზღვარი, აგრეთვე გაუქმდეს საქმიანობის ცალკეულ სახეებზე მთავრობის მიერ მცირე ბიზნესის სტატუსის აკრძალვის უფლებამოსილება.

3) მცირე საწარმოებში, სადაც ფულადი სახსრების ნაკადების მოძრაობა მცირე მასშტაბისაა და არ ხორციელდება მნიშვნელოვანი საინვესტიციო საქმიანობა, საჭიროა დაინერგოს გამარტივებული აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტემა. ქონებისა და ვალდებულებების შეფასებაში გამოყენებული უნდა იქნეს ფაქტიური თვითდირებულების მეთოდი, ხოლო ბალასის შედეგნისას ნარჩენი ღირებულებით ასახვის მეთოდი.

4) შემთხვევებისა და ხარჯების აღიარება განხორციელდეს აღრიცხვის საკასო ან დარიცხვის მეთოდით მეწარმის შეხედულების მიხედვით. უფრო მიზანშეწონილია საკასო მეთოდის გამოყენება, რადგან ამ შემთხვევაში საჭირო არ არის გადასახადის გადახდისათვის თავისუფალი ფულადი სახსრების არსებობა.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ღონისძიებების გატარება ხელს შეუწყობს მცირე საწარმოთა აღრიცხვა-ანგარიშგების მოწესრიგებას და მათი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მეექვსე, საბუღალტრო აღრიცხვის კონცეფციისა და რეფორმირების პროგრამის მიღება საქართველოს მთავრობის მიერ. საქართველოში აღრიცხვა-ანგარიშგების სისტემის სრულყოფის შესაძლო მიმართულებათა ანალიზისას მივღივართ და-სკვნამდე, რომ მისი სწორი განვითარებისათვის საჭიროა გარკვეული საფუძველი. ასეთი საფუძვლის ფუნქცია შეიძლება შეასრულოს საბუღალტრო აღრიცხვის კონცეფციამ. კონცეფციის შემუშავების აქტუალობა განპირობებულია იმითაც, რომ აღრიცხვის ძველ სისტემას გააჩნდა მკაცრი კონცეპტუალური საფუძველი, რომლის ბაზასაც გეგმიანი ეკონომიკური თეორია წარმოადგენდა. ამიფომ ახალი კონცეფციის შექმნა განპირობებულია არა მარტო დასავლური მიღეომების უბრალო გადმოგანით, არამედ ობიექტური აუცილებლობით. გასათვალისწინებელია, რომ კონცეფცია არ იქნება ნორმატიული აქტი, მასში თეორიულ-მეთოდოლოგიური მიმართულებები უფრო უნდა გამოიკვეთოს ვიდრე ადმინისტრაციული, შესაბამისად, ნორმატიული აქტის სახით მიღებული უნდა იქნეს რეფორმირების პროგრამა.

საქართველოში აღრიცხვის საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის, არსებული მდგომარეობის, დამკვიდრებული ტრადიციების, პოსტსაბჭოთა ქვეყნების გამოცდილების გაზიარებისა და საერთაშორისო სტანდარტების ანალიზის საფუძველზე ჩვენ შევეცადეთ შეგვემუშავებინა კონცეფციის გარკვეული მოდელი. ამ მიმართულებით ქართველ მეცნიერთა კვლევის გაგრძელებისა და ეკონომიკის განვითარების კვალობაზე, სავსებით დასაშვებად მიგაჩნია გარკვეული კორექტივების შეტანა კონცეფციის ცალკეულ დებულებებსა და პოსტულატებში.

არსებული რეალობის გათვალისწინებით კონცეფციაში ჩამოყალიბებულია საბუღალტრო აღრიცხვის წარმოებისა და ანგარიშგების შედგენის ძირითადი მიზნები, წარმოჩნილია ინფორმაციის სხვადასხვა მომხმარებელთა ინტერესები. კონცეფცია ითვალისწინებს, აღრიცხვის დარგობრივ თავისებურე-

ბებს, მცირე ბიზნესისათვის აღრიცხვა-ანგარიშგების გამარტი-ვებული წესების არსებობას, საბუღალტრო და საგადასახადო აღრიცხვის გამიჯვნას, სააღრიცხვო სისტემის ტრანსფორმაციას.

საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის რეგულირების პრაქტიკის, აგრეთვე სხვა სახელმწიფოთა, პირველ რიგში პოსტსაბჭოთა ქვეყნების გამოცდილების შესწავლით მივდი-ვართ დასკვნამდე რომ აღრიცხვა-ანგარიშგება (განსაკუთრე-ბით გარდამავალ პერიოდში) უნდა ექვემდებარებოდეს სახელმ-წიფო რეგულირებას. ამასთან ერთად დასაშვებად მიგვაჩნია რეგულირების ცალკეული უბნების დელეგირება საზოგადოებ-რივ-პროფესიონალურ ორგანიზაციებზე.

კონცეფციაში გამოკვეთილია რეგულირების სფეროები, რომელიც მოიცავს: კერძო სექტორს, სახელმწიფო სექტორს და მცირე ბიზნესს. მოცემული სექტორები თავის მხრივ იყოფა კერძო სამართლის იურიდიულ პირების, საბანკო-საკრედიტო დაწესებულებების, საბიუჯეტო ორგანიზაციების, საჯარო სა-მართლისა და არაკომერციული იურიდიული იურიდიული პირების ქვესექტორებად.

კონცეფციაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განაყოფია ბუ-ღალტრული აღრიცხვის ორგანიზაციის საფუძვლები, მისი გან-მარტება. ეკონომიკურ ლიტერატურაში ვხვდებით ბუღალტრული აღრიცხვის სხვადასხვა დეფინიციას. ეს ერთი მხრივ განპი-რობებულია ავტორთა მიერ თავისი განსაზღვრების დამკვიდ-რების სურვილით, ხოლო მეორე მხრივ განსასაზღვრელი ობი-ექტის სირთულით. მოცემული განმარტებებიდან შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ ავტორები ყურადღებას ამახვილებენ ან მეთოლლოგიურ, ან შინაარსობრივ ასპექტებზე, ან ხას-უსვამეს საბოლოო შედეგების მნიშვნელობას. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ საქართველოს არც-ერთ საკანონმდებლო ნორმატიულ აქტში ბუღალტრული აღრიცხვის განმარტება მო-ცემული არ არის. მიგვაჩნია, რომ განმარტებაში აქცენტი უნდა გაკეთდეს იმაზე, თუ როგორ აიგება ბუღალტრული აღრიცხვა,

რა ინსტრუმენტებისაგან შედგება იგი. უნდა გამოჩნდეს მისი მიზანი, დროში უწყვეტი ხასიათი, აღრიცხვის ობიექტები, გამოყენებული საზომი ერთეული და სხვ. აღნიშნული მომენტების გათვალისწინებით ჩვენ შევეცადეთ ჩამოგვეყალიბებინა ქვემოთ მოცემული დეფინიცია, კერძოდ: „ბუღალტრული აღრიცხვა არის სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის ფაქტებზე დაკვირვების, გაზომვის, რეგისტრაციის, დაჯგუფების, შეჯამების, ანალიზისა და ინფორმაციის გადაცემის უწყვეტი სისტემა, რომელიც სუბიექტის მართვის პროცესების უზრუნველსაყოფად მის ქონებას, ვალდებულებებს, კაპიტალსა და სამეურნეო პროცესებს ასახავს დირექტულებით გამოსახულებაში”.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს საწარმოს მიერ სწორი სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევას. ეკონომიკურ ლიტერატურაში მისი არსი სხვადასხვაგარი ინტერპრეტაციით არის წარმოდგენილი. მაგალითად, საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ბაზაზე შედგენილ ლექსიკონში „სააღრიცხვო პოლიტიკა“ განხილულია როგორც „სპეციფიკური პრინციპები, მიღებობა, პირობები, წესები და პრაქტიკული მეთოდები, რომელიც მიღებულია კომპანიის მიერ ფინანური ანგარიშგების შედგენისა და გაფორმებისათვის“¹. საერთაშორისო სტანდარტები კი ასეთ განმარტებას იძლევა: „სააღრიცხვო პოლიტიკა ეს არის განსაკუთრებული პრინციპების, მეთანხმებების, წესების და პრაქტიკული გამოცდილების ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება საწარმოში ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესში“².

როგორც ვხედავთ სააღრიცხვო პოლიტიკის სტანდარტებისეულ განმარტებაში ლაპარაკია ფინანსური ანგარიშგების შედგენის პრინციპებსა და წესებზე (მიუხედავად იმისა, რომ

1.

, . . . , 1995., . 36.

2. საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი №1, გვ.16.

საკითხი, ეხება სახელდობრ „სააღრიცხვო პოლიტიკას“), მიგვაჩნია, რომ „სააღრიცხვო პოლიტიკა“ უნდა მოიცავდეს, როგორც აღრიცხვის წარმოების სპეციფიკურ წესებს, ასევე ანგარიშგების შედგენის პრინციპებს, რომლის საბოლოო მიზანია სრულყოფილი და ჭეშმარიფი ინფორმაციის მიღება. აღნიშნულ კომპონენტებზე დაყრდნობით იგი შეიძლება შემდეგნაირად განიმარტოს: „სააღრიცხვო პოლიტიკა არის სამეურნეო სუბიექტის მიერ შერჩეული ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისა და ფინანსური ანგარიშგების შედგენის წესების, სპეციფიკური პრინციპებისა და მიღვიმების ერთობლიობა, მაქსიმალურად სრულყოფილი და ჭეშმარიფი ინფორმაციის მისაღებად„.

საწარმო აფიქსირებს რა თავის სააღრიცხვო პოლიტიკაში გამოყენებულ მეთოდებს, პასუხისმგებლობას იღებს, რომ დაიცავს მათ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევას თან უნდა ახლდეს ღრმა ანალიზი იმისა, თუ რა გავლენას მოახდენს იგი ფინანსურ შედეგებზე და სამეურნეო საქმიანობის სხვა მაჩვენებლებზე. ეს სამუშაო საწარმოში უნდა შეასრულოს საბუღალტრო სამსახურმა სხვა ქვედანაყოფებთან მჭიდრო კავშირში.

სააღრიცხვო პოლიტიკის დამოუკიდებლად განსაზღვრის უფლება საწარმოს აძლევს საშუალებას რომ, თუ საკითხი ნორმაციული დოკუმენტებით არ რეგულირდება თვითონვე გამოიმუშაოს აღრიცხვის წესები. ამავე დროს საჭიროა მარეგულირებელ დოკუმენტში შევიდეს მოთხოვნა, რომ სათაო საწარმოს არჩეული სააღრიცხვო პოლიტიკა სავალდებულოა შესასრულებლად ყველა ქვედანაყოფის, წარმომადგენლობებისა და ფილიალების მიერ.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად სააღრიცხვო პოლიტიკა, აღრიცხვის წარმოების წესები წლიდან წლამდე არ უნდა იცვლებოდეს. ამასთანავე არ არის კონკრეტული მითითებები რა შემთხვევებში შეიძლება შეიცვალოს იგი. სააღრიცხვო

პოლიტიკის შეცვლას შეიძლება საფუძვლად დაედოს შემდეგი გარემოებანი:

- საწარმოს რეორგანიზაცია (შერწყმა, მიერთება, დაყოფა, გამოყოფა, გარდაქმნა), რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს მათი დამფუძნებლების, უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების ან სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად; ამ შემთხვევაში სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლა (არჩევა) უნდა განხორციელდეს ახლად დაფუძნებული იურიდიული პირის რეგისტრაციის თარიღისათვის;
- მესაკუთრეთა შეცვლა; ამასთანავე ცვლილებები შეიძლება შეგანილ იქნეს მესაკუთრეების შეცვლის თარიღისათვის;
- საქართველოს კანონმდებლობის შეცვლის შემთხვევაში, რასაც მოჰყვება ქვეყანაში ბუდალტრული აღრიცხვის ახალი წესების შემოღება და სხვ;
- თუ საწარმოს მიერ მიღებული იქნება გადაწყვეტილება წლის განმავლობაში სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლის შესახებ, ეს საჭიროა დაფიქსირდეს ბრძანებით ან შესაბამისი განკარგულებითი დოკუმენტის გაფორმებით.

კონცეფციაში დახასიათებულია სააღრიცხვო ციკლი, მონაცემთა დამუშავების კრიტერიუმები, პირველადი დოკუმენტების შედგენის დრო, სამეურნეო სუბიექტის ბუდალტრული ანგარიშების შემადგენლობა, რომელიც განსაზღვრულია საერთაშორისო სტანდარტებით და საქართველოს კანონებით.

სააღრიცხვო ციკლი უნდა წარიმართოს ისეთი პრინციპების დაცვით როგორიცაა: სისრულე, თავისთავადობა, იდენტიფიკაცია, უტყუარობა, არსებითობა, ნეიტრალურობა, დარიცხვის მეთოდი და სხვ. ყველა მათგანს თავისებური მნიშვნელობა გააჩნია. მაგალითად, „თავისთავადობის“ პრინციპის შესაბამისად სამეურნეო სუბიექტის ქონება და ვალდებულებები აღირიცხება მისი მესაკუთრეების ქონებისა და ვალდებულებებისაგან განცალკევებულად. „იდენტიფიკაციის“ ანუ პერიოდიზაციის პრინციპი გულისხმობს რომ სამეურნეო საქმიანობის

ფაქტები მიეკუთვნოს იმ საანგარიშო პერიოდს, როდესაც მათ ჰქონდათ ადგილი. ეს კი თავისთავად მოითხოვს ფაქტის მოხდენის მომენტის შერჩევას. აქედან გამომდინარეობს, რომ ფაქტი უნდა დაფიქსირდეს პირველად დოკუმენტებში.

„ეტყუარობის“ პრინციპის დაცვა ყველაზე მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგების წარდგენისას. ამავე დროს გასათვალისწინებელია, რომ მონაცემები რომელიც მოექცევა აღრიცხვის სისტემაში, აფარებენ არა აბსოლუტურად ზუსტ, არამედ პირობითად ზუსტ ხასიათს, რაც განპირობებულია მეთოდოლოგიური, სქოლასტიკური და სხვა მიზეზებით. აქედან გამომდინარე „ეტყუარობის პრინციპი“ იმავდროულად „ფარობითობის პრინციპსაც“ მოიცავს.

აღრიცხვის კონცეფციაში მოცემული პრინციპები პირობითად იყოფა საბაზისო და ძირითად პრინციპებად. საბაზისო პრინციპებს მიეკუთვნება თავისთავადობა, ფუნქციონირებადი საწარმო და დარიცხვის მეთოდი. უველა სხვა დანარჩენი წარმოადგენენ ძირითად პრინციპებს.

საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით კონცეფციაში შეტანილია იმ ელემენტების განსაზღვრებანი, რომელსაც შეიცავენ ბუღალტრული ბალანსი, მოგება-ბარალის ანგარიში, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში. მოცემულია საკუთარი კაპიტალის განმარტება, აგრეთვე მისი მუხლობრივი სტრუქტურა. მიგვაჩნია, რომ ასეთი დაყოფა მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა დაინტერსებული პირებისათვის, რამდენადაც ისინი შეიძლება იყვნენ სამართლებრივი ან სხვა სახის შეზღუდვის საფუძველი საკუთარი კაპიტალის გამოყენების საკითხში.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ბალანსის ელემენტების შეფასების საკითხი. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურული საფუძვლების შესაბამისად „შეფასება არის ფულადი თანხების განსაზღვრის პროცესი, რომლის მიხედვითაც

ხდება ფინანსური ანგარიშგების ელემენტების აღიარება“.
მიგვაჩნია, რომ მოცემული განმარტება მოითხოვს დაზუსტებას.
კერძოდ, შეფასება არის, არა „ფულადი თანხების განსაზღვრის
პროცესი“, არამედ „ფინანსური ანგარიშგების ელემენტების
ფულად გამოსახულებაში გამომვის პროცესი“.

გარდა ბემოაღნიშნულისა კონცეფციაში წამოწეულია
ისეთი საკითხები, რომლებიც სულ უფრო აქტუალური ხდება
საბაზრო ეკონომიკის პირობებში. კერძოდ ბუდალგრული
ანგარიშგების გამოქვეყნება, პასუხისმგებლობა ბუდალგრული
აღრიცხვის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების
დარღვევისათვის და სხვ.

მეშვიდე, ბუდალგრული აღრიცხვის საერთაშორისო სტან-
დარტების ბაზაზე საქართველოს ეროვნული სტანდარტების შე-
მუშავება და დანერგვა. აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად
საჭიროა მიმართული იქნეს ქართველ მეცნიერ-ეკონომისტთა,
აგრეთვე დამოკიდებული პროფესიული ორგანიზაციებისა და
სახელმწიფო სტრუქტურების მთელი ძალისხმევა; უნდა შევი-
სწავლოთ და გავიმიაროთ სხვა ქვეყნების გამოცდილება, რათა
გაფარდეს რეალური რეფორმა, რომელიც თავის მხრივ
უზრუნველყოფს სამეწარმეო საქმიანობის გამჭვირვალობას,
შეამცირებს საგადასახადო სამართალდარღვევებს და ხელს
შეუწყობს ქვეყანაში ცივილიზებული საბაზრო ურთიერთობების
დამკაიდრებას.

თავი III.

საქართველოს სახელმწიფო ფინანსური პრინციპების სისტემა

საქართველოში საბაზრო ეკონომიკის განვითარება სულ უფრო და უფრო განაპირობებს თანამედროვე სახელმწიფო ფინანსური კონფრონტის დამკაიდრების აუცილებლობას. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მიერ ფინანსური კონფრონტი ყოველთვის ხორციელდებოდა, დღევანდელ პირობებში იგი უფრო აუცილებელი გახდა, რომელიც უშაალოდ გამომდინარებს საბაზრო ეკონომიკის ბუნებიდან, მისი მრავალფეროვნებიდან და სამეურნეო სუბიექტების დამოუკიდებლობის ხარისხიდან. ფინანსური კონფრონტი სახელმწიფოს მართვის ერთ ერთი ფუნქცია, რომელზედაც ბევრადაა დამოკიდებული ქვეყნის დემოკრატიულ საწყისებზე განვითარება.

სახელმწიფო ფინანსური კონფრონტის ჩამოყალიბებას დიდი ხნის ისტორია აქვს, რამდენადაც იგი თვით სახელმწიფოს წარმოშობის თანამდევ პროცესია, რამეთუ მის გარეშე სახელმწიფოს ფუნქციონირება პრაქტიკულად წარმოუდგენელია.

განვითარებულმა ქვეყნებმა სახელმწიფო ფინანსური კონფრონტის უმაღლეს საფეხურებს მიაღწიეს, შექმნეს კონფრონტის დახვეწილი სისტემა, რომელშიც ამ ბოლო წლებში ფართოდ გამოიყენება თანამედროვე კომპიუტერული პროგრამები. განსაკუთრებით აღსანიშნავია წინასწარი კონფრონტის სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც ფინანსური სამართალდარღვევების პრევენციის საუკეთესო საშუალებაა და უზრუნველყოფს სახელმწიფო ფინანსური სახსრების ხარჯების კანონიერებისა და მიზნობრიობის დაცვას.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფინანსური კონფრონტის გაძლიერების აუცილებლობას განაპირობებენ ისეთი ფაქტორები, როგორიცაა:

- სამეურნეო სუბიექტების დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორში;

- სახელმწიფო სტრუქტურების უფლებების გაფართოება და იმავდროულად პასუხისმგებლობის გაზრდა არსებული საკანონმდებლო გარემოს პირობებში;

- სახელმწიფო სახსრების ხარჯვისა და სახელმწიფო ქონების გამოყენების შესახებ სამოგადოებისათვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდების აუცილებლობა;

- სახელმწიფო სახსრების გამოყენების ეფექტიანობის უზრუნველყოფა;

- სახელმწიფოს, კერძო სექტორისა და მოქალაქეების ფინანსური ინტერესების დაცვა, სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გაფარებაში სახელმწიფოსათვის ხელშეწყობა;

- სამოგადოებრივი პროდუქტის წარმოებასა და განაწილების ყველა ეტაპზე ფინანსური რესურსების რეზერვების გამოვლენა.

ფინანსური კონტროლი უნდა ეფუძნებოდეს ისეთ ძირითად პრინციპებს, როგორიცაა: კანონიერება, საჯაროობა, ობიექტურობა და სისტემურობა.

კანონირება გულისხმობს დადგენილი კანონებისა და წესების დაცვას, როგორც კონტროლის განმახორციელებელი, ისე კონტროლს დაქვემდებარებული სამეურნეო სუბიექტების მიერ. კანონიერების დაცვა თავის მხრივ პასუხისმგებლობასაც გულისხმობს.

საჯაროობა სახელმწიფო კონტროლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებაა. კონტროლის შედეგები საჯაროა მთელი სამოგადოებისათვის, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს კონტროლის სისტემის სრულყოფასაც;

ობიექტურობა ფინანსური კონტროლის მნიშვნელოვანი საფუძველია, რადგან მის გარეშე შეუძლებელია სწორი გადაწყვეტილებების მიღება. ამიტომ არის, რომ კონტროლის განმა-

ხორციელებელ ორგანოებსა თუ ცალკეულ პირებს მოეთხოვებათ ობიექტურობის დაცვა, მიუკერძოებლობა, აპოლიტიკურობა, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება და სხვ.

სისტემურობის პრინციპი გულისხმობს შესასწავლი ობიექტის მრავალმხრივ შემოწმებას, შემოწმების პერმანენტულ ხასიათს, კონტროლის წინასწარი პროცედურების ჩატარებას და სხვ.

ბემოაღნიშნულიდან გამომდინარე სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ამოცანები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვყალიბოთ:

- სახელმწიფო შემოსულობების წარმოქმნის თავისდროულობისა და სისრულის შემოწმება;
- სახელმწიფო გადასახდელების მიზნობრიობისა და ეფექტიანად გამოყენების შემოწმება;
- არამიზნობრივად დახარჯული სახსრების სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტებში დაბრუნების უზრუნველყოფა;
- სახელმწიფო ფულადი სახსრების მოძრაობის კონტროლი საბანკო დაწესებულებებსა და სხვა ანალოგიურ ინსტიტუტებში;
- საშინაო და საგარეო ფინანსური ვალდებულების შესრულების თავისდროულობისა და კანონიერების შემოწმება;
- საკანონმდებლო-ნორმატიული აქტების პროექტების პრევენციული ექსპერტიზა, რომელთა მიხედვითაც გათვალისწინებულია სახელმწიფო ფინანსური სახსრების გამოყენება;
- შესაბამისი უწყებების მიერ წინასაღებების მომზადება საქართველოს პარლამენტისა და სხვა ორგანოებისათვის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გამოცემასა და სრულყოფასთან დაკავშირებით;
- საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივად და ეკონომიკურად ხარჯვა;
- სახელმწიფო ქონების ეფექტიანი განკარგვის უზრუნველყოფა;

- საკანონმდებლო მეთოდებით კორუფციული, მფლანგველობითი და სხვა დანაშაულებრივი ქმედებების აღმოფხვრა და სხვ.

სახელმწიფო ფინანსურ კონფრონლს ექვემდებარებიან: სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები; სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოები და ორგანიზაციები; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები საწარმოები და ორგანიზაციები; საჯარო სამართლისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები.

თავი IV.

სახელმწიფო ფინანსური პონტიფიციურის ორგანოები და მათი ფუნქციების სამართლებრივი ბაზა

სახელმწიფო ფინანსურ კონფრონტს ახორციელებენ მა-კონფრონტებელი ორგანოები, რომლებიც მთლიანობაში ქმნიან ერთიან სისტემას, თუმცა თითოეული მათგანი შექმნილია კონკრეტული ამოცანების შესასრულებლად. ამსთანავე, დემო-კრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო სტრუქტურებთან ერ-თად კონფრონტს ახორციელებენ დამოუკიდებელი არასამთავ-რობო სტრუქტურები, კერძო ფირმები, რაც თავის მხრივ ქვე-ყანაში ფინანსური დისციპლინის შენარჩუნებისა და განმტკი-ცების საფუძველია.

სახელმწიფო ფინანსური კონფრონტის ორგანოთა ფუნქ-ციები ბოგადად შეიძლება შემდეგნაირად წარმოვადგინოთ:

- ბიუჯეტის შემოსულობების კონფრონტი;
- ბიუჯეტის გადასახდელების კონფრონტი;
- სახელმწიფო და მუნიციპალური ქონების გამოყენების კანონიერებისა და მიზნობრიობის კონფრონტი;
- არასაბიუჯეტო ფონდების გამოყენების ეფექტიანობის კონფრონტი;
- სახელმწიფო ბიუჯეტიდან და არასაბიუჯეტო ფონდები-დან სახსრების საბანკო დაწესებულებებებში მოძრაობის კონფ-რონტი;
- სავალუტო, სადაბდვეო, საბაჟო საქმიანობის კონფრონტი და სხვ.

შემოაღნიშნულ ფუნქციებს სხვადასხვა ქვეყანაში ასრუ-ლებენ ამისათვის შექმნილი ორგანოები, რომლებიც ძირითა-დად იწოდებიან, როგორც საანგარიშო პალატა, კონფრონტის პალატა, აუდიტორული ოფისი, კონფრონტის კომიტეტი და სხვ. როგორც ზემოთაც ავღნიშნეთ, გარე ფინანსურ კონფრონტან

ერთად ხორციელდება შიდა კონტროლიც ამისათვის სპეციალურად შექმნილი სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით.

საკითხის შესწავლით ირკვევა, რომ დღეისათვის საქართველოში სახელმწიფო ფინანსურ კონტროლს ახორციელებენ სხვადასხვა სახელისუფლებო და არასამთავრობო სტრუქტურები, რომელთა ფუნქციები, ამოცანები და უფლება-მოვალეობები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

საქართველოს პარლამენტი. საქართველოს პარლამენტი მისი კანონშემოქმედებითი ფუნქციებიდან გამომდინარე სახელმწიფო კონტროლის განხორციელების ერთ-ერთი მთავარი ორგანოა. ადგილებზე ამ ფუნქციას ასრულებენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოები. მათ მიერ სახელმწიფო ფინანსური კონტროლი ხორციელდება უპირველეს ყოვლისა ბიუჯეტის პროექტების განხილვისა და დამტკიცების, აგრეთვე მათი შესრულების ანგარიშის დამტკიცების დროს. ამ მიზნით პარლამენტში შექმნილია საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოებში, საბიუჯეტო კომისიები, რომელთა ამოცანებში შედის საბიუჯეტო შემოსულობებისა და გადასახდელების მონიტორინგი, ამ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოთხვა საბიუჯეტო პოცესის მონაწილე ნებისმიერი სტრუქტურისა თუ ცალკეული ორგანიზაციისაგან. მათ შეუძლიათ განახორციელონ შერჩევითი კონტროლი, ამისათვის შექმნან სპეციალური კომისიები, მოიწვიონ სპეციალისტები და სხვ.

საქართველოს პარლამენტი და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოები კონტროლს ახორციელებენ ძირითადად სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების პროექტების განხილვა-დამტკიცებით, წლიური და მიმდინარე ბიუჯეტის შესრულებაზე აღმასრულებელი ორგანოების ანგარიშის მოსმენა-განხილვის მეშვეობით, აგრეთვე მაკონტროლებელი ორგანოებისა და ცალკეული სამსახურების

მიერ ჩატარებული შემოწმებების შედეგების ანალიზის საფუძველზე და სხავ.

საქართველოს მთავრობა. საქართველოს მთავრობა თავისი კომპენტენციის ფარგლებში ახორციელებს ზოგადად სახელმწიფო კონტროლს და კონკრეტულად ფინანსურ კონტროლსაც, ცალკეული სამინისტროებისა თუ უწყებების ანგარიშების მოსმენით, აგრეთვე მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებაზე მუდმივი მონიტორინგის მეშვეობით. კონსტიტუციური უფლებამოსილების შესაბამისად აღმასრულებელი ხელისუფლების, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელების, მთავრობის საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფის, ანალიტიკური, ინფორმაციული და სხვა მასალების მომზადების, აგრეთვე მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლის ხელშეწყობის მიზნით შექმნილია მთავრობის კანცელარია, რომელიც უზრუნველყოფს სამინისტროებისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების საქმიანობის კოორდინაციასა და კონტროლს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური. სახელმწიფო აუდიტის სამსახური. სახელმწიფო ფინანსური კონტროლის უმაღლეს ორგანოა, რომელიც უშუალოდ ექვემდებარება საქართველოს პარლამენტს და წარმოადგენს აგრეთვე მისივე კონტროლის ქვეშ მყოფ ორგანიზაციას. მისი საქმიანობის ძირითადი მიზნებია, ხელი შეუწყოს სახელმწიფო სახსრების, სახელმწიფოს სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯებისა და გამოყენების კანონიერებისა და მიზნობრიობის დაცვას, ეფექტიანობას, ეროვნული სიმდიდრის, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრების დაცვას, ასევე საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის პრინციპებია: ობიექტურობა, დამოუკიდებლობა, საჯაროობა, პროფესიონალიზმი. სახელმწიფო აუდიტის სამსახურს დიდი უფლებამოსილებები გააჩნია, რაც

გამოიხატება შემდეგში: იგი ახორციელებს აუდიტს კანონით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში; უფლებამოსილია ჩაატაროს ექსპერტიზა და გასცეს დასკვნები საფინანსო და ეკონომიკური სფეროების მარეგულირებელი საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების პროექტებზე, ასევე იმ პროგრამებზე, რომელთა დასაფინანსებლად განსაზღვრულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების სახსრების გამოყენება ან რომლებიც გავლენას ახდენს ამ სახსრების ფორმირებაზე.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორული უფლებამოსილების მაღალი ხარისხი იმითაც დასტურდება, რომ მისი კომპეტენცია ვრცელდება საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების ორგანოებზე, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებზე, საქართველოს ეროვნულ ბანკზე, სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებზე, სხვადასხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებზე.

მის წინაშე დასახული ამოცანების შესასრულებლად სახელმწიფო აუდიტის სამსახური ამოწმებს: სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების ხარჯვასა და შესრულებას, ბიუჯეტების პროექტების შემოსულობებისა და გადასახდელების საფუძვლიანობასა და კანონიერებას, შიგა და გარე სახელმწიფო ვალების ფორმირებასა და მართვას, საკრედიტო და საფინანსო დაწესებულებებში სახელმწიფო სახსრების მოძრაობის კანონიერებას, საქართველოს დიპლომატიური სამსახურის საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობას, საჯარო სამართლისა და არაკომერციული იურიდიული პირების სახსრებისა და ქონების ხარჯვასა და გამოყენებას, სახელმწიფო, ავტონომიური

რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრების მართვასა და განკარგვას; ახორციელებს მოქალაქეთა პლიტიკური გაერთიანებების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგს კანონით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში. იგი უფლებამოსილია ჩაატაროს არაგეგმური აუდიტი საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის, საპარლამენტო უმცირესობის მოთხოვნით ან თავისივე გადაწყვეტილებით.

აუდიტის განმახორციელებელი მოსამსახურები უფლებამოსილი არიან, აუდიტის განხორციელების მიზნით: მოითხოვონ მათთვის საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტები, მიუხედავად მისი ფორმისა, აუდიტის ობიექტს მოსთხოვონ დოკუმენტური მასალის სახელმწიფო ენაზე წარმოდგენა, გადაიღონ დოკუმენტების ასლები, დაუბრკოლებლად შევიდნენ აუდიტის ობიექტში, ჩაატაროს ინვენტარიზაცია, დალუქონ საწყობები, არქივები და სალაროები, ცალკეული გადასახადის გადამხდელების შესახებ მიიღონ იდენტიფიცირებული ინფორმაცია (საგადასახადო საიდუმლოება) მოსამართლის ბრძანების საფუძველზე და ა. შ.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ პერიოდში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფლებამოსილებები და კომპენტენციის ფარგლები საკმაოდ გაფართოვდა ცალკეული ორგანიზაციული თუ მეთოდოლოგიური საკითხები გარკვეულ სრულყოფას საჭიროებს, რატედაც ცალკე პარაგრაფში შევჩერდებით.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. სახელმწიფო ფინანსური კონფრონლის განხორციელების საქმეში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს. იგი ახორციელებს რა სახელმწიფო მმართველობას საფინანსო-საბიუჯეტო და საგადასახადო სფეროში, უზრუნველყოფს საქართველოს ტერიტორიაზე საბიუჯეტო და საგადასახადო კანონმდებლობის დაცვასა და შესრულების კონფრონლს; ახორციელებს ეკონომიკური დანაშაულის სფეროში პრევენციულ

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას, მოკვლევასა და წინასწარ გამოძიებას. ზემოაღნიშნულ ფუნქციებს ფინანსთა სამინისტრო ახორციელებს მისი მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის, აგრეთვე საგამოძიებო და სახაზინო სამსახურების მეშვეობით.

შემოსავლების სამსახური. შემოსავლების სამსახური დაკისრებულ მოვალეობებს ასრულებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და მასში შემავალი სტრუქტურული ერთეულებისაგან ქმნის სამსახურის ერთიან ცენტრალიზებულ სისტემას. კონტროლის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულებია: აუდიტის დეპარტამენტი, მომსახურების დეპარტამენტი, საგადასახადო პრევენციის დეპარტამენტი, გაფორმების დეპარტამენტი და ეკონომიკური საზღვრის დაცვის დეპარტამენტი. აღნიშნული დეპარტამენტები სპეციალიზებული სტრუქტურული ერთეულებია და წარმოადგენენ სამსახურის შემადგენლობაში შემავალ საგადასახადო ორგანოებს, რომლებიც თავიანთი ფუნქციების განხორციელებისას მოქმედებენ სახელმწიფოს სახელით.

აუდიტის დეპარტამენტის მირითადი ფუნქციებია: საგადასახადო შემოწმებები, საგადასახადო კონტროლისათვის გადასახადის გადამხდელთა შერჩევა, კონტროლის ღონისძიებების ორგანიზება და ჩატარება, საგადასახადო შემოწმებების მომზადებისა და ჩატარების პროცედურული სტანდარტების შემუშავება და სხვ.

მომსახურების დეპარტამენტი ახდენს აქციზური მარკების, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების, სათამაშო ბიბნესის მოსაკრებლის გადახდის ნიშნების, ავტოგასამართ სადგურებში მრიცხველი მექანიზმების ღუქების გაცემას, აზარტულ და სხვა მომგებიან თამაშობებზე ნებართვების გაცემა, გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო აღრიცხვას და პირადი აღრიცხვის ბარათების წარმოებას, გადასახადების გადახდაზე

მონიტორინგს, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფისა და სხვა ღონისძიებს.

საგადასახადო პრევენციის დეპარტამენტის ფუნქციებში შედის ისეთი საკონფრონლო ფუნქციები, როგორიცაა: საგადასახადო რეგისტრაციის გარეშე მომუშავე პირთა გამოვლენა, გადასახადის გადამხდელის საქმიანობაზე მიმდინარე კონფრონლის განხორციელება ქრონომეტრაჟის, საკონფრონლო შესყიდვის, დათვალიერებისა და ინვენტარიზაციის მეშვეობით; საკონფრონლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვის კონფრონლო; აქციზური მარკებით ნიშანდებას დაქვემდებარებული საქონლის წარმოებისა და მიწოდების წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენა და სხვ.

საგადასახადო სამსახურის მიერ საგადასახადო კონფრონლის მიზნები, ამოცანები, ფორმები და პროცედურები განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსით. 2011 წლიდან ძალაში შევიდა ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელმაც მკაფიოდ განსაზღვრა საგადასახადო კონფრონლის არსი და სახეები. იგი ხორციელდება ისეთი ფორმებით, როგორიცაა მიმდინარე კონფრონლი და საგადასახადო შემოწმება.

მიმდინარე კონფრონლის პროცედურებია: ქრონომეტრაჟი, საკონფრონლო შესყიდვები, დათვალიერება, ინვენტარიზაცია, საკონფრონლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვის კონფრონლი და სხვ.

საგადასახადო შემოწმება კონფრონლის ძირითადი ფორმაა. შემოწმება შეიძლება იყოს კამერალური და გასვლითი.

კამერალური საგადასახადო შემოწმება ტარდება საგადასახადო ორგანოში წარდგენილი მონაცემების საფუძველზე, ხოლო გასვლითი საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილების საფუძველზე. ამ შემთხვევაში საჭიროა გადასახადის გადამხდელისათვის წინასწარი შეფყობინება. შემოწმება შეიძლება იყოს გადაუდებელი, რომელიც ტარდება წერილობითი შეფყობინების გარეშე მაშინ, როდესაც უკანასკ-

ნელმა საგადასახადო შემოწმებამ გამოავლინა მნიშვნელოვანი დარღვევის ფაქტები, არსებობს ინფორმაცია საწარმოს საეჭვო შემოსავლების შესახებ, არ არის წარდგენილი საგადასახადო დეკლარაციები და სხვ.

გაფორმების დეპარტამენტის ფუნქციებია: სასაქონლო ოპერაციათა მონიტორინგი, ზედამხედველობა და ანალიზი. სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებებისა და სახელმწიფო კონფრონლის განხორციელება, გაფორმების ეკონომიკური ზონის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესვლის, გასვლის, დგომის, მთლიანობისა და ლუქების კონფრონლი, საქართველოს ეკონომიკური ტერიტორიიდან საქონლის გატანისას საქონლის წარმოშობის სერტიფიკაციის გაცემა, სასაქონლო ექსპერტიბის განხორციელება და სხვ.

ეკონომიკური საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ფუნქციებია: სახელმწიფო ზედამხედველობას დაქვემდებარებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების აღრიცხვა და გადაადგილებაზე კონფრონლი, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას სამგზავრო დოკუმენტებში შესაბამისი აღნიშვნების განხორციელება, სახელმწიფო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების მიმართ სახელმწიფო კონფრონლის სპეციალური საშუალებების გამოყენება და სხვ.

საგადასახადო კონფრონლს ახორციელებს მხოლოდ საგადასახადო ორგანო. სხვა მაკონფრონლებელ ორგანოებს ეკრძალებათ გადასახადის გადამხდელის საქმიანობის საგადასახადო კონფრონლი, მოსამართლის ბრძანების გარეშე.

საგამოძიებო სამსახური არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება, რომელსაც გააჩნია სპეციალური სამართალდამცავი ორგანოს სტატუსი. საგამოძიებო სამსახური ახორციელებს საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით მის ქვემდებარეობას მიკუთვ-

ნებულ საქმეთა წინასწარ გამოძიებას და კანონმდებლობით დადგენილ სხვა ფუნქციებს. საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში მას გააჩნია კონტროლის ისეთი მნიშვნელოვანი ფუნქციები, როგორიცაა აღმინისტრაციულ სამართალდარღვევათა პრევენცია და გამოვლენა, საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში დანაშაულის და კორუფციულ გარიგებათა პრევენცია, აღკვეთა და გამოვლენა, კომპეტენციის ფარგლებში ინფორმაციის მოპოვება, მისი ანალიზი; დანაშაულის გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით ოპერატორ-სამძებრო საქმიანობის განხორციელება და სხვ.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას. ხაზინა არის სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრების ფინანსური კონტროლის უმნიშვნელოვანესი ორგანო. იგი საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის დასაწყისში ჩამოყალიბდა და უკანასკნელ პერიოდში განვითარების მნიშვნელოვან დონეს მიაღწია. მისი ძირითადი ფუნქციებია: სახელმწიფო ბიუჯეტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების შემოსულობების აღრიცხვა, ანგარიშება და ანგარიშწორება; საბიუჯეტო თანხების ხარჯვა დამტკიცებული წლიური საბიუჯეტო კანონის შესაბამისად, სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის თპერატიული მართვა აღრიცხვა და ანგარიშება.

ფინანსური კონტროლის ფუნქციებიდან უნდა გამოიყოს ისეთი, როგორიცაა:

- შემოწმებისა და ანალიზის მიზნით მიოთხოვოს მხარჯავი დაწესებულებებისგან ფინანსური ანგარიშებისა და ბალანსების წარმოდგენა;

- გახსნას და დახუროს საბანკო დაწესებულებებში ანგარიშები და განსაზღვროს მათი მოქმედების რეჟიმი;

- მიიღოს გადაწყვეტილება საბიუჯეტო ორგანიზაციებისა-

თვის ანგარიშების გახსნისა და დახურვის თაობაზე;

- მართოს და გადაანაწილოს მის განკარგულებაში არსებული ფულადი სახსრები სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე;

- საბიუჯეტო ორგანიზაციებს მოსთხოვოს საგადამხდელო და საანგარიშსწორებო საბუთებთან დაკავშირებული დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენა;

- შეზღუდოს გადასახდელების გაცემა მის მომსახურებაზე მყოფ ორგანიზაციებზე;

- მხარჯავი დაწესებულებების მიერ დადგენილ ვადებში ბუღალტრული ანგარიშების წარმოუდგენლობის შემთხვევაში შეუჩეროს მათ ამ მოთხოვნის შესრულებამდე ყველა სახის დაფინანსება და სხვ.

საქართველოს ეროვნული ბანკი. საქართველოში სახელმწიფო საბანკო კონგროლის განხორციელების სამართლებრივი საფუძველია საქართველოს კანონი“ საქართველოს ეროვნული ბანკის“ შესახებ და საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების შესახებ“. ფინანსური კონგროლის აღნიშნული სახეობა მიმართულია საბანკო კრედიტების ეფექტიანი გამოყენებისა და საგადამხდელო დისციპლინის განმტკიცებისგან. კრედიტის დაბრუნებადობის პრინციპი საბანკო კონგროლის საფუძველია, ხოლო თვით კონგროლი არის კრედიტის დაბრუნების აუცილებელი პირობა.

ფინანსური კონგროლის თვალსაზრისით საქართველოს ეროვნულ ბანკს ფართო უფლებები გააჩნია. აქედან შეიძლება გამოიყოს მისი ისეთი ფუნქციები, როგორიცაა: საბანკო საქმიანობის ლიცენზირებისა და ბედამხედველობის ფუნქცია, ქვეყნის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის განსაზღვრა; საბანკო ოპერაციებზე ლიმიტებისა და პროცენტული განაკვეთების, აგრეთვე ბანკების მიერ ეროვნულ ბანკში შესანახი სავალდებულო რეზერვების განსაზღვრა. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია კომერციული ბანკების მიმართ გაატაროს გადამჭრელი ღონისძიებები, კერძოდ, შეუწყვიტოს მათ

აქტიური ოპერაციები, დააკისროს ფულადი ჯარიმა, გაუზარდოს სავალდებულო რეზერვების ნორმები, გააუქმოს საბანკო ოპერაციების წარმოების ლიცენზია, ჩაატაროს რევიზია-შემოწმებები.

ეროვნილი ბანკის ფუნქციებს შორის უნდა გამოვყოთ კრედიტებისა და საპროცენტო განაკვეთების კონტროლი, რომელსაც ეროვნული ბანკი ახორციელებს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ჩარჩოებში დროებითი პირობებისა და შეზღუდვების დაწესებით. კომერციული ბანკები და სხვა საკრედიტო დაწესებულებები ვალდებული არიან დაიცვან საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული ეკონომიკური ლიმიტები.

მეტად მნიშვნელოვანია აგრეთვე საბანკო კონტროლის განხორციელება გადასახადების ამოღების საქმეში. ჯერ ერთი, რომ ბანკები გამოდიან საგადასახადო აგენტის როლში მრავალრიცხოვანი კლიენტების საგადასადო ვალდებულებების შესრულების თვალსაზრისით, მეორეც, ბანკები თანამშრომლობენ რა საგადასახადო ორგანოებთან, აწვდიან მათ კანონით განსაზღვრულ ინფორმაციას გადასახადის გადამხდელთა შესახებ.

ეფექტური კონტროლის განხორციელების მიზნით საქართველოს ეროვნული ბანკი კანონმდებლიბის თანახმად ქმნის შიდა აუდიტორიულ სამსახურს რომლის ფუნქციაა შიდა კონტროლის განხორციელება, განსაკუთრებით კი ბანკის სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობისა და ოპერაციების პერიოდული რევიზიების ჩატარება.

ქვეყანაში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის მიზნით „უკანონი შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად საქართველოს ეროვნულ ბანკთან შექმნილა საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური. სამსახურის საზედამხედველო ორგანოს წარმოადგენს სა-

ქართველოს ეროვნული ბანკი. მასთან შეთანხმებით ფინანსური მონიტორინგის სამსახური მონიტორინგის განმახორციელებელი პირებისაგან იღებს ინფორმაციას საეჭვო გარიგებებზე, ანალიზებს მას და აწვდის შესაბამის ორგანოებს; ადგენს საეჭვო გარიგებაზე ანგარიშების ფორმას; იღებს ინფორმაციას ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოდან, აგრეთვე ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირისაგან, რომლებიც ასრულებენ საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებებს და სხვ. სამსახურის მაკონფრონლებელ ფუნქციებს შორის შეიძლება გამოიყოს ისეთი, როგორიცაა:

- მიმართვა სასამართლოსადმი ქონების ან საბანკო ანგარიშის დაყადაღების ან გარიგების ოპერაციის შეჩერების მიზნით;

- უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ან ტერორიზმის დაფინანსების ნიშნების არსებობის შემთხვევაში მასალების დაუყოვნებლივი გადაცემა საქართველოს მთავარი პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურებისათვის;

- საინფორმაციო ქსელისა და შესაბამისი მონაცემთა აღრიცხვის ბაზის შექმნა და სხვ.

სასამართლო ექსპერტის ეროვნული ბიურო. მაკონფრონლებელი და სამართალდამცავი ორგანოები თავიანთი ფუნქციების შესრულების პროცესში ხმირად საჭიროებენ კვალიფიციურ საექსპერტო დასკვნებს. ამ მიზნით შექმნილია საჯარო სამართლის იურიდიული პირი, სასამართლო ექსპერტის ეროვნული ბიურო. მისი ძირითადი მიზანია კვალიფიციური ექსპერტისა და გამოკვლევების ჩატარება და შესაბამისი დასკვნების მომზადება.

ექსპერტის ბიუროს ფუნქციებში განსაკუთრებით აღსანიშნავია საფინანსო კონფრონლის მიზნით საბუღალტრო ექსპერტისა და აუდიტის ჩატარება, მათ შორის შიდა აუდიტი და ინსპექტირება. აღნიშნულ ფუნქციას ასრულებს ბიუროში შექმნილი

სასაქონლო და ფინანსური ექსპერტის დეპარტამენტი. მისი ძირითადი ამოცანაა სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე სასამართლოს, პროკურორის, გამომძიებლის, საქმეში მონაწილე მხარის ან უფლებამოსილი პირის მოთხოვნის საფუძველზე სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზების ჩატარება და შესაბამისი დასკვნის გაცემა, კერძოდ საბუღალტრო ექსპერტიზა, ქონების შეფასება, ინვენტარიზაციის ჩატარება, სამშენებლო-ეკონომიკური და ელექტროტექნიკური ექსპერტიზები და სხვ.

ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსური კონტროლი. ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის ფინანსური კონტროლი ხორციელდება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად. კონტროლის ფორმებია: სახელმწიფო ბედამხედველობა, აუდიტი, დამოუკიდებელი აუდიტი, შიდა აუდიტი და ინსპექტირება. არც თუ ისე დიდი ხნის წინ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის ფინანსური კონტროლი არ შედიოდა ცენტრალური მაკონტროლებელი ორგანოების მოვალეობებში. ამჟამად ეს ხარვეზი გამოსწორებულია.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სახელმწიფო ბედამხედველობა ხორციელდება „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ბედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის აუდიტს ახორციელებს საქართველოს კონტროლის პალატა.

დამოუკიდებელი აუდიტი ტარდება მოწვეული დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ არა უმეტეს წელიწადში ერთხელ. იგი არ ატარებს სავალდებულო ხასიათს და შეიძლება ჩატარდეს საკრებულოს წევრების ერთი მესამედის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში და დასკვნა წარედგინება საკრებულოს, ეგბავნება

საქართველოს კონფრონტის პალატას და ქვეყნდება საჯაროდ.

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ითვალისწინებს აგრეთვე შიდა აუდიტის ჩატარებას. იგი ხორციელდება „სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ“ საქართველოს კანონისა და გამგეობის (მერიის) დებულების შესაბამისად. შიდა აუდიტის განმახორციელებელ სუბიექტებს განსაზღვრავს საკრებულო გამგეობის ან მერიის დებულებით. შიდა აუდიტი მოიცავს თანამდებობის პირებისა და თანამშრომლების მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა დებულებების, შინაგანაწესების, ინსტრუქციების და სამუშაო პროცესის მარეგულირებელი სხვა ნორმატიული აქტების დაცვის კონფრონტაციას.

სამოქადაგოებრივი კონფრონტაციულ სამოქადაგოებაში ცალკეულ არასახელმწიფო ინსტიტუტებსა და მთლიანად მოსახლეობას სახელმწიფო ფინანსური სახრების გამოყენებაზე მონიტორინგის განხორციელების ფართო შესაძლებლობები გააჩნია. ამ მიზნით საქართველოში შექმნილი არასამთავრობო ორგანიზაციები თვალყურს ადევნებენ საბიუჯეტო სახსრების გამოყენებას, აფარებენ გამოკვლევებს და ფართო სამოქადაგოებას აწვდიან შესაბამის ინფორმაციას. მეტად მნიშვნელოვანია სამოქადაგოების კონფრონტაცია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე. იგი გამოიხატება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობით, კერძოდ ამომრჩეველს უფლება აქვს მოახდინოს საკრებულოს დადგენილების პროექტის ინიცირება, მონაწილეობა მიიღოს საკრებულოს სხდომებში, მოისმინოს თვითმმართველობის თანამდებობის პირთა და საკრებულოს წევრების საჯარო ანგარიში. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები თავის მხრივ ვალდებული არიან წარუდგინონ მოსახლეობას ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ. მიხედავად იმისა, რომ კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე

საზოგადოების კოტროლის გარევეულ საშუალებას იძლევა, ეს ფუნქცია საქართველოში დღეისათვის სათანადო დოეზე ვერ ხორციელდება. განსაკუთრებით ეს ეხება საზოგადოების მხრივ ფინანსური კონფრონლის განხორციელებას, რაც მომავალში უფრო ქმედითი უნდა გახდეს.

საზოგადოების მხრივ კონფრონლის ხარისხის ამაღლების მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია კიდევ უფრო გამჭვირვალე გახდეს მაკონფრონლებელ ორგანოთა საქმიანობა, სავალდებულო ხასიათი შეიძინოს მათი საქმიანობის შედეგების საჯაროდ გამოქვეყნებამ და სხვ.

თავი V.

აუდიტორული საქმიანობის თანამედროვე ორგანიზაცია და მისი სრულყოფის გზები

აუდიტორული საქმიანობის ჩამოყალიბება-განვითარებას დიდი ხნის ისტორია აქვს. სიტყვა „აუდიტი“ ლათინური წარმოშობისაა და ქართულად „მოსმენას“ ნიშნავს. როგორც სამეცნიერო-ეკონომიკური ლიტერატურიდან ირკვევა დასავლეთის ქვეყნებში პროფესიონალური აუდიტი პირველად წარმოიქმნა შოთლანდიაში მეცხრამეტე საუკუნის შუა პერიოდში, როდესაც სხვადასხვა ტიპის ინგლისელი ინვესტორები გაემგბავრნენ ამერიკაში და მათთან ერთად აქ ჩამოვიდნენ აუდიტორებიც ინვესტორთა ინვესტორების ინტერესების დასაცავად. ჯერ კიდევ 1844 წლიდან დიდ ბრიტანეთში მიიღეს სამეწარმეო საქმიანობის მარეგულირებელი კანონები, რომელიც ავალდებულებდა კომპანიებს წელიწადში ერთხელ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესასწავლად მოეწვიათ ბულალტრული აღრიცხვის მცოდნე სპეციალისტი ანუ აუდიტორი. თუმცა ზოგიერთი ლიტერატურული წყაროები მიეთითებენ, რომ აუდიტი სათავეს იღებს აღმოსავლეთის უძველესი ცივილიზაციის ქვეყნებში.

აუდიტორიულმა საქმიანობამ მიმდინარეობით განვითარების ხასიათი მიიღო ამერიკის შეერთებულ შტატებში. 1881 წელს ჩამოყალიბდა „ამერიკის აუდიტორთა ასოციაცია“. 1917 წლიდან აუდიტორიული პროცედურების სტანდარტიზაციის მიზნით შემუშავებული იქნა „საბალანსო ანგარიშების მომზადების მეთოდები“, ხოლო 1934 წლიდან გამოქვეყნდა დოკუმენტი „ფინანსური ანგარიშების შემოწმება დამოუკიდებელი აუდიტორების მიერ“, ხოლო 1948 წელს უკვე გამოცემული იქნა „აუდიტის საყოველთაო სტანდარტები“.

პროფესიონალური ბულალტერ-აუდიტორებზე მოთხოვნა განსაკუთრებით გაიზარდა გასული საუკუნის 30-იან წლებში მსოფლიო-ეკონომიკური კრიზისის დროს, ხოლო 40-იანი წლებიდან

გარე აუდიტთან ერთად ჩამოყალიბება დაიწყო შიდა კონტროლის (აუდიტის) სისტემაში. ამავე პერიოდში თანდათანობით განვითარდა საკონსულტაციო საქმიანობა, რასაც აგრეთვე აუდიტორები ეწეოდნენ. ამასთან დღის წესრიგში დადგა აუდიტის ჩატარების საერთო მეთოდოლოგიური პრინციპების ჩამოყალიბების აუცილებლობა, რომელიც დაგვირგვინდა 1973 წელს ამერიკის ბულალტერთა ასოციაციის მიერ „აუდიტის ძირითადი კონცეფციების დებულების“ გამოქვეყნებით. ამ საქმეში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ნაფიც ბულალტერთა ამერიკული ინსტიტუციის დამფუძნებელმა და შემდგომში მისმა პერიოდენგმა რობერტ მონტგომერმა. მან შემოგვთავაზა აუდიტის კლასიფიკაცია, რომელიც მთელს მსოფლიოში იქნა აღიარებული და გავრცელებული. მან ჯერ კიდევ 1909 წელს ამერიკაში გამოსცა ლორენს რ. დიქსის მიერ ინგლისში დაწერილი წიგნი „აუდიტი: პრაქტიკული სახელმძღვანელო აუდიტის შესახებ“. 1912 წელს რაკი შენიშნა, რომ ამერიკული პრაქტიკა განსხვავდება ბრიტანულისაგან, მან გამოსცა პირველი ამერიკული წიგნი აუდიტის შესახებ – „აუდიტი: თეორია და პრაქტიკა“. მოგვიანებით ამ წიგნს ეწოდა „მონტგომერის აუდიტი“¹, რომელშიც მან მკაფიოდ ჩამოაყალიბა აუდიტორის პროფესიული ვალდებულებები, აუდიტის სტრატეგია, შემოწმების მეთოდები, ტექნოლოგია და სხვ.

სამეცნიერო-ეკონომიკურ ლიტერატურაში აუდიტის განმარტება სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციით არის წარმოდგენილი, ასე მაგალითად:

ამერიკის ბულალტერთა ასოციაციის აუდიტის ძირითად კონცეფციათა კომიტეტის განმარტებით - „აუდიტი ეწოდება ეკონომიკურ ქმედებათა და მოვლენათა შესახებ არსებული ცნობების ობიექტური შეკრებისა და შეფასების სისტემატურ

1. მონტგომერი აუდიტი, გამომცემლობა „ფინანსები“ თბ., 2004წ., გვ., 16

პროცესს, იმ მიზნით, რომ განისაზღვროს დადგენილ კრიტერიუმებთან ამ მტკიცებების შესაბამისობის ხარისხი და შემოწმების შედეგები გადაეცეს დაინტერესებულ პირებს¹.

მენეჯმენტის ლექსიკონი შემდეგნაირად განმარტავს აუდიტის ცნებას – „აუდიტი არის ფირმის საქმიანობის რომელიმე ასპექტის ნებისმიერი შემოწმება, თუნდაც იგი ტარდებოდეს ფირმის თანამშრომლების მიერ“².

ა. აქსიონენკო თვლის, რომ აუდიტი ეს არის „საწარმოთა ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შემოწმების პროცესი, მათი სისწორისა და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის თვალსაბრისით“³.

ცალკეულ წყაროებში აუდიტის განმარტების ნაცვლად, მოცემულია მისი დანიშნულება და მიზანი. მაგალითად, ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ გამოცემულ „აუდიტის ოფიციალური ტექნიკური დოკუმენტების ცნობარის“ მიხედვით „ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მიზანია შესაძლებლობა მისცეს აუდიტორს გამოთქვას თავისი მოსაზრება იმის შესახებ, მომზადებულია ღუ არა ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურული საფუძვლების შესაბამისად ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით“⁴.

აუდიტორული საქმიანობის შესახებ 2012 წლამდე მოქმედი საქართველოს კანონის შესაბამისად – „აუდიტის მიზანია სამეცნიერო სუბიექტის სამეწარმეო საქმიანობის, საჯარო ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების, დაბეგვრისა და სამეცნიერო-საფინანსო საქმიანობისა და საწესდებო მოთხოვნების უზყვა-

-
1. მონტგომერი აუდიტი, გამომცემლობა „ფინანსები“ თბ., 2004წ., გვ. 8.
 2. Georgian-English-Rusian Explanatory Dictionary of Bazic Terms of Management, Tbilisi, 2005
 3. Акционенко А. Ф. Аудит: современная организация и развитие. Бухгалтерский учет. – 2012, N4.
 4. „აუდიტის ოფიციალური ტექნიკური დოკუმენტების ცნობარი“, თბ., 1999წ. გვ. 137.

რობის, სისრულის, მოქმედ კანონმდებლობასთან და ნორმატივებთან შესაბამისობის დადგენა^{“1”}. აღსანიშნავია, რომ ამჟამად მოქმედ კანონმდებლობაში, კერძოდ „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ,, საქართველოს კანონში, საერთოდ არ არის მოცემული აუდიტის განმარტება, რაც ჩვენი აზრით გამართლებული არ არის.

სხვა ავტორთა აზრით – „აუდიტი არის დამოუკიდებელი ექსპერტიბა ბუღალტრული აღრიცხვის, ბალანსის, ანგარიშგებისა და შიდა აუდიტის მონაცემთა საფუძველზე“^{“2”}.

მიუხედავად აუდიტის განმარტებაში არსებული სხვადასხვა შეხედულებებისა შინაარსობრივად ისინი დიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ „აუდიტი არის საჯარო ფინანსური ანგარიშგების შემოწმება მისი სანდობის, სისრულის და ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შედგენის მოქმედ კანონმდებლობასთან და წესებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, რომელიც ხორციელდება განსაზღვრული პრინციპებისა და პროცედურების გამოყენებით“.

გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან მსოფლიოში აქტიურად დაიწყო აუდიტის სფეროში საერთო-მეთოდოლოგიური მიდგომების ჩამოყალიბება, რასაც ლოგიკურად მოპყვა 90-იანი წლების ბოლოს ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ „აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების“ გამოქვეყნება. აუდიტის სტანდარტების უნიფიკაციისა და სტანდარტიზაციის მიზნით მოქმედებს მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია, მათ შორის აღსანიშნავია: INTOSAI – უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტების საერთაშორისო ორგანიზაცია, EUROSAI – უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტების ევროპის ორგანიზაცია,

1. „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი, თბილისი, 7.02. 1995 წ. N623-III.

2. Белуха Н. Т. Аудит: Учебник.Киеев: „Знания“; 2000 г.

ASOSAI – უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტების აზის თრგანიზაცია, INKOSAI – უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტების საერთაშორისო კონგრესი და სხვ. აღნიშნული ორგანიზაციები ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ღებულობენ ცალკეულ დირექტივებს, რომელიც აღწერილია აუდიტის მიზანი, საერთო სტრატეგია, დაგეგმვა, კონტროლის განხორციელების ფორმები და ზოგადად აუდიტის ჩატარების ძირითადი პრინციპები და აუცილებელი პროცედურები. ამ დირექტივებს შორის აღსანიშნავია ქ. ლიმაში INTOSAI-ს IX კონგრესზე მიღებული „ლიმას დეკლარაცია“, რომელიც საფუძვლად დაედო მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სფეროში მიღებულ საკანონმდებლო-ნორმაგიულ აქტებს.

საყოველთაოდ მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით აუდიტი იყოფა შემდეგ კატეგორიებად: დამოუკიდებელი აუდიტი, შიდა აუდიტი და სახელმწიფო აუდიტი.

დამოუკიდებელი აუდიტი. დამოუკიდებელი აუდიტორული საქმიანობა საქართველოში ფინანსური კონტროლის შედარებით ახალი ფორმაა. „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი მომზადებული იქნა ჩვენს მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროში მუშაობისას, რომელიც წარდგენილი იქნა პარლამენტში და შესაბამისი ჩასწორებების შემდეგ დამტკიცდა 1995 წლის 7 თებერვალს. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში აუდიტორული საქმიანობა, როგორც სამეურნეო სუბიექტების საქმიანობაზე დამოუკიდებელი კონტროლის სისტემა სათანადო საფუძვლების მომზადების გარეშე დაიწყო, თუმცა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში, მისი არსებობა ობიექტური გარემოებებით იყო ნაკარნახევი. უმოკლეს დროში შევიმუშავეთ აუდიტორის საკვალიფიკაციო წოდების მისანიჭებელი პროცედურების სისტემა, რომელიც მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა: სასერთიფიკაციო (საატესტაციო) პროგრამა, ტესტინგის, სერთიფიკაციის

ნიმუში და მისი გაცემის პირობები, საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობა და სხვ.

თავდაპირველად აუდიტორულ შემოწმებას ექვემდებარებოდა თითქმის ყველა სამეურნეო სუბიექტი, კერძოდ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები, სააქციო საზოგადოებები, ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, სახელმწიფო ფონდები, სასაქონლო ბირჟები, საინვესტიციო ინსტიტუტები და კერძო სამართლის სხვა სუბიექტები. აუდიტორული დასკვნა ბალანსთან ერთად ბარდებოდა საგადასახადო ორგანოებს.

აუდიტის ჩატარების თითქმის საყოველთაო ხასიათმა თავისი დადებითი და უარყოფითი შედეგები გამოიღო. მაგალითად, მან დადებითად იმოქმედა აუდიტორული ბაზრის განვითარებაზე, გარკვეულწილად ხელი შეუწყო საწარმოებში ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების მოწესრიგებას, გადასახადების მობილიზაციას და სხვ. ამასთან ერთად აუდიტმა მიიღო რა საყოველთაო ხასიათი და შეიძლება ითქვას ძირითადად საგადასახადო ორგანოთა ინტერესების სფეროში შედიოდა, „წარმოიშვა ერთგვარი ფარული კავშირი აუდიტორულ ფირმებსა და საგადასახადო ორგანოებს შორის, რაც გამოიხატებოდა საგადასახადო აგენტების მონაწილეობაში აუდიტორული ფირმების საქმიანობაში, რომელიც, რა თქმა უნდა ეწინააღმდეგებოდა საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას. გარდა ამისა არც თუ იშვიათად ადგილი ჰქონდა მსხვილი საწარმოების მხრიდან აუდიტორულ კომპანიებთან მომსახურებაზე „წილში ჩაჯდომას“, რამაც აუდიტი ნაწილობრივ შავი ბიზნესის წყარო გახადა¹. რა თქმა უნდა აღნიშნულმა გარემოებამ გარკვეულწილად განაპირობა ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა და შესაბამისად 2005 წლის შემდეგ

1. ი.მესხია „სახელმწიფო ფინანსური კონტროლი“, UNDP, თბ., 2008, გვ. 77.

აუდიტის ჩატარება სავალდებულო გახდა სამეურნეო სუბიექტთა მხოლოდ გარკვეული წრისათვის.

აუდიტის სავალდებულობის გაუქმებამ უარყოფითად იმოქმედა ბოგადად აუდიტის ბაზარზე. კერძო აუდიტის საჭიროება თითქმის მხოლოდ ქონების შეფასებამდე დავიდა, ხოლო საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტი ყურადღების მიღმა დარჩა. ამით გრა გაეხსნა უცხოურ ფირმებს, რამაც აუდიტის შიდა ბაზრის შემჭიდროება გამოიწვია.

დღეისათვის აუდიტორულ საქმიანობაში ბოგადად შეიძლება შემდეგი პოსტულაციების გამოყოფა: აუდიტორული საქმიანობა მოიცავს აუდიტორულ შემოწმებას ანუ აუდიტს, აუდიტორული მომსახურების გაწევას, აუდიტის ორგანიზაციულ და მეთოდოლოგიურ უზრუნველყოფას. აუდიტორულ შემოწმებას ატარებენ აუდიტორები და აუდიტური ფირმები სამეურნეო სუბიექტის სამეწარმეო საქმიანობის, ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების, დაბეგვრისა და საწესდებო მოთხოვნების უფყერობის, სისრულის, მოქმედ კანონმდებლობასთან და ნორმატივებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

აუდიტორული მომსახურება შეიძლება მოიცავდეს ბუღალტრულ მომსახურებას, ექსპერტიას და საკონსულტაციო მომსახურებას სხვადასხვა სფეროებში. ყოველივე ზემოაღნიშნული ხორციელდება სახელმწიფო ფინანსური კონგროლისაგან დამოკიდებლად.

ამჟამად საქართველოში დამოუკიდებელი აუდიტი ტარდება ა) სავალდებულო აუდიტის სახით და ბ) საინიციატივო აუდიტის სახით. ამასთან ერთად სამართალდამცავ ორგანოებს უფლება აქვთ მოიწვიონ აუდიტორი სამეურნეო სუბიექტის აუდიტორული შემოწმებისათვის.

აუდიტის ჩატარება სავალდებულოა: ბანკების, სადაბლვევო კომპანიების, სპეციალური სახელმწიფო ფონდების, საფონდო და სასაქონლო ბირჟებისათვის; ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისა და საინვესტიციო ინსტიტუტებისათვის; სხვა

სუბიექტებისათვის, რომელთა სიას ყოველწლიურად ამტკიცებს საქართველოს ფინანსთა სამნისცრო.

მიუხედავად განხორციელებული ცვლილებებისა საქართველოში დამოუკიდებელი აუდიტორული საქმიანობა, მისი სმართლბრივი რეგულირება სერიოზულ გარდაქმნებს საჭიროებს, რაზედაც გემოთ იყო აღნიშნული.

2012 წლამდე საქართველოში დამოუკიდებელი აუდიტორის სტატუსს ანიჭებდა, საქართველოს პარლამენტიან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო, რომლის მონაცემებითაც იმ პერიოდში საქართველოში საქმიანობას ეწეოდა 500-ზე მეტი დამოუკიდებელი აუდიტორი და 200-ზე მეტი აუდიტორული ფირმა. ეს მაჩვენებლები დღეისათვის საგრძნობლად შემცირებულია, თუმცა გუსტი მონაცემების მოპოვება პრაქტიკულად შეუძლებელია.

როგორც გემოთაც იყო არნიშნული დღეის მდგომარეობით აუდიტორის სტატუსის მინიჭება შედის საქართველოს ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის კომპენტენციაში, თუმცა ფედერაციის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად აუდიტორის სტატუსის მოპოვება საქმაოდ ხანგრძლივი და ძვირადღირებული პროცესია. აქედან გამომდინარე გადაუდებელ ამოცანად მიგვაჩნია დამოუკიდებელი აუდიტორიული საქმიანობის სახელმწიფოებრივი რეგულირების სისტემის გაუმჯობესება, რაც უნდა გამოიხატოს პირველ რიგში სახელმწიფო სახსრების ისეთი მიმართულებებით გამოყოფაში, როგორიცაა აუდიტის ეროვნული სტანდარტების შემუშავება და დანერგვა, აუდიტორთა სწავლებას-სერთიფიცირება, აუდიტორული მომსახურების ხარისხშე სახელმწიფო მონიტორინგის განხორციელება და სხვ. ამ თვალსაზრისს ამტკიცებს ის გარემოებაც, რომ საქართველოსთვის, როგორც ევროკავშირმე თრიენტირებული ქვეყნისათვის გასათვალისწინებელია ისიც, რომ – „კონფინენტალური ევროპის ქვეყნებში აუდიტორული საქმიანობის ორგანიზებას ახორციელებენ სამთავრობო

ორგანოები¹. გარდა ბემოაღნიშნულისა აუდიტორული საქმიანობის ნაკლოვან მხარედ უნდა ჩაითვალოს შემდეგი საკითხების მოუკვარებლობა, კერძოდ:

- შემუშავებული და დამტკიცებული არ არის აუდიტის ეროვნული სტანდარტები და მეთოდური რეკომენდაციები².
- არ არსებობს აუდიტორთა კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემა;
- არ წარმოებს აუდიტორთა და აუდიტორული ფირმების ერთიანი სახელმწიფო რეესტრი;
- არ ხორციელდება ცალკეული აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების მუშაობის ხარისხის კონტროლი;
- არ ხდება აუდიტორთა მიერ ცალკეული საკანონმდებლო ნორმების დარღვევის ფაქტების გამოვლენა და სათანადო რეაგირება.
- მოშლილია აუდიტორთა მხრივ სტატისტიკური ანგარიშგების სისტემა და არ ხორციელდება ანგარიშგების ანალიზი.

სახელმწიფო აუდიტი. საქართველოში სახელმწიფო აუდიტი ხორციელდება სახელმწიფო ორგანოების მიერ. როგორც ბემოთაც ავღნიშნეთ, ეკონომიკურ ლიტერატურაში აუდიტი კლასიფიცირდება ცალკეულ სახეებად. აუდიტის საგნისა და ამოცანების მიხედვით დაყოფისას აღსანიშნავია აუდიტის კლასიკოსის რ. მონცგომერის კლასიფიკაცია, რომლის შესაბამისადაც აუდიტი იყოფა შემდეგ სახეებად:

ფინანსური აუდიტი – სამეურნეო სებიექტის ფინანსური მხარის შემოწმებას გულისხმობს. „ინფორმაციის შეფასების

-
1. . . , .. , 2004 . . 9.
 2. „ნებისმიერ ქვეყანაში ფინანსური და სხვა ინფორმაციის აუდიტურ პრაქტიკას მართავენ ადგილობრივი მარეგულირებელი აქტები. აუდიტისა და მასთან დაკავშირებული მომსახურების ეროვნული სტანდარტები ბევრ ქვეყანაში განსხვავებულია ფორმითაც და შინაარსითაც“ – აუდიტის ოფიციალური ტექნიკური დოკუმენტების ცნობარი, თბ., 1999 წ. გვ. 76

კრიტერიუმად ჩვეულებრივ იღებენ საყოველთაოდ მიღებულ პრინციპებს ან ბუღალტრული აღრიცხვის სხვა რეგულატივებს¹.

შესაბამისობის აუდიტი – აუდიტის ამ სახეობაში იგულისხმება იმის დადგენა, თუ რამდენად იცავს ფირმა კონკრეტულ წესებს, მარეგულირებელ აქტებს, კანონებს, ანუ რამდენად შესაბამისობაშია ფინანსური ანგარიშგება ზემოთჩამოთვლილ რეგულაციებთან².

ოპერაციული აუდიტი – „იგი მოიცავს ხარჯთაღრიცხვის შესრულების, ეფექტურობის და მიზნობრივი პროგრამების შესრულებას. ...ეფექტურობის შემოწმებას მიეკუთვნება: 1) ფირმის მიერ რესურსების შეძენა, დაცვა და მოხმარება; 2) არაეკონომიური მუშაობის მიზებების დადგენა; 3) ფირმის მიერ კანონების და წესების დაცვა“.

როგორც გემოთაც იყო აღნიშნული საქართველოში უმაღლესი აუდიტორული ორგანო არის სახელმწიფო აუდიტის სამსახური. იგი ახორციელებს ფინანსურ, შესაბამისობის და ეფექტიანობის აუდიტს.

ფინანსური აუდიტი მოიცავს:

- აუდიტის ობიექტის ანგარიშისა და ანგარიშგების შემოწმებას;
- საქართველოს მთავრობის ანგარიშისა და ანგარიშგების შემოწმებას და შეფასებას;
- საქმიანობისა და ფინანსური სისტემების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმებას;
- შიდა კონფრონტისა და შიდა აუდიტის ფუნქციის შემოწმებას;
- აუდიტის ობიექტის ჯეროვნად და კეთილსინდისიერად მართვის შემოწმებას;
- აუდიტიდან გამომდინარე ნებისმიერი საკითხის

1. მონტგომერი აუდიტი, გამომცემლობა „ფინანსები“ თბ., 2004წ., გვ.36.

2. მონტგომერი აუდიტი, გამომცემლობა „ფინანსები“ თბ., 2004წ., გვ.37, 41.

შესწავლას, შეფასებას და ანგარიშის წარდგენას, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საჯარო ფინანსების მართვის გასაუმჯობესებლად;

შესაბამისობის აუდიტი მოიცავს: აუდიტის ობიექტის საქმიანობის კანონიერებისა და მიზნობრიობის შემოწმებას და შეფასებას;

ეფექტიანობის აუდიტი მოიცავს: აუდიტის ობიექტის საქმიანობისა და განხორციელებული პროგრამების (პროექტების) ეკონომიკურობის, პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის შემოწმებას და შეფასებას.

როგორც ამ განმარტებებიდან ჩანს „ფინანსური აუდიტის,, შინაარსი საგრძნობლად სცილდება საერთაშირისო პრაქტიკაში დამკვიდრებულ განსაზღვრებას, რომელშიც იგულისხმება იმის დადგენა, შეესაბამება თუ არა ფინანსური ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის საყოველთაოდ დადგენილ პრინციპებს და ნორმებს. მოცემული განმარტებიდან გამომდინარეობს აგრეთვე, რომ ფინანსური აუდიტი მოიცავს შესაბამისობის აუდიტის ელემენტებს, რადგან შეესაბამისობაში იგულისხმება აუდიტის ობიექტის საქმიანობის კანონიერებისა და მიზნობრიობის შემოწმება, რომლის განხორციელებაც შეუძლებელია მისი კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის გარეშე. ამასთან დაკავშირებით შეიძლება მოვიყვანოთ რამდენიმე საყურადღებო ასპექტი რ. მონტგომერის სახელმძღვანელოდან, კერძოდ, „შესაბამისობაზე შემოწმება ფინანსური ანგარიშის შემოწმების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს“. ოპერაციულ (ეფექტიანობის) აუდიტში იგულისხმება რა „ფირმის მიერ კანონებისა და წესების დაცვა“, იგი თავის მხრივ შესაბამისობის აუდიტსაც მოიცავს.“ აუდიტის სხვადასხვა სახეობებს შორის არსებობს, როგორც ურთიერთგადაფარვის მნიშვნელოვანი ხარისხი, ასევე

დამოუკიდებლობის დიდი ხარისხიც“¹.

ჩვენს სააუდიტორო პრაქტიკაში ხშირად შევხვედრივართ სიძნელეებს იმის დასადგენად, ესა თუ ის დარღვევა კლასიფიცირდება ფინანსური, თუ შესაბამისობის კუთხით? აღნიშნული პრობლემა თავს იჩენს არა მარტო შემოწმების, არამედ აუდიტის პროგრამის შედგენის დროსაც. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ აუდიტის ცალკეულ სახეებად კლასიფიკაცია პირობით ხასიათს აფარებს. შესაბამისად, მარეგულირებელი აქტების დამდგენმა ორგანოებმა მოცემული ქვეყნის კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე უნდა მოახდინონ აუდიტის კლასიფიკაცია. ჩვენი აზრით უპრიანია საქართველოში აუდიტორული საქმიანობის მარეგულირებელ წესებში და შესაბამისად პრაქტიკაში დარჩეს აუდიტის ორი სახე: ფინანსური აუდიტი და ეფექტიანობის აუდიტი. ამასთან ერთად, იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მთავარი ფუნქციაა აუდიტი, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მას ეწოდოს „საქართველოს აუდიტორული პალატა“.

ცალკე უნდა შევჩერდეთ ეფექტიანობის აუდიტზე, რომელიც საქართველოს სინამდვილეში სიახლეს წარმოადგენს, კერძოდ, 2012 წლიდან იგი უკვე კანონის დონეზე მკვიდრდება. მსოფლიო პრაქტიკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, განვითარებულ ქვეყნებში ეფექტიანობის აუდიტზე გადასვლა დაიწყეს სათანადო პირობების მომზადების შემდეგ. მთავარ ორიენტირად ბიუჯეტის დაგეგმვისთანავე მიჩნეულია საბოლოო შედეგი. შემუშავებულია შედეგის შეფასების მაჩვენებელთა სისტემა და სხვ. ეფექტიანობის აუდიტის დანერგვის ერთ-ერთი პირობაა ეწ. პროგრამული ბიუჯეტის მიღება, რომლის თანახმადაც ბიუჯეტი დგება არა ხარჯების ცალკეულ სახეობათა ჭრილში, არამედ

1. მონტგომერი აუდიტი, გამომცემლობა „ფინანსები“ თბ., 2004წ., გვ.37, 38, 41.

ცალკეულლი პროგრამების მიხედვით. აქედან გამომდინარე ეფექტიანობის აუდიტის ძირითადი საგანი ხდება მთლიანად პროგრამა და მისი განხორციელების შედეგები. საქართველოში მთლიანად პროგრამულ ბიუჯეტები გადასვლას გარკვეული დრო დასჭირდება. ჩვენთან საბიუჯეტო სისტემის ფორმირება ჯერ კიდევ შემუშავების პროცესშია, შესამუშავებელია მისი თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები, ინდიკატორთა სისტემა და სხვ. აქედან გამომდინარე მიგაჩნია, რომ ამ ეტაპზე ეფექტიანობის აუდიტი არ უნდა შემოიფარგლოს ამა თუ იმ პროგრამის შედეგობრიობის დადგენით. აუცილებელია ცალკეული სახის დანახარჯების ეფექტიანობის დადგენაც. ასე მაგალითად, დღესათვის ორგანიზაციების მოთხოვნა საბიუჯეტო სახრებზე თითქმის უპრობლემოდ კმაყოფილდება. ამასთან ერთად, არის შემთხვევები, როდესაც ორგანიზაციის მიერ განხორციელებულია შეძენები მაშინ, როცა ამის საჭიროება არ არსებობდა. ისმის კითხვა, რა დარღვევას აქვს ადგილი საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ? უკანონო ხარჯების გაწევას ადგილი არ აქვს, რადგან მას გააჩნია ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრები არაფინანსური აქტივების შეძენის მუხლით. არც არამიზნობრივ ხარჯებთან გვაქვს საქმე, რადგან თანხები დაიხარჯა მიზნობრივად ანუ არაფინანსური აქტივების შეძენისათვის გამოყოფილი სახსრების ფარგლებში. თუ ვიმსჯელებთ ეფექტიანობის კუთხით, აქ აშკარა დარღვევას აქვს ადგილი, რადგან არაფინანსური აქტივის შეძენის საჭიროება არ არსებობდა. მაშასადამე, აუდიტორმა შეიძლება გააკეთოს დაასკვნა, რომ ორგანიზაციამ მისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები არაეფექტიანად გამოიყენა.

ანალოგიური სახის დარღვევად შეიძლება მივიჩნიოთ საიუჯეტო ორგანიზაციის ხელმძღვანელ მუშაკთა პრემირება, როდესაც ის რამდენიმე თვის შრომის ანაზღაურებას უფოლდება. ეფექტიანობის აუდიტის ამოქმედებამდე ამ შემთხვევაშიც თანხების არაკანონიერ და არამიზნობრივ ხარჯვაზე აუდი-

ფორი მინიშნებებს ვერ გააკეთებდა, მაგრამ ეფექტიანობის კუთხით ეს კანონდარღვევად ჩაითვლება.

ხარჯების ეფექტიანობის (შედეგობრიობის) დადგენა (დამტკიცება) მეტად რთული პროცესია. ამის შესახებ სხვა მეცნიერ-ეკონომისტებიც მიუთითებენ – „ეფექტიანობის აუდიტი მოიცავს საკითხთა ფართო წრეს, რაც თავის მხრივ საჭიროებს არა მხოლოდ აღრიცხვისა და ფინანსების ღრმა ცოდნას, არამედ ისეთი საკითხების შესწავლასაც, რომელიც სცილდება ეკონომისტებისა და იურისტების შესაძლებლობებს. შესაბამისად ეფექტიანობის აუდიტში საჭირო ხდება ინჟინრების, სხვადასხვა პროფესიონალის ექსპერტებისა და კონსულტანტების ჩართვა“¹.

ზემოაღნიშნული ერთხელ კიდევ მიუთითებს, რომ ეფექტიანობის აუდიტის ამოქმედება დროის მოთხოვნაა, თუმცა პირველ რიგში აუცილებელია სათანადო მეთოდოლოგიური და სამართლებრივი ბაზის მომზადება.

სახელმწიფო აუდიტორული საქმიანობის თანამედროვე პრობლემებს შორის უნდა განვიხილოთ აუდიტის ხარისხის კონტროლი, რომელიც შეიძლება ორ ეტაპად წარმოვიდგინოთ:

- 1) აუდიტის მიმდინარეობაზე კონტროლი;
- 2) დასრულებული აუდიტის ხარისხის შეფასება.

აუდიტის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით აუცილებელია ისეთი დონისძებების გაფარება, როგორიცაა:

- საინფორმაციო ტექნოლოგიების ერთიანი გარემოს შექმნა;
- ინფორმაციის სწრაფი და უსაფრთხოდ გაცვლა;
- ქსელური კომუნიკაციების დამყარება ცენტრალურ და რეგიონულ ოფისებსა და ცალკეულ სტრუქტურულ ერთეულებას შორის;
- ელექტრონული აუდიტორული პროგრამების დანერგვა

1 ი.მესხია „სახელმწიფო ფინანსური კონტროლი“, UNDP, თბ., 2008, გვ. 92

ზემოაღნიშნული თავისთავად უკავშირდება ისეთ პრობლემას, როგორიცაა კვალიფიციური საკადრო რესურსებით უზრუნველყოფა, სასწავლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ პერიოდში ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა, პრობლემის სრულ მოვარებამდე კიდევ ბევრი სამუშაო ჩასატარებელი. საქართველოს კონფრონტის პალატის ბოლო პერიოდების ანგარიშების¹ ანალიზით ირკვევა, რომ აუდიტის სფეროში დასაქმებულთა 50%-ს ხუთ წელზე ნაკლები შრომის სფაქი გააჩნია. მათ შორის კიდევ უფრო ნაკლებია აუდიტორული საქმიანობის გამოცდილების პრაქტიკის მქონე პირთა რაოდენობა, რაც თავის მხრივ აუდიტორთა გადამზადების ქმედითი სისტემის ჩამოყალიბების აუცილებლობაზე მიუთითებს. ამასთან ერთად უნდა დაჩქარდეს სახელმწიფო სექტორის აუდიტორის კვალიფიკაციის მინიჭების სისტემის ამოქმედება. როგორც გამოკვლევები გვიჩვენებს 2013 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაიცა მხოლოდ 32 სერტიფიკატი, რაც მეტად მცირეა და პრობლემას ვერ წყვეტს².

თანამედროვე აუდიტში მეტად მნიშვნელოვანია საბიუჯეტო სახსრების ხარჯვაზე წინასწარი კონფრონტი, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციული მმართველობისა და საფინანსო-სამურნეო საქმიანობის პრევენციულ შემოწმებას. იგი აუცილებელი წინაპირობაა სახელმწიფოსადმი მინდობილი საჯარო სახსრების ეფექტიანი მართვისათვის. წინასწარი კონფრონტი შეიძლება განახორციელოს ნებისმიერმა მაკონფრონტებელმა უწყებამ მისი ფუნქციებიდან და დანიშნულებიდან გამომდინარე. მიუხედავად იმისა, რომ წინასწარი კონფრონტი გრძის სახელმწიფო ხარჯებს, მაინც გამართლებულია, რადგან იმრდება შესაძლებლობა წინასწარ იქნეს თავიდან აცილებული

-
1. საქართველოს კონფრონტის პალატის 2010 წლის ანგარიში,
 2. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2013 წლის ანგარიში.

მოსალოდნელი გიანი. ამ მიზნით უნდა განხორციელდეს სხვა-დასხვა სახის ხარჯების შესწავლა ორგანიზაციული და ეკონომიკური კლასიფიკაციის ჭრილში, ჯერ კიდევ საანგარიშო პერიოდის დასრულებამდე. ამჟამად წინასწარი კონტროლის (აუდიტის) ეფექტიან წარმართვას ხელს უშლის მისი ჩატარებისათვის საჭირო მეთოდების არარსებობა.

2007 წლიდან ვიდრე 2010 წლამდე თვითმმართველი ერთულების საბიუჯეტო სახსრები და ქონება სახელმწიფო კონტროლის მიღმა იყო დარჩენილი, რასაც განაპირობებდა საკანონმდებლო აქტებში სახელმწიფო კონტროლის უმაღლესი ორგანოს მწირი უფლებამოსილებები. ამის გამო მუნიციპალური ორგანოების საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობა მხოლოდ შიდა აუდიტსა და დამოუკიდებელ აუდიტორულ შემოწმებას ექვემდებარებოდა, რაც მაინცადამაინც დიდ ეფექტს ვერ იძლეოდა. უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად ეს ხარვეზი გამოსწორდა.

**მონაცემები სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ
2007-2013 წლებში ჩატარებული აუდიტორული შემოწმების შესახებ¹**

წლები	სულ ჩატარებული აუდიტი	გასვლითი აუდიტი		კამერალური აუდიტი	
		რაოდენობა	%	რაოდენობა	%
2007	288	288	100	-	-
2008	290	290	100	-	-
2009	243	175	72	68	28
2010	119	75	63	44	37
2011	94	94	100	-	-
2012	57	57	100	-	-
2013	87	87	100	-	-

1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2007-2013 წლების ანგარიშები.

როგორც ცხრილიდან ჩანს, უკანასკნელ წლებში ჩატარებული აუდიტორული შემოწმებების რაოდენობა კლების ტენდენციით ხასიათდება. 2013 წელს მათი რიცხვი 2007 წელთან შედარებით თითქმის 70%-ით შემცირდა. აუდიტორული საქმიანობის შედეგად 2013 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეადგინა 87 ანგარიში, რომლითაც მოიცვა 4284 მილიონი ლარი, რაც მთელი ბიუჯეტის დაახლოებით 50%-ს შეადგენს.

2009-2010 წლებში საკმაოდ მაღალი იყო კამერალური შემოწმებების რიცხვი და პროცენტული შემადგენლობა შემოწმებების საერთო რაოდენობაში. მაგალითად, 2009 წელს კამერალური შემოწმებების რაოდენობამ 28%, ხოლო 2010 წელს 37% შეადგინა. მუნიციპალიტეტებში ჩატარებული აუდიტის 90%-ზე მეტი კამერალური ფორმით ტარდებოდა, რაც მნიშვნელოვნად აქვეითებდა აუდიტის ხარისხს, იწვევდა შესამოწმებელი ობიექტის მხრივ დამატებით ხარჯებს, ამცირებდა აუდიტორული დასკვნის სანდობას, შესაბამისად იზრდებოდა აუდიტორული რისკები და სხვ. აღსანიშნავია, რომ კამერალური აუდიტი საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმებში და პრაქტიკაში მიღებული არ არის. აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ კამერალურ აუდიტს შეიძლება ცალკეული საკითხები დაექვემდებაროს, შემოწმების ძირითადი ფორმა კი გასვლითი აუდიტი უნდა იყოს, რაც განხორციელდა კიდევ საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად.

როგორც ცნობილია ბოლო პერიოდში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სისტემაში ჩამოყალიბდა „საჯარო აუდიტის ინსტიტუტი“, რომელიც დამოკიდებლად განახორციელებს საჯარო სექტორის აუდიტორულ მომსახურებას. ამასთან აღსანიშნავია, რომ კონტროლის პალატა არის სახელმწიფო საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის უმაღლესი ორგანო, რომელიც ახორციელებს აუდიტს. გამოდის, რომ აუდიტის განმახორციელებელი ორგანოა, როგორც კონტროლის პალატა, ასევე აუდიტის ინსტიტუტი. აქედან გამომდინარე პარალელიგმის

თავიდან აცილების მიზნით უპრიანია აუდიტის ინსტიტუტმა განახორციელოს ისეთი ფუნქციები, როგორიცაა საჯარო აუდიტის სწავლება, სერტიფიცირება, კვლევითი, ანალიტიკური, საექსპერტო და საკონსულტაციო მომსახურება, ხოლო სახელმწიფო აუდიტი დარჩეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ძირითად ფუნქციებში.

ცალკე მსჯელობის საგანია სახელმწიფო აუდიტის განმახორციელებელი ორგანოს სტრუქტურული მოწყობის საკითხი. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სტრუქტურასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ იგი დღეის მდგომარეობით უნიტარული სტრუქტურაა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებშიც კი, სამსახურები წარმოდგენილია დეპარტამენტების სახით. ჩვენი აზრით, ეს მდგომარეობა გარკვეულწილად აფერხებს მის სრულფასოვან ფუნქციონირებას და ხელისშემშლელი ფაქტორია მობილობის თვალსაზრისით. ამიტომ უპრიანია სახელმწიფო აუდიტის სამსახურს რეგიონებში გააჩნდეს თავისი სტრუქტურული ერთეულები (ბიურო ან აუდიტორული ოფისი), რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს სამივლინებო ხარჯებს და შესაძლებლობას მოგვცემს მოვიცვათ შედარებით მეტი სამეურნეო სუბიექტები, დავაჩქაროთ შემოწმების ტემპი და სხვ.

სახელმწიფო ფინანსური კონფრონლის სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს შიდა კონფრონლს. იგი წარმოადგენს მენეჯერული, ფინანსური და სხვა სახის კონფრონლის მექანიზმების ერთობლიობას, რომელიც შორიცავს ორგანიზაციულ სტრუქტურას, მეთოდებს, პროცედურებს, შიდა აუდიტს, რათა დაეხმაროს დაწესებულებას კანონიერად, ეკონომიკურად და ეფექტურად წარმართოს თავისი საქმიანობა. ამ ფუნქციებიდან უნდა გამოვყოთ შიდა აუდიტი, რომელიც შინაარსობრივად წარმოადგენს დამოუკიდებლობისა და ობიექტურობის პრინციპებზე აგებულ საკონსულტაციო საქმიანობას.

შიდა აუდიტის სახეებია:

ა) თემატური აუდიტი – აუდიტის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების შესაბამისად შიდა აუდიტის ობიექტის საქმიანობის ცალკეული თემის შესწავლა;

ე) გასვლითი აუდიტი – კომპლექსური ან თემატური აუდიტის განხორციელება შიდა აუდიტის ობიექტის საქმიანობის აღვილებები;

ვ) კომპლექსური აუდიტი – აუდიტის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების შესაბამისად შიდა აუდიტის ობიექტის საქმიანობის (მათ შორის, საფინანსო და ეკონომიკური საქმიანობის) ყოველმხრივ შესწავლა;

გ) ოპერაციული აუდიტი – შიდა აუდიტის ობიექტის ფუნქციონირებისა და მართვის პროცედურების მწარმოებლურობის, ეკონომიკურობისა და ეფექტურობის შესწავლა;

თ) ფინანსური აუდიტი – შიდა აუდიტის ობიექტის ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშების შემოწმება მოქმედ სტანდარტებთან მათი შესაბამისობის დადგენის მიზნით;

ი) შესაბამისობის აუდიტი – შიდა აუდიტის ობიექტის მიერ სახელმწიფო სახსრების, სახელმწიფოს სხვა მატერიალური ფასეულობების, სახელმწიფოს ქონებრივი ღირებულების არამატერიალური სიკეთეების ხარჯვის, გამოყენების, მართვისა და დაცვის კანონიერებისა და მიზნობრიობის შესწავლა და ანალიზი;

კ) ეფექტიანობის აუდიტი – სახელმწიფო პროგრამების შედეგების, საინვესტიციო, ფინანსური, ადამიანური, მატერიალური და სხვა რესურსების გამოყენების, მართვის სფეროში განხორციელებული საქმიანობისა და მიღებული გადაწყვეტილების მიზანშეწონილობის, ეკონომიკურობისა და შედეგობრიობის ანალიზი და შეფასება;

ლ) კამერალური აუდიტი – შიდა აუდიტის სუბიექტში კომპლექსური ან თემატური აუდიტის განხორციელება შიდა აუდიტის ობიექტიდან მიღებული მასალების საფუძველზე;

აუდიტორულ საქმიანობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი

საკითხია შიდა აუდიტის კოორდინირება და პარმონიზება. დღევანდელი კანონმდებლობის მიხედვით ასეთი ფუნქცია და-კისრებული აქვს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს „სა-ხელმწიფო შიდა კონტროლის ეროვნულ ცენტრს,,. საქართ-ველოს ფინანსთა სამინისტრო ვალდებულია განახორციელოს ცენტრის საქმიანობის კოორდინაცია და მხარი დაუჭიროს სახელმწიფო სექტორის შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსისა და შიდა აუდიტორთა პროფესიულ გადამზადებას. თავის მხრივ ცენტრი პასუხისმგებელია: სახელმწიფო სექტორის შიდა აუდი-ტის სტრატეგიისა და მეთოდოლოგიის განახლებისათვის; შიდა აუდიტის სუბიექტების დებულებების შემუშავების მიზნით პრაქ-ტიკული სახელმძღვანელოებისა და მითითებების შემუშავებისა-თვის; შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსის შემუშავებისათვის; სახელმწიფო შიდა კონტროლისა და შიდა აუდიტის სფეროში შესაბამისი სფანდარტებისა და მეთოდოლოგიის შექმნისათვის; შიდა აუდიტის სფეროში დაწესებულებებში გამოცემული შიდა-უწყებრივი წესების შესრულებაზე მუდმივი მონიტორინგის გან-ხორციელებისათვის; შიდა აუდიტის სუბიექტისთვის ინსტრუქ-ციის შემუშავებისათვის, მათ შორის, შიდა აუდიტის სუბიექტში დასანიშნი მინიმალური საკადრო რესურსისა და მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნების, შიდა აუდიტორების ინტერესთა კონფლიქტის წესების, შიდა აუდიტის ხარისხის გარანტიისა და შიდა აუდიტის ანგარიშების მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ. როგორც ვხედათ მეტად მნიშვნელოვანია ცენტრის საქმიანობის სფერო და ძირითადი მიმართულებები, თუმცა ისეთი ფუნქციები, როგორიცაა: შიდა აუდიტის სფეროში, დაწე-სებულებებში გამოცემული შიდაუწყებრივი წესების შესრულე-ბაზე მონიტორინგი, შიდა აუდიტის სუბიექტში დასანიშნი მინი-მალური საკადრო რესურსისა და მათი საკვალიფიკაციო მო-თხოვნების განსაზღვრა, შიდა აუდიტის ხარისხის გარანტიების დადგენა თითქმის არ სრულდება. გარდა ამისა მიზანშეწო-ნილია, რომ ასეთი ცენტრი ფუნქციონირებდეს არა ფინანსთა

სამინისტროს გამგებლობის ქვეშ, არამედ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში, რომლის ძირითადი ფუნქცია იქნება აუდიტის მეთოდოლოგიაზე მუშაობა და სათანადო ნორმატიული აქტების შემუშავება.

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონფრონლის მდგომარეობის ანალიზით ირკვევა, რომ ეს სისტემა დღეისათვის სათანადო დონეზე არ ფუნქციონირებს. მთავარი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ მეტად დაბალია კონფრონლის განმახორციელებელი სამსახურების დამოუკიდებლობის დონე და შესაბამისად ეფექტურობა. ხშირია შემთხვევები, როდესაც შიდა აუდიტის სამსახურებს არ გააჩნიათ წლიური და ინდივიდუალური სამუშაო გეგმები, სადაც განსაზღვრული იქნებოდა შიდა აუდიტის მოქმედების სფერო, ხანგრძლივობა, მისი განხორციელების მეთოდები, ფარგლები, აუდიტის სახეები და ა.შ. ორგანიზაციებში შექმნილი არ არის კონფრონლის გარემო, არ ხორციელდება მუდმივი მონიტორინგი და სათანადო ანგარიშების შედგენა, ხელმძღვანელთა მიერ მისი განხილვა და სხვ.

შიდა კონფრონლის სისტემის მოუწესრიგებლობა თავის მხრივ ხელს უმლის გარე კონფრონლის სათანადო დონეზე განხორციელებას, რადგან გარე კონფრონლის ეფექტიანობა ბევრად არის დამოკიდებული შიდა კონფრონლის ეფექტურ მუშაობაზე. უპრიანია აღინიშნოს, რომ აუდიტის ისეთ სახეებს, როგორიცაა: თემატური აუდიტი, კომპლექსური აუდიტი, ოპერაციული აუდიტი, კამერალური აუდიტი – „აუდიტის შესახებ საქართველოს კანონი“ არ ითვალისწიებს. აქედან გამომდინარე, მათ შორის თავსებადობის მიღწევა გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს. საბოლოო ჯამში შედეგი ის არის, რომ სახელმწიფო სტრუქტურებში და ცალკეულ დაწესებულებებში ჯერ კიდევ ადგილი აქვს საფინანსო-ეკონომიკური ხასიათის კანონდარღვევებს, სახსრების არამიზნობრივ და არაეფექტურ ხარჯვას. 2012 წელს კანონდარღვევების თანხობრივმა მოცულობამ 44,5

მლნ. ლარი შეადგინა, ხოლო 2013 წელს 193,9 მლნ. ლარი¹ შიდა და გარე კონტროლის ურთიერთშეთანხმებული მოქმედების პორტფელში კი მეტი შესაძლებლობები შეიქმნება კანონდარღვევათა პრევენცისათვის, რადგან ზოგადად ფინანსური კონტროლის მთავარი მიზანია არა დასჯა არამედ დანაშაულის მინიმუმამდე დაყვანა და აღმოფხვრა.

ბემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ საჭიროა ჩამოყალიბდეს შიდა და გარე ფინანსური კონტროლის ერთიანი სისტემა, ერთიანი მეთოდოლოგიისა და საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე. ამასთან დაკავშირებით უპრიანი იქნებოდა სახელმწიფო სტრუქტურებში არსებული შიდა აუდიტის სამსახურები იმყოფებოდნენ (ორმაგი) ერთის მხრივ მთავარი სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის და მეორეს მხრივ სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელობის დაქვემდებარებაში.

ყოველივე ბემოაღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოში სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სამართლებრივი და ორგანიზაციული სრულყოფისათვის გასატარებელ ღონისძიებებს შორის უნდა გამოვყოთ შემდეგი:

❖ კონტროლის განმახორციელებელ ორგანოთა მრავალფეროვნების პირობებში საჭიროა სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან შეიქმნას დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსური კონტროლის სამართლებრივ-მეთოდოლოგიური საფუძვლების შემუშავებას და კონტროლთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების პროექტების ექსპერტიზაციას. აღსანიშნავია, რომ დღესდღეობით ეს ფუნქცია არც სახელმწიფო აუდიტის სამსახურს და არც სხვა რომელიმე ორგანოს არ აკისრია;

❖ იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანაში სულ უფრო მკვიდრდება ფინანსური კონტროლის ისეთი ფორმა, როგორი-

¹ სახელმწიფო აუდიტის სამსახური 2012-2013 წლების ანგარიშები.

ცაა სახელმწიფო აუდიტი და დამოუკიდებელი აუდიტი (განსაკუთრებით, ეფექტიანობის აუდიტი, რომლის პრაქტიკაში გამოყენება 2012 წლიდან უკვე სავალდებულოა), საჭიროა დაჩქარდეს მისი მეთოდოლოგიური უზრუნველყოფა, კერძოდ, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების ბაზაზე შემუშავდეს აუდიტის ეროვნული სტანდარტები, რომელშიც ნათლად გამოიკვეთება ეფექტიანობის განსაზღვრის კრიტერიუმები და მაჩვენებლები. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ეს მიღებობა სრულ თანხვედრაში იქნება ევროკავშირის წევრი ქვეყნების სახელმწიფო კონფრონლის რეგულირების სისტემასთან;

❖ საჭიროა ჩამოყალიბდეს შიდა და გარე ფინანსური კონტროლის ერთიანი სისტემა, ერთიანი მეთოდოლოგიისა და საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე. ამასთან დაკავშირებით უპრიანია სახელმწიფო სტრუქტურებში არსებული შიდა აუდიტის სამსახურები იმყოფებოდნენ (ორმაგი) ერთის მხრივ მთავარი სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოს და მეორეს მხრივ სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელობის დაქვემდებარებაში.

❖ დამოუკიდებელი აუდიტის სექტორში საჭიროა ამოქმედდეს აუდიტორთა და აუდიტორული ფირმების ერთიანი სახელმწიფო რეესტრი; განხორციელდეს ცალკეული აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების მუშაობის ხარისხის კონტროლი, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი გახდება აუდიტორთა მიერ ცალკეული საკანონმდებლო ნორმების დარღვევის ფაქტების გამოვლენა და სათანადო რეაგირება; აღსდგეს აუდიტორთა სტატისტიკური ანგარიშების სისტემა და მოხდეს მისი ანალიზი. დაჩქარდეს და გამარტივდეს აუდიტორის კვალიფიკაციის მინიჭების სისტემა.

❖ ქვეყანაში საფინანსო წესრიგის დამყარება დიდად არის დამოკიდებული მოქმედ საკანონმდებლო-ნორმატიულ აქტებზე. სამწებაროდ, ჯერ კიდევ გვხვდება ისეთი აქტები, რომლებიც იძლევიან სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრების

არაეფექტურად და უყაირათოდ გამოყენების საშუალებას. აქედან გამომდინარე გადაუდებელ ამოცანად მიგვაჩნია სათანადო კვალიფიციური ექსპერტების გამოყენებით ჩატარდეს საკანონმდებლო-ნორმატიული აქტების გადასინჯვა (რევიზია), მათში ე.წ. „ხერელების“ აღმოფხვრის მიზნით. ეს ქვეყნის ბიუჯეტს მისცემს დიდ ეკონომიკას და მინიმუმამდე დაიყვანს სახსრების უყაირათოდ ხარჯვის შემთხვევებს;

❖ იმის გათვალისწინებით, რომ შესაბამისობის აუდიტი წარმოადგენს ფინანსური აუდიტის განუყოფელ ნაწილს, მიზან-შეწონილად მიგვაჩნია საქართველოში საკანონმდებლო დონეზე დარჩეს აუდიტის ორი სახე: „ფინანსური აუდიტი“ და „ეფექტიანობის აუდიტი“. ეს აუდიტის განმახორციელებელ ორგანოებს, თუ ცალკეულ პირებს გაუადვილებს დარღვევის სტატუსის განსაზღვრას, როგორც მისი დაგეგმვის, ისე აღსრულების პროცეში;

❖ მაკონტროლებელმა ორგანოებმა უნდა იმოქმედონ საბოგადოების დაკვეთით, იყონ მათი წარმომადგენელი საჯარო ფინანსების ადმინისტრირებაში. არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საბოგადოების მიერ ამ ორგანოთა საქმიანობაზე მეთვალყურეობის გაუმჯობესების მიზნით საჭიროა კიდევ უფრო გამჭვირვალე გახდეს მაკონტროლებელ ორგანოთა საქმიანობა, საგალდებულო ხასიათი მიიღოს მათი საქმიანობის შედეგების საჯაროდ გამოქვეყნებამ;

ეკანასკნელ წლებში გატარებული ცვლილებების მიუხედავად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, როგორც უმაღლესი აუდიტორული ორგანოს ფუნქციონირების გაუმჯობესების მიზნით საჭიროა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

➤ გამოკვლევებიდან ირკვევა, რომ ჩატარებული აუდიტორული შემოწმებების რიცხვი თანდათან მცირდება. ამასთან ერთად დარღვეულია ფინანსური კონტროლის ღროში უწყვეტობა. მთელი რიგი საბიუჯეტო ორგანიზაციები და საჯარო სამართლის იურიდიული პირები (მაგალითად საჯარო სკოლების

ბი, აგრეთვე არაკომერციული იურიდიული პირები) კონტროლს მიღმაა დარჩენილი. აქედან გამომდინარე პირველი რიგის ამოცანაა კონტროლის უწყვეტობის პრინციპის უზრუნველყოფა, ისეთი სტრატეგიული გეგმების შედგენა, რომელიც გამორიცხავს რომელიმე სამეურნეო სუბიექტის „ჩრდილქვეშ“ დარჩენას;

➤ აუდიტის პროცესის ოპტიმიზაციისა და ინფორმაციის მართვის სისტემის გაუმჯობესების მიზნით საჭიროა განისაზღვროს პრიორიტეტები მიმართულებები და საჯარო ინტერესთა ნუსხა. ინტერესთა ნუსხაში შეიძლება გათვალისწინებული იქნეს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: დიდი მოცულობის საბიუჯეტო დაფინანსება, ორგანიზაციის არასწორი მმართველობა, მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, სისტემური რეფორმების გაფარების საჭიროება, ამა თუ იმ საკითხებისადმი დიდი საზოგადოებრივი ინტერესის არსებობა და სხვ. ამასთან ერთად, ყოველწლიურად უნდა ხდებოდეს საჯარო ინტერესთა ნუსხის გადაისინჯვა და განახლება;

➤ უნდა განისაზღვროს უმაღლესი აუდიტორული ორგანოს განვითარების სტრატეგიული მიმართულებები, როგორიცაა: პროფესიული განვითარება, ორგანიზაციული განვითარება, საზოგადოებრივი რეპუტაცია და გარე კომუნიკაცია;

➤ აუდიტორთა გადამზადების ქმედით სისტემის ჩამოყალიბება; სახელმწიფო სექტორის აუდიტორის კვალიფიკაციის მინიჭების სისტემის ეფექტიანობის ამაღლება;

➤ სტრუქტურული მოწყობის უნიგარული სისტემიდან დეცენტრალიზებულ სისტემაზე გადასვლა, რომელიც გულისხმობს საქართველოს რეგიონებში წარმომადგენლობების (აუდიტორული ბიურო ან აუდიტორული ოფისი) არსებობას;

➤ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებას, ამისათვის კი აუცილებელია რეკომენდაციების მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება და მისი აღსრულება.

➤ მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის როლი საკანონმდებლო-ნორმატიული აქტების პროექტებზე დასკვნების მომზადებაში, რაც იმაში გამოიხატება, რომ ფინანსურ კონტროლსა და აუდიტთან დაკავშირებული აქტების პროექტები აუცილებლად დაექვემდებაროს მასთან შეთანხმებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები, ნაწ. 1-2, 2009წ.
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურული საფუძვლები; 2009წ.
3. „აუდიტის ოფიციალური ღოკუმენტების ცნობარი“, თბ., 1999წ.
4. მონტეგრი აუდიტი, გამომცემლობა „ფინანსები“. თბ., 2004 წ.
5. ი. მესხია – „სახელმწიფო ფინანსური კონტროლი“, თბ., 2008წ.
6. ე. ხარაბაძე – ფინანსური აღრიცხვა, თბ., 2009წ.
7. ე. კუპრეიშვილი – ბუღალტრული აღრიცხვის კურსი, თბ., 2005წ.
8. რ. ძაბამია – ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება, თბ., 2005წ.
9. რ. ძაბამია – ბუღალტრული აღრიცხვის რეფორმის მიმღინარეობა და მისი განხორციელების პრობლემები. ჟურნალი „ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება“, 1998 წ., №6.
10. ჯ. ჯონსი – ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმა საქართველოში. I კონფერენციის მასალები. თბ., 1998წ.
11. ა. ხორავა და სხვ. – ბუღალტრული აღრიცხვა: თეორია, ფინანსური აღრიცხვა, თბ., 2010 წ.
12. ლ. გრიგალაშვილი – ფინანსური აღრიცხვა, თბ., 2014წ.
13. ლ. გრიგალაშვილი – ბუღალტრული აღრიცხვა, თბ., 2010წ.
14. ლ. გრიგალაშვილი – „ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების რეგულირების სრულყოფისათვის“, ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, 2003წ. 6.
15. ლ. გრიგალაშვილი – საჯადასახადო აღრიცხვისა და აუდიტის ზოგიერთი საკითხი საბლვარგარეთის ქვეყნებში, ჟურნალი „ეკონომიკა“, 2000წ., 5-6.
16. ლ. გრიგალაშვილი – საჯარო სექტორის ფინანსური ანგარიშგების სტანდარტიზაციის საკითხები. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები„, 17-18 ოქტომბერი, 2014 წ.

17. ლ. გრიგალაშვილი – „ბუღალტერთა და აუდიტორთა პროფესიული სერთიფიცირების სრულყოფის გზები”, ქურნალი „სოციალური ეკონომიკა”, 2014წ; 3.
18. L. Grigalashvili _ On the Problems of Accounting Reform in Transition Period. Bulletin of the Georgian Academy of Sciences. Tbilisi, Volume 165, N2.
19. L. Grigalashvili – Problems of today's accounting standardization~. Bulletin of the Georgian academy of sciences. Tbilisi, Volume 167, N3.
20. M, 2013 .
21. , 1995 .
22. ,, 2004 .
23. :, 2012, N4.
24. : “ ”, 2000 .
25. o: “ ”, 2006 .
26. . . M, 2000 .
27.: “ ”, 1997 .
28.: 1998 .
29.: 2007 .
30.: 1998. # 1.
31.: 2013. # 12
32.: 2013. #12
33.: 2013. # 9.

საქანონმდებლო-ნორმატიული აქტები:

1. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ”, 1994წ.
2. საქართველოს „საგადასახადო კოდექსი”, 2014წ.
3. საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ”, 2012 წ.
4. საქართველოს კანონი „აუდიტორული საქმიანობის შესახებ”, 1995 წ.
5. დებულება „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ”, 1998 წ.
6. საქართველოს კანონი „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ”, 2012 წ.
7. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ“ 2010 წ.
8. საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“
9. ინსტრუქცია „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შესახებ”, 31.12.2014წ. 429
10. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2007-2013 წლების ანგარიშები.

Levan Grigalashvili

System Analysis of Accounting and Audit

Publishing – “Georgika”

TBILISI - 2015